პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი მერვე

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (უოფ. დიდო მთავრობის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— დაიხურა „უშიშროების“ კომიტეტის სესია.
— მზადება „წითელი დღისათვის“ პრაღაში. — პოლიციისა და ჟანდარმერიის მობილიზაცია.
— ჩრდილოეთის სახელმწიფოთა საპარლამენტთაშორისო კონფერენცია. — გამოსვლა განიარაღების საგზ. პროექტის დასაცავად.
— ნავთის საკითხი ინგლისის თემთა პალატაში.
— დაიხურა ჰოლანდიის ტრანსპორტის მუშათა რეფორმისტული კავშირის ყრილობა.
— განახლდა მუშათა გაფიცვა ინდოეთის დიდ რკინის გზაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევი, 6 ივლისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 155 (2198)

კომუნისტი
გრძელდება ხელისმოწერა ივლისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

გერმანიის სოციალ-დემოკრატ პრემიერის პირველი ნაბიჯები

კულისებში ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ დაბადებული მთავრობა, ბოლოს წარუდგა რეიხსტაგს, და ჩვენ საშუალება გვეძლევა გავეცნოთ იმ მთავრობის პროგრამას, რომელსაც სათავეში უდგას გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ბელადი და რომელშიაც, სოციალ-დემოკრატიას, მიულერის გარდა, ჰყავს სამი მინისტრი— შინაგან საქმეთა, ფინანსთა და შრომის.

გერმანიის „დემოკრატია“ კმაყოფილია მთავრობით. „ფოსიშე ცეიტუნგ“-ი სწერდა, რომ რესპუბლიკის მე-17 მთავრობა პირველი მთავრობაა, შემდგარი „საპარლამენტო დემოკრატიის ყველა კანონის მიხედვით“. საქმე, რა თქმა უნდა, გერმანიის საპარლამენტო კანონებსა და დემოკრატიულ სიკეთეთა გამარჯვებაში არ არის. საქმე იმაშია, რომ სოციალ-დემოკრატებს, ამ 20 მაისის ვითომდა გმირებს, რა ფასადაც უნდა დასჯდომოდათ, უნდა დაეფარათ თავიანთი გამცემლობით და დამარცხებით გამოწვეული მთელი სირცხვილი იმ მასებისაგან, რომელთაც მათ ხმები მისცეს. მათ ბელადებს საუცხოვოდ ესმოდათ, რომ თუ ისინი დასვამდენ საკითხს პროგრამის შესახებ დაუყონებლივ გამოაშკარავდებოდა, რომ არც ერთი კოალიციონური ბურჟუაზიული პარტია ოდნავადაც კი არ დათანხმდებოდა, დაეკმაყოფილებია ის საპროგრამო მოთხოვნილებანი, რომლებითაც სოციალ-დემოკრატია საარჩევნო კამპანიის დროს გამოვიდა. პირიქით, ყველა ბურჟუაზიული პარტია აშკარად წამოაყენებდა თავის მოთხოვნილებებს. ასეც მოხდა: მოუხედავად სოციალ-დემოკრატების წინადადებისა—ხელი აეღოთ საპროგრამო მოთხოვნილების ჩამოყალიბებაზე, ცენტრის პარტიამ და ახალხო პარტიამ მაინც წამოაყენეს ყველა ის მოთხოვნილება, რაც თავის დროზე მემარჯვენე ბურჟუაზიული ბლოკის სახელმძღვანელო ხაზს შეადგენდა.

უფრო სწორად: ტრესტებში გაერთიანებული კაპიტალის ინტერესების გამომხატველმა პარტიებმა ეს ძველი საპროგრამო მოთხოვნილებანი სწორედ იმიტომ წამოაყენეს ასე მწვავედ, რომ სოციალ-დემოკრატიულ ბელადებს თავიანთი საპროგრამო მოთხოვნილებებზე უარის თქმით ბრწყინვალედ დაედასტურებიათ საკუთარი უძლურება. ჩვენ არ შევეხებით დეკლარაციის გარეგნულ პოლიტიკურ მხარეს, რადგან ამ მხრივ, როგორც სჩანს, ტონს იძლევიან არა სოციალ დემოკრატები, არამედ შტრეზემანი. გერმან მიულერის მიერ რეიხსტაგში გამოქვეყნებული პროგრამის წაკითხვის დროს არ შეიძლება არ შენიშნოთ, რომ ამ სიახლეში (რომლითაც, თუ მართალი გნებავთ, თავი უნდა ესახელა „მემარცხენე“, მთავრობის კანცლერს) ძველი ჰანგები გაისმის. მიულერის ერთ-ერთ აღმოჩენას წარმოადგენს ის მოთხოვნილება, რომ მთავრობას უფლება ჰქონდეს თვალყური ადევნოს კარტელებისა და ტრესტების მოქმედებას, მაგრამ ამ უფლებას ხომ არავინ არ უარყოფს გერმანიაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სახალხო მეურნეობის სამინისტროში მაგრა მოიკალათა მრავალ რიცხოვანი კარტელებისა და ტრესტების რწმუნებულმა, სახალხო პარტიის ერთ ერთმა ბელადმა კურციუსმა. მიულერი ვერ დაიკვეხებს ფრაზის ორიგინალობას, ვინაიდან ამგვარი ფრაზა მოიპოვება ნაციონალისტების ოფიციალურ პროგრამაში, ასე რომ წინააღმდეგ ვერაფერს იტყვის თვით გუგენბერგიც, მსხვილი სამრეწველო და აგრარული კაპიტალის ყველაზე უფრო რეაქციონური პარტიის ფაშისტური ფრთის ბელადი.

რაც შეეხება „სრულიად გერმანიის კონსტიტუციის განვითარებას დემოკრატიული მიმართულებით“,— ვინ არ იცის, რომ ამ სიტყვების იქით იფარება გერმანიის ბურჟუაზიის ხელმძღვანელი წრეების განზრახვა: 1- გააძლიერონ სრულიად გერმანიის მთავრობის ხელისუფლება ცალკე ქვეყნების მთავრობათა ხარჯზე, ე. ი. განახორციელონ ხელისუფლების ცენტრალიზაცია, რაც აუცილებელია ტრესტებში გაერთიანებული კაპიტალის ბატონობის პირობებში. (აქ ახალი მინისტრები—შინაგან საქმეთა მინისტრი სოციალ-დემოკრატი ზევერინგი და იუსტიციის მინისტრი დემოკრატი კოხი სავსებით ეთანხმებიან გუგენბერგს, რომელმაც სრულიად გერმანიის ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების ლოზუნგი ჯერ კიდევ წარსული წლის დეკემბერში გადაისროლა) და, დასასრულ 2) მოახდინონ გერმანიის საარჩევნო უფლების რეფორმა იმ გაკვეთილების მიხედვით, რომლებიც გერმანიის ბურჟუაზიამ მიიღო საფრანგეთისა და გერმანიის კომპარტიების მიერ უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში მიღწეული შედეგების შედარებიდან. აქაც „მემარცხენე“ მთავრობა მიდის მემარჯვენე ბურჟუაზიული მთავრობის მიერ გატკეპნილი გზით. ზევერინგი ფაქტიურად კისრულობს შეასრულოს ის, რაზედაც მემარჯვენე ბურჟუაზიული ბლოკის შინაგან საქმეთა მინისტრი კოლცი ოცნებობდა.

რჩება, როგორც რაღაც ახალი, პროგრამის ის ნაწილი, რომელიც საგადასახადო საკითხებს შეეხება. აქ პირველ რიგში წამოყენებულია გერმანიის საგადასახადო სისტემის უნიფიკაციის საკითხი (ე. ი. საკითხი შეუსაბამობის და პარალელიზმის მოსპობის შესახებ სრულიად გერმანიის მთავრობის საგადასახადო პოლიტიკის და გერმანიის ცალკე ქვეყნების მთავრობების საგადასახადო პოლიტიკის შორის) ფინანსთა ახალ მინისტრს, სოციალ-დემოკრატ ჰილფერდინგს, ალბად, დაავიწყდა, რომ საარჩევნო კამპანიის დროს სწორედ მისი პარტია ლაპარაკობდა, რომ საქმე გადასახადების აკრების ტეხნიკაში კი არ არის, არამედ მშრომელი მასების საგადასახადო ტვირთისა და შეძლებული კლასების დაბეგვრის შეფარდებაში. „სოციალ-დემოკრატებს ხმას აძლევდენ სწორედ იმიტომ, რომ ისინი ამომრჩევლებს პირდებოდენ საგადასახადო ტვირთის გადატანას შეძლებულ კლასებზე. სად არის ამ დაპირების კვალი, დაპირების, რომელმაც წვრილი ბურჟუაზიის მრავალრიცხოვანი რაზმები ნაციონალისტური და სხვა ბურჟუაზიული პარტიებიდან სოციალ-დემოკრატიისაკენ გარეკა: გერმან მიულერის პროგრამაში ამ კვალს გამადიდებელი შუშითაც ვერ მონახავთ. მუშათა კლასის ინტერესების გამცემლობაში დახელოვნებულმა სოციალ-დემოკრატიამ ერთი თვის განმავლობაში აშკარად მოატყუა წვრილი ბურჟუაზიაც, რომელმაც თავის ინტერესების დაცვა მას მიანდო.

მთავრობის პროგრამაში დადებითი ბევრი არაფერი აღმოჩნდა, იმიტომ, რომ არც ერთ საქმიან საკითხში (იგულისხმება სოციალ-დემოკრატიის მოთხოვნილებანი.—რედ.). შეთანხმება არ იქნა მიღწეული. ყველაფერი დაახლოვებით ძველებურად რჩება. სახალხო პარტია და ცენტრი მოლაპარაკების გადამჭრელ მომენტში მოითხოვდენ, რომ სამინისტროებში ჯერ-ჯერობით ყველაფერი ძველებურად დარჩენილიყო, რომ არავითარი პერსონალური გადაჯგუფება არ მომხდარიყო (გავიხსენოთ მემარჯვენე ბლოკის მინისტრების გაცხარებული მუშაობა აპარატის გასაწმენდათ და ყველა სამინისტროების თავიანთი ხალხით შესავსებად. — (რედ.) და მემარჯვენე ბურჟუაზიული ბლოკის ყველა სტატს-სეკრეტარი თავის ადგილზე დარჩენილიყო“. ასე სწერს „მემარცხენე სოციალ-დემოკრატების“ ორგანო „ლეიპციგერ ფოლსცეიტუნგ“-ი, რომელიც აღიარებს, რომ „მთავრობის შედგენის ირგვლივ მოლაპარაკების დროს არ ყოფილა ლაპარაკი იმ მოთხოვნილებების შესახებ, რომლებიც მუშათა მოძრაობის მიზნებს შეეფერებიან“ და რომ „სოციალ-დემოკრატიას, მიუხედავად თავისი მონაწილეობისა მთავრობაში, არა აქვს იმის გარანტია, რომ პროლეტარული მოთხოვნილებები ნაწილობრივად მაინც განხორციელდებიან“-ო. საბოლოო დასკვნა „მემარცხენეთა“ ორგანოსი არის: „სოც.-დემოკრატიულმა ფრაქციამ ზოგიერთი საკითხში მხარი უნდა დაუჭიროს კომუნისტების წინადადებას“-ო. და ეს მაშინ, როცა კანცლერი და კიდევ სამი მინისტრი სოციალ-დემოკრატები არიან.

„ლეიპციგერ ფოლკსცეიტუნგ“-ის მჭერმეტყველური მოწმობის გარეშეც ცხადია, რომ ამ მთავრობის შექმნის ისტორია, განსაკუთრებით კი მისი პროგრამა, გვიჩვენებს, რომ როგორც 20 მაისის არჩევნებამდე, ისე არჩევნების შემდეგ მთელი ძალა-უფლება სამრეწველო-საფინანსო კაპიტალის ხელში უნდა დარჩენილიყო, ვინაიდან „მემარცხენე“ მთავრობამ სრულიად უცვლელად მიიღო ბურჟუაზიული ბლოკის პროგრამა და აგრეთვე მთელი აპარატი. სოციალ-დემოკრატები მხოლოდ თავიანთი ოთხი მინისტრის ხელმოწერით აგებენ პასუხს კაპიტალისტების პროგრამისათვის, ხოლო „სოციალისტური“ შირმის იქით ბურჟუაზია კიდევ უფრო თავხედურად იმოქმედებს. გერმანიის ბურჟუაზიამ ერთხელ კიდევ „ანდო“ სოციალ-დემოკრატებს ბურჟუაზიის სახელმწიფო ხომალდი მომავალი ბრძოლიდან სამშვიდობოზე გასაყვანად.

„მემარცხენე“ სოციალ-დემოკრატები უკვე გრძნობენ, რომ მასებს იმედი გაუცრუვდათ, ამიტომ ჩვეულებრივ ხერხს მიმართავენ—„მემარცხენე“ ფრაზებით ცდილობენ ააშორონ უკმაყოფილება ბელადებს. მაგრამ გამცემლობაში გამობრძმედილი სოციალ-დემოკრატების მოქმედება ფართო მასებსაც დაანახვებს, რას წარმოადგენს ეს „მემარცხენე“ მთავრობა. თვით ბურჟუაზიაც თავისი პოლიტიკით ხელს უწყობს მასების გამოფხიზლებას.

ბურჟუაზიული პრესის ახირებული ტონი სოციალ-დემოკრატ მინისტრების მიმართ (მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატებს „მნიშვნელოვანი“ პორთფელები უჭირავთ) მოწმობს, რომ ბურჟუაზია საჭირო მომენტში შესძლებს მათი თავიდან მოშორებას.

„პრავდა“ 5 ივლისი.

კამათი მიულერის დეკლარაციის გარშემო რეიხსტაგში

გერმანელი მენშევიკები მსხვილი კაპიტალის დირექტივების შემსრულებლების როლში

კომუნისტი ევერტი ამხილებს მენშევიკ მიულერის მთავრობის რეაქციონურ ხასიათს

ჩან-სუე-ლიანმა მორჩილება განუცხადა ნანკინს.—ანტი-იაპონური მოძრაობა შანხაიში

კამათი გერმანიის რეიხსტაგში

პარტიების წარმომადგენელთა გამოსვლა

ბერლინი, 4 ივლისი. მთავრობის დეკლარაციის ირგვლივ გამართულ კამათში გამოსული პირველი ორატორების სიტყვებმა თვალსაჩინოდ დაამტკიცეს, რომ ბურჟუაზიულ პარტიებს, რომლებიც არავითარ ვალდებულებას არ კისრულობენ, გაბატონებული მდგომარეობა უჭირავთ მთავრობაში. ხოლო სოციალ-დემოკრატები თავდაცვის პოზიციაზე დგანან.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერი ბრეიტშეიდი ვრცელ სიტყვაში კომუნისტების იერიშისაგან იცავდა სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულებას პარლამენტარიზმისა და კოალიციონური პოლიტიკისადმი. ამასთან ერთად ბრეიტშეიდი სცდილობდა გაემართლებია მთავრობის დეკლარაციის სუსტი მხარეები იმით, რომ წმინდა სოციალ-დემოკრატიული მთავრობის დეკლარაცია სხვანაირად იქნებოდა ჩამოყალიბებულიო.

„საგარეო პოლიტიკაში,—განაცხადა ბრეიტშეიდმა,—ჩვენ ვეთანხმებით მიულერის გუშინდელ განცხადებას“.

ბრეიტშეიდმა ხაზი გაუსვა დაკავებული ოლქების განთავისუფლების საჭიროებას. დასასრულ, ბრეიტშეიდმა განაცხადა—სოციალ-დემოკრატიას იმედი აქვს, რომ ახალი მთავრობა ხანგრძლივად იარსებებსო. ბრეიტშეიდის სიტყვაში, ისე როგორც მთავრობის დეკლარაციაში, არაფერი არ იყო ნათქვამი გერმანიის აღმოსავლეთის პოლიტიკის შესახებ.

ნაციონალისტების ორატორმა გრაფმა ვესტარპმა ფართოდ გამოიყენა მთავრობის დეკლარაციის სუსტი მხარეები. ვესტარპმა აღნიშნა, რომ დეკლარაცია სავსებით ეწინააღმდეგება ყოველივე იმას, რასაც ჩვეულებრივად ლაპარაკობს სოციალ-დემოკრატია. შეეხო რა საგარეო პოლიტიკას, ვესტარპმა განაცხადა—საფრანგეთი დღემდე არაფრით არ ამტკიცებს, რომ მას სურს ნამდვილი შეთანხმების მიღწევაო. ვესტარპმა გადაჭრით გაილაშქრა რაიმე ახალი კომპენსაციის გაცემის წინააღმდეგ იმისთვის, რომ შესრულებულ იქნას გერმანიის მოთხოვნილება რეინის ოლქის განთავისუფლების შესახებ. ვესტარპის აზრით, დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ მთავრობის დეკლარაციაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი გერმანიის აღმოსავლეთის პოლიტიკის შესახებ, ვესტარპი მოითხოვს, რომ კატეგორიულად უარყოფილ იქნას ზალესკის პრეტენზიები პოლონეთის მონაწილეობის შესახებ რეინის ოლქის განთავისუფლების საკითხის გადაჭრაში.

ფრიად დამახასიათებელი იყო იმ ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენელთა გამოსვლები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ მთავრობაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ცენტრის და სახალხო პარტიის წარმომადგენელთა გამოსვლები.

ცენტრის პარტიამ გარეგნულადაც კი გაუსვა ხაზი თავის თავდაჭერილ დამოკიდებულებას მთავრობისადმი, რისთვისაც ორატორად გამოიყვანა ნაკლებად ცნობილი პერლიციუსი.

პერლიციუსმა განაცხადა, რომ ახალი მთავრობის შედგენა წარმოადგენს საკითხის დროებით გადაწყვეტას. ცენტრის ფრაქცია, პერლიციუსის სიტყვით, იძულებულია თავი შეიკავოს თავისი პოლიტიკური პოზიციის საბოლოო განსაზღვრისაგან. პერლიციუსმა მკვეთრად გაუსვა ხაზი იმას, რომ ცენტრის პარტია არ ეთანხმება მთავრობის დეკლარაციას სასკოლო რეფორმის საკითხში.

სახალხო პარტიის ფრაქციის ლიდერმა შოლცმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალი მთავრობა არ წარმოადგენს დიდი კოალიციის მთავრობას. შოლცის გამოსვლა აშკარად ამტკიცებს რომ სახალხო პარტია არ კისრულობს პასუხისმგებლობას მთავრობის პროგრამისა და მოქმედებისათვის.

კომფრაქციის წარმომადგენელმა ევერტმა განაცხადა, რომ, როგორც დეკლარაციიდან სჩანს, ახალ მთავრობას განზრახული აქვს განაგრძოს ბურჟუაზიული ბლოკის მთავრობის პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს გერმანიის ნეოიმპერიალიზმის მისწრაფებათა გამოხატულებას. კოალიცია სოციალ-დემოკრატებთან წარმოადგენს იმის ცდას, რომ შეანელონ მასების გამემარცხენების პროცესი. ახალი მთავრობის პროგრამა წარმოადგენს მშრომელი მასების მოტყუებას, ეს მასები კი მოითხოვენ ხელფასის მომატებას, სამუშაო დღის შემოკლებას, სოციალური დაზღვევის გაუმჯობესებას და სამრეწველო კონფლიქტების არბიტრაჟის წესით მოგვარების სისტემის მოსპობას.

ევერტმა ერთმანეთს დაუპირისპირა სოციალ-დემოკრატების თანამშრომლობის გაღრმავება ბურჟუაზიასთან ეკონომიურ და პოლიტიკურ დარგში და რეფორმისტების გამთიშველი პოლიტიკის გაძლიერება რევოლიუციონურ პროფკავშირებსა და სხვა არაპარტიულ ორგანიზაციებში. ევერტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოციალ-დემოკრატიამ ბურჟუაზიულ პარტიებს დაუთმო საშინაო პოლიტიკის ყველა ძირითად საკითხში. ინგლისთან და საფრანგეთთან ბლოკის დამყარების ცდა მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ევერტმა თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: „გერმანიის მუშა დაამხობს მთავრობის ამ კოალიციასაც და გზას გაუკაფავს საბჭოების სახელმწიფოს“ (ადს).

რეიხსტაგის კომფრაქციის წინადადება

ბერლინი, 4 ივლისი. რეიხსტაგის კომფრაქციამ წინადადება შეიტანა, რომ ყოველ ნახევარ წელიწადში რეიხსტაგის პრეზიდიუმმა გამოაქვეყნოს რეიხსტაგის იმ წევრთა სია, რომლებიც სხვადასხვა საქციო და საპაიო კომპანიების გამგეობის წევრები არიან. ეს წინადადება გამოწვეულია იმით, რომ ბურჟუაზიული პარტიების თვალსაჩინო დეპუტატების დიდი უმრავლესობა მსხვილი სამრეწველო და სავაჭრო წარმოებების გამგეობათა წევრები არიან (ადს).

პრესა მიულერის დეკლარაციის შესახებ

გერმანიის პრესა

ბერლინი, 4 ივლისი. გერმანიის ახალი რეიხსკანცლერის მიულერის დეკლარაციას პრესა ძლიერ თავშეკავებულად აფასებს. კომენტარიებში უმთავრესად ხაზს უსვამენ დეკლარაციის კომპრომისულ ხასიათს.

სოციალ-დემოკრატების ორგანო „ფორვერტს“-იც კი ხაზგასმით აღნიშნავს მთავრობის დეკლარაციის სიფრთხილეს.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი სწერს: „მიულერის კომპრომისული ხაზი ადგილ-ადგილ გადამეტებულის სიფრთხილით არის გატარებული“.

„ბერლინერ ბერზენ კურიერ“-ი სწერს: „ის გარემოება, რომ დეკლარაცია მოკლებულია ყოველგვარ მებრძოლ კილოს, აგრეთვე დეკლარაციის მთელი შინაარსი მოწმობს იმას, რომ მთავრობას სურს იყოს გერმანიის სტაბილიზაციის ეპოქის მთავრობად“.

ნაციონალისტური პრესა ირონიულად იხსენიებს მთავრობის დეკლარაციას მისი სიდიდის გამო და უწოდებს მას „კომპრომისს 32 გვერდზე“.

„როტე ფანე“. აღნიშნავს: „მთავრობის დეკლარაციის აზრი იმაშია, რომ ბურჟუაზიული ბლოკის მთავრობის კურსი გაგრძელებული იქნება შეცვლილი სახით. მიულერმა ერთი სიტყვაც არა სთქვა გერმანიისა და საბჭოთა კავშირის მომავალი ურთიერთობის შესახებ. მაგრამ, სამაგიეროდ, ვიმეორებ, ხაზს უსვამდა იმას, რომ ერთა ლიგა წარმოადგენს საერთაშორისო შეთანხმების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. მიულერის სიტყვის ის ნაწილიც, რომელიც საშინაო პოლიტიკას ეხება, მოწმობს, რომ მთავრობა სავსებით ტრესტების გავლენის ქვეშ იმყოფება. რეიხსტაგის კომფრაქციამ დასაბუთებული ვოტუმი შეიტანა მიულერის მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ“ (ადს).

საფრანგეთის პრესა

პარიზი, 4 ივლისი. გერმანიის ახალი მთავრობის დეკლარაციამ დიდი გამოძახილი გამოიწვია საფრანგეთის პრესაში.

სოციალისტური და მემარცხენე ბურჟუაზიული გაზეთები თანაგრძნობით ეხებიან დეკლარაციას. ამ გაზეთების აზრით, საფრანგეთ-გერმანიის თანამშრომლობის განსამტკიცებლად საჭიროა დაწყებულ იქნას მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ რეინის ოლქი ვადამდე იქნას დაცლილი და გადასინჯული იქნას დაუესის გეგმა როგორც გადასახადების შეტანის დაჩქარების, ისე მათი შესრულების რეალური გარანტიების მხრივ. ამ გაზეთებს ხელსაყრელად მიაჩნიათ. რომ მოლაპარაკება საარის ოლქის ბედის შესახებ დაწყებულ იქნეს ვერსალის ზავით დაწესებული 15 წლიანი ვადის გასვლამდე, როდესაც პლებისციტი უნდა მოხდეს.

მემარჯვენე გაზეთებიდან მხოლოდ „მატენ“-ი მოითხოვს თანაგრძნობას და ყურადღებას მიულერის დეკლარაციისადმი, ვინაიდან მიულერის პირით გერმანიამ ოფიციალურად პირველად აიღო ხელი რევანშის იდეაზე. სხვა მემარჯვენე გაზეთები აღნიშნავენ, რომ მიულერის საგარეო პოლიტიკა იმავე მიზნებს ისახავს, რასაც ისახავდა ნაციონალისტური გერმანია, მხოლოდ უფრო ფარული ფორმებით. მიულერი მოითხოვს დაუესის გეგმის გადასინჯვას გერმანიის სასარგებლოდ, მაგრამ არაფერს ამბობს იმაზე, თუ რას გადაიხდის გერმანია ამისათვის. დასასრულ, მემარჯვენე პრესა აღნიშნავს, რომ დეკლარაცია უტოვებს გერმანიას მოქმედების სრულ თავისუფლებას ავსტრიის, პოლონეთის, ლიმიტროფების და საბჭოთა კავშირის მიმართ.

გერმანიის მიერ რევანშის იდეაზე ხელის აღების შესახებ, „ეკო დე პარი“ სწერს: „გერმანიას არ შეუძლია ილაპარაკოს რევანშზე, სანამ რეინის ოლქს არ დაიბრუნებს. რეინის ოლქის დაბრუნების შემდეგ გერმანიას ხელში ექნება რევანშის იარაღი. ამიტომ კეთილგონიერება მოითხოვს, რომ ეს რაც შეიძლება გვიან მოხდეს“ (ადს).

შეტევა ინგლისელ რკინისგზელთა ხელფასზედ

ტომასი ღალატს ამზადებს

ლონდონი, 4 ივლისი. რკინის გზელთა კავშირის კონფერენციამ ბრისტოლში, **ტომასის განცხადების შემდეგ, მიიღო რეზოლიუცია, რომელიც კავშირის აღმასკომს ანდობს—გამართოს მოლაპარაკება რკინის გზის კომპანიებთან გზების ფინანსიური მდგომარეობის საკითხების შესახებ.** რეზოლიუცია შენიშნავს, რომ მოლაპარაკებას არ უნდა მოჰყვეს ისეთი ახალ ვალდებულებათა დაკისრება კავშირისათვის, რომლებიც აიძულებენ მას აწარმოოს მთელი ინგლისის რკინის გზელთა და რკინის გზის პატრონთა შორის დადებული შეთანხმების გადათვალიერებისა და შეცვლის პოლიტიკა.

ლონდონი, 4 ივლისი. სარკინისგზო კომპანიებმა რკინისგზელთა სამი კავშირის (რკინისგზელთა ნაციონალური კავშირი, ორთქლმავლების მემანქანეთა კავშირი, რკინის-გზის საკანცელარიო მუშათა კავშირი) წარმომადგენლები მიიწვიეს თათბირზე, რომელმაც უნდა განიხილოს რკინისგზების მდგომარეობა, კერძოდ საკითხი „საწარმოო ხარჯების“ შემცირების შესახებ. კომპანიები აცხადებენ, რომ მდგომარეობა, რკინისგზებზე მოძრაობის შემცირების გამო, მეტად „სერიოზულიაო“. ავტორიტეტულ წრეებიდან მიღებული ცნობების თანახმად, სარკინისგზო კომპანიებს განზრახული აქვთ **„ხარჯების შესამცირებლად“ გაატარონ რკინის-გზის პერსონალის ახალი შემცირება და აგრეთვე შეამცირონ მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასი. რეფორმისტული ბელადები წინდაწინვე ცდილობენ მოამზადონ ნიადაგი სარკინისგზო კომპანიების მოთხოვნილებების მისაღებად.** (ადს.

ინგლისის მუშათა საიმპერიო კონფერენცია

ლონდონი, 4 ივლისი. მუშათა საიმპერიო კონფერენც. მეორე სხდომა მოხდა **ბენ ტენერის** თავმჯდომარეობით. თავისი სიტყვის დიდი ნაწილი ბენ-ტენერმა მოანდომა საკითხს დომინიონებსა და კოლონიებში იმიგრაციის შესახებ. შემდეგ იგი მოკლედ შეჩერდა საყოველთაო მშვიდობიანობის საკითხზე და განაცხადა, რომ ამ საკითხში ყოველ წინადადებას მხარი უნდა დაუჭიროთო.

კანადის და ავსტრალიის დელეგატებმა კამათში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მათ ქვეყნებში უმუშევრობა ფართე ხასიათს ღებულობს და მწარმოებლები ცდილობენ ისარგებლონ იაფი მუშა ხელით. ორატორებმა განაცხადეს, რომ ეს გარემოება აიძულებს დომინიონების პროფკავშირებს — ემიგრაციის საკითხში მხარი დაუჭირონ შეზღუდვის პოლიტიკას.

ინგლისის მუშათა პარტიის და ინგლისის პროფკავშირთა წარმომადგენლები იცავდენ იმპერიის ყველა ნაწილში თავისუფალ გადასახლების თვალსაზრისს.

ინდოეთის პროფკავშირთა წარმომადგენელმა ჩამანლალმა აღნიშნა, რომ საჭიროა, ტრანსპორტზე მომუშავე ინდოელები ღებულობდენ ისეთსავე სამუშაო ხელფასს, როგორსაც თეთრ-კანიანი მუშები იღებენო. კონფერენციას ჯერ-ჯერობით არც ერთი რეზოლიუცია არ მიუღია (ადს).

ნანკინის მთავრობა და ჩან-სუე-ლიანი

ჩჟან-სუე-ლიანის „კეთილი განზრახვები“

პეკინი, 4 ივლისი. ჩჟან-სუე-ლიანმა ნანკინის მთავრობას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც აცხადებს, რომ **მან უბრძანა მთელ თავის ჯარს დაბრუნდეს მანჯურიაში.** ამით მას სურს დაამტკიცოს თავისი კეთილი განზრახვები, რაც გამოიხატა წინადადებაში ნაციონალური კრების უახლოეს დროში მოწვევის შესახებ ჩინეთის ყველა საკითხის გადასაჭრელად.

იაპონიის დეპეშათა სააგენტოს ტოხოს მუკდენელი კორესპონდენტი იუწყება, რომ მუკდენის ჯარების ერთი მესამედი უკვე გადაყვანილია შანხაიგუანის აღმოსავლეთით, საკუთრივ ჩინეთის და მანჯურიის საზღვარზე. ჩჟილის პროვინციაში მუკდენელებმა შეწყვიტეს მუშაობა გამაგრებული პოზიციების მოსაწყობათ. (ადს)

ჩჟან-სუე-ლიანი და ნანკინი

პეკინი, 4 ივლისი. ჩინური პრესის ცნობით, ჩჟან-სუე-ლიანმა პეკინში გაგზავნა თავისი ორი წარმომადგენელი, რომლებმაც უნდა მოაწესრიგონ თანამშრომლობა ნანკინის მთავრობასთან. (ადს)

ლი-ში-ცზენი —პეკინის პოლიტიკურ საბჭოს თავმჯდომარე

პეკინი, 4 ივლისი. პეკინის პოლიტიკურ საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა **ლი-ში-ცზენი**, რომელიც ამჟამად ევროპაში იმყოფება. მის დაბრუნებამდე ამ მოვალეობას შეასრულებს **ენ-სი-შანი.** პეკინის პოლიტიკურ საბჭოს წევრებად არჩეულნი არიან **ბა-ცზუნ-ჩი, ფინ იუ სიანი** და სხვ. (ადს)

ორი კაპეიკის მომატება

შანხაი, 4 ივლისი. „სინ-ვენ-ბაოს“ ცნობით შანხაის აბრეშუმის სართავ მრეწველობაში კონფლიქტი მუშებსა და მწარმოებლებს შორის საბოლოოდ მოგვარებულია. მუშებისა და მწარმოებელთა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმად მუშების დღიურ ხელფასს ემატება ორი კაპეიკი. (ადს).

პეკინის მერი

შანხაი, 4 ივლისი. ჩინეთის დეპეშათა სააგენტოს დეჩუნის ცნობით, ჩან-კაი-შიმ და ენ-სი-შანმა ფინ-იუ სიანის პირად მდივანს **ხო ჩი კუნს** გაუგზავნეს დეპეშა და სთხოვეს —მიიღოს პეკინის მერის თანამდებობა. (ადს)

იაპონელები ბატონობენ

შანხაი, 4 ივლისი. ამერიკული გაზეთის „ჩაინა პრესის“ ცნობით, **ცზინანში გრძელდება იაპონელ ჯარისკაცებზე თავდასხმის შემთხვევები. მოსახლეობა უაღრესად მტრულად არის განწყობილი იაპონელების მიმართ.** იაპონიის სამხედრო ხელისუფლებამ მაგისტრატი გადაასახლა ქალაქის ცენტრალურ ნაწილიდან იმ საბაბით, თითქოს, მაგისტრატი იაპონელების წინააღმდეგ მოქმედებდეს. ცზინან-კიაო-ჩაოს რკინის გზის რაიონში გამოაცხადეს სამხედრო წესები, რასაც ასაბუთებენ იმით, ვითომ გზის რაიონში ჩინელი „ბანდიტები“ გაჩნდა. რკინის-გზის რაიონში აკრძალულია გომინდანის დროშის გამოფენა. (ადს)

ანტი-იაპონური მოძრაობა შანხაიში

შანხაი, 4 ივლისი. **შანხაიში ანტი-იაპონური მოძრაობა გრძელდება.** ჩინეთის რვა საფეიქრო ფაბრიკამ, რომელნიც იაპონიის ნედლი მასალით მუშაობენ. მოსახლეობის მხრიდან ექსცესების შიშით შესწყვიტა წარმოება. (ადს)

იან-იუ-ტინი სიკვდილით დასაჯეს

პეკინი, 4 ივლისი. შანხაიში გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ ჩჟან-სუე-ლიანის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს იან-იუ-ტინი. (ადს)

ქალთა უფლების დაცვის პეკინის ასოციაცია

პეკინი, 4 ივლისი. შესდგა ქალთა უფლების დაცვის პეკინის ასოციაციის დამფუძნებელი კრება. ასოციაცია მიზნად ისახავს ბრძოლას ქალთა თანასწორუფლებიანობისათვის. ასოციაცია აგრეთვე დახმარებას გაუწევს ნაციონალურ მთავრობას და გაავრცელებს გომინდანის პრინციპებს ქალთა შორის.

უშიშროების კომიტეტის სესია დაიხურა

ჟენევა, 4 ივლისი. 4 ივლისს უშიშროების კომიტეტმა უკანასკნელ სხდომაზე უკამათოდ მიიღო მოხსენება ფინანსიური დახმარების შესახებ იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებსაც თავს დაესხმიან. საკითხს განიხილავს ერთა ლიგის სესია. შემდეგ კომიტეტმა უკამათოდ მიიღო სარედაქციო კომისიის—მიერ შემუშავებული პროექტები ორ მხრივი ხელშეკრულებების, შეთანხმების პროცედურისა და არბიტრაჟის შესახებ. მანვე განიხილა აგრეთვე გერმანიის წინადადებათა ახალი რედაქცია, რომელიც შეიმუშავა სარედაქციო კომისიამ. ახალი ტექსტი უკუაგდებს იმ მუხლს, რომელიც ინგლისს ჟენევის ოქმის განმეორებად მიაჩნია. ამის ნაცვლად შეტანილია მრავალმხრივი, აგრეთვე ორმხრივი ხელშეკრულებების პროექტი. შეცვლილია აგრეთვე მეორე მუხლი, საიდანაც, ინგლისის მოთხოვნილებით, ამოშლილია დებულება სტატუს ქვოს დაცვის შესახებ (ე. ი. იმის შესახებ, რომ მობილიზაცია არ იქნეს გამოცხადებული), თუ ვინიცობაა საომარი მოქმედება დაიწყო. **საფრანგეთის და პოლონეთის მოთხოვნილება იმის შესახებ, რომ ერთა ლიგის საბჭოს კონტროლისა და რეპრესიის უფლება მიენიჭოს, რეზოლიუციის ტექსტიდან ამოღებულია, მაგრამ შეტანილია მოხსენებაში, რომელიც რეზოლიუციას აქვს დართული.** ამასთან პოლონეთმა უფლება დაიტოვა, რომ ეს საკითხი აღძრას ერთა ლიგის კრებაზე. რეზოლიუციის მიღების შემდეგ გერმანიის წარმომადგენელმა სიმონსმა აღნიშნა, რომ კომიტეტის მუშაობამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა საჭიროება განიარაღებისა, რომელიც უშიშროების განხორციელების ძირითადი პირობაა, და მოითხოვა განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის მუშაობის დაჩქარება.

უშიშროების კომიტეტის სესია დაიხურა.

ნავთის საკითხი თემთა პალატაში

ლონდონი, 4 ივლისი. „დეილი ექსპრეს“-მა გამოაქვეყნა საიდუმლო ცნობები ინგლის-სპარსეთის ნავთის კომპანიის, ინგლის-ამერიკის კომპანიის და „როიალ დეჩ შელ“-ს შორის მომხდარ შეთანხმების შესახებ, რომლის მიხედვითაც ინგლის-სპარსეთის კომპანია ვალდებულია დაიცვას განსაზღვრული ფასები ნავთზე. ამასთან დაკავშირებით, თემთა პალატაში მთავრობას მისცეს რამდენიმე შეკითხვა (ინგლის-სპარსეთის ნავთის კომპანიის აქციების უმრავლესობა ინგლისის მთავრობას ეკუთვნის).

კენვორტის შეკითხვის საპასუხოდ ჩერჩილმა აღნიშნა, რომ მთავრობა შეჰპირდა არ ჩაერიოს კომპანიის კომერციულ საქმეებში. მაშინ კენვორტი შეეკითხა— აცნობეს თუ არა მთავრობას, რომ ამერიკის და ჰოლანდიის ნავთის კომპანიებს შორის სწარმოებს მოლაპარაკება ხლეშეკრულების დადების შესახებ, და, თუ აცნობეს რა ინსტრუქციები მისცა მთავრობამ ამ საკითხში. ამაზე ჩერჩილმა უპასუხა, რომ, მისი აზრით, ნავთის ბაზრების საკითხში მთავრობის წარმომადგენლების ჩარევა მიზანშეუწონლად არის ცნობილი. (ადს.).

დეტერდინგის განცხადება

ლონდონი, 4 ივლისი. ინგლის-ჰოლანდიის ტრესტის „როიალ დეტჩ შელლ“-ის მეთაურმა დეტერდინგმა „დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტთან საუბარში. „როიალ დეტჩ“-სა და „სტანდარტ ოილ“-ს შორის კონფლიქტის ლიკვიდაციის შესახებ განაცხადა, რომ ნავთის ფასები ინდოეთში ისეთივე იქნება, როგორიც კონფლიქტამდე იყო. (ადს).

ნიუ-იორკი, 4 ივლისი. „ნიუ-იორკ ტაიმს“-ი იუწყება, რომ „სტანდარტ ოილ კომპანი“-სა და „როიალ დეტჩ შელლ“-ის შორის წარმოშობილი კონფლიქტი საბჭოთა ნავთის ყიდვის შესახებ ამოწურულია. გაზეთის სიტყვით, ორივე ტრესტმა შესწყვიტა „ფასების ომი“ ინდოეთში და იკისრა ვალდებულება, რომ სხვა ადგილებშიაც არ შეუქმნან ერთმანეთს დაბრკოლებები.

როგორც იუწყებიან, შეთანხმების თანახმად „სტანდარტ ოილ“-ი იტოვებს საბჭოთა ნავთის შესყიდვის უფლებას და შეასრულებს მათ მიერ დადებულ შესაფერის ხელშეკრულებებს. „როიალ დეტჩ შელლ“-ის „სტანდარტ ოილ“-მა დაპირდა, რომ ის „სცნობს რუსეთის ნავთის ყოფილ მესაკუთრეთა პრეტენზიების ანაზღაურებას“. (ადს).

„წითელი“ დღე პრაღაში

პოლიცია და ჟანდარმერია ემზადება

პრაღა, 4 ივლისი. **პოლიცია და ჟანდარმერია ღებულობენ ყოველ ზომებს იმისთვის, რომ ხელი შეუშალონ დემონსტრაციის ჩატარებას 6 ივლისს.** პროვინციაში ჟანდარმერიამ საბარგო ავტომობილების პატრონები გააფრთხილა, რომ მათი საშოფერო ნებართვები გაუქმებული იქნება. თუ ისინი 5 და 6 ივლისს მუშებს გადაიყვანენ პრაღაში. **შინაგან საქმეთა სამინისტროში, პოლიციაში და პოლიტიკურ წრეებში განწყობილება მეტად ნერვიულია.** პარლამენტის სხდომაზე კომუნისტ-დეპუტატმა გაკენმა სასტიკი პროტესტი განაცხადა ფიზკულტურული დღესასწაულების და „წითელი დღის“ აკრძალვის წინააღმდეგ. **პარლამენტის პრეზიდიუმმა აკრძალა გაკენის სიტყვის გამოქვეყნება და განკარგულება გასცა ეს სიტყვა ოქმში არ შეიტანონ.** (ადს)

უკანასკნელი ცნობები

განაჩენი შახტის საქმეზე

მოსკოვი, 5 ივლისი. ღამის 12 საათზე საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოში დაიწყო განაჩენის წაკითხვა შახტის საქმის გამო. განაჩენის წაკითხვის დამთავრებას მოელიან ამავე ღამეს. (ადს).

—:—

ნაშუალამევის 3 საათამდე განაჩენი არ ყოფილა მიღებული.

რედ.

აღშფოთება პილსუდსკის წინააღმდეგ

ვარშავა, 5 ივლისი. უფრო და უფრო ფართოვდება აღშფოთება, რომელიც გამოიწვია პილსუდსკის გალაშქრებამ სეიმის წინააღმდეგ. მინისტრებმა გადასდეს თავისი შვებულებანი. 6 ივლისისათვის მთავრობასთან თანამშრომლობის უპარტიო ბლოკმა სასწრაფო სხდომა დანიშნა. გლეხთა პარტიის გამგეობა პროტესტს აცხადებს პილსუდსკის გამოსვლის წინააღმდეგ და აღნიშნავს, მთელი თავისი ძალ-ღონით იბრძოლებს საპარლამენტო წყობილების დასაცავად.

დილის გაზეთებში სეიმის თავმჯდომარე— პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრი დაშინსკი, აფრთხილებს ვისაც ჯერ არს, რომ თუ გადატრიალება მოხდა, სახელმწიფო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდება. პოლონეთის სოციალისტური პარტიის ორგანო „რაბოტნიკი“ მწუხარებით აღნიშნავს თავისი გუშინდელი ნომრის კონფისკაციას ვარშავის კომისრის იაროშევიჩის მიერ (პოლ. სოც. პარტიის ყოფილი წევრი), სიტყვას გადაჰკრავს, რომ შესაძლებელია შეიქმნას პოლ. სოც. პარტიის ფარული პრესა და სწერს „უხასიათო და უსვინდისო პირების“ შესახებ, რომლებიც პილსუდსკის წინაშე გაჭიმულნი დგანან. (ადს).

ვოლდემარასის სიტყვა

კოვნო, 5 ივლისი. ვოლდემარასმა ტაუტინინკების (ნაციონალისტების მმართველი პარტია) პარტიულ ყრილობაზე პოლიტიკური სიტყვა წარმოსთქვა. ვოლდემარასმა განაცხადა, რომ ვილნო ლიტვის სახელმწიფოსათვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს წარმოადგენს.

„დასავლეთის ზოგიერთმა სახელმწიფოებმა მოისურვეს პოლონეთის გადაქცევა ძლიერ სახელმწიფოდ რუსეთის, გერმანიის და მთელი ბალტიის ქვეყნების ხარჯზე. პოლონეთი მუხრუჭსავით შემოიჭდო სხვების მიწა-წყალს და შექმნა ეგრეთწოდებული „კორიდორები“ მაგრამ კორიდორებში ქარი უბერავს. უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში კორიდორების გარშემო სხვადასხვა ლაპარაკი სწარმოებს. პოლონეთსა და საფრანგეთს ესმით, რომ ადრე თუ გვიან ისინი გამოეთხოვებიან გერმანიის კორიდორებს და ამიტომ სამაგიეროდ სურთ მიიღონ მემელის ოლქი. ამის გამო ვილნოს საკითხი ცენტრალურ საკითხად ხდება მთელი აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკოსათვის. მის გულისათვის შეიძლება გაჩაღდეს ახალი მსოფლიო ომი. ამ საკითხში ყველა ლიტველი ერთსულოვანია ტაუტინინკები ყოველთვის აღნიშნავდნენ, რომ თუ ისინი ვილნოს საკითხში დათმობის გზას დაადგებიან, მათ დასჭირდებათ დათმობის გზაზე დადგომა კოვნოსიცა და მთელი ლიტვის საკითხშიაც“.

დასასრულ ვოლდემარასმა რწმენა გამოსთქვა, რომ ლიტვა დაიბრუნებს თავის დედაქალაქს. რაკი იგი გამაგრდება შინაური რეფორმების, ლიტვის მოქალაქეთა თავდადების და ნაყოფიერი ეკონომიური განვითარების საფუძველზე, რაც შესაძლებელია პოლონეთის დაუხმარებლად.

ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც იწონებს ლიტვის მთავრობის მუშაობას.

ვუკიჩევიჩის კაბინეტის გადადგომა

ვენა, 5 ივლისი. სამხრეთ-სლავიაში ვუკიჩევიჩის კაბინეტმა დღეს განცხადება შეიტანა გადადგომის შესახებ. ჟურნალისტებთან საუბრის დროს ვუკიჩევიჩმა განმარტა: მთავრობის გადადგომას ის მიზანი აქვს, რომ გაადვილოს კონცენტრაციული მთავრობის შექმნა (ადს).

მეზღვაურების სოლიდარობა

ვენა, 5 ივლისი. საბერძნეთის კომპარტიის ორგანოს „რაზოსპასტისის“ ცნობით, პირეაში მდგომი ყველა გემის მეზღვაურთა კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც სოლიდარობას უცხადებს საბერძნეთის გაფიცულ მუშებს და უერთდება გაფიცვას. ჟანდარმთა რაზმი ამაოდ ცდილობდა კრების გარეკას; კრების მონაწილეებს დაეხმარა სამხედრო ფლოტის მეზღვაურთა რაზმი, რომელმაც მოსთხოვა ჟანდარმებს, რომ დაეტოვებინათ ნავთსადგური (ადს).

ფურცლების გავრცელებისათვის

ლონდონი, 4 ივლისი. სასამართლომ ლანკაშირში 4 მემაღაროეს მიუსაჯა თითო თვით დაპატიმრება იმის გამო, რომ ისინი ჯარისკაცებში ავრცელებდენ ფურცლებს, რომლებითაც მოუწოდებდენ მათ მუშებთან დამობილებას. (ადს).

რადიო „კრასინიდან“

ყინულის მჭრელი „კრასინი“, 5 ივლისი. 3 ივლისის მიწურულს ცხადი შეიქნა, რომ დაზიანებულია მარცხენა ვინტი. გულმოდგინედ დათვალიერების შემდეგ გამოირკვა, რომ ყინულმა დააზიანა ყინულის მჭრელის ერთი ნაწილი. ყინულის მჭრელი ადგილზე რჩება. დაიწყო წყალში მძრომელის მუშაობა. შესაძლებელია, დაზიანებული ნაწილი, შეკეთდეს. ყინულის მჭრელს ისევ გარშემორტყმული აქვს აუარებელი ყინული.

„აზნეფთის“ ექსპონატები

ბაქო, 5 ივლისი. „ნეფტესინდიკატის“ ახლო-აღმოსავლეთის კანტორის ცნობით, ამ დღეებში ბათომიდან ნორვეგიაში მიმავალი გემით იგზავნება „აზნეფტისა“ და „ნეფტესინდიკატის“ ექსპონატები ოსლოს საერთაშორისო გამოფენაზე. „აზნეფტი“ გზავნის თავის ქარხნებში დამზადებული ყველა ნაწარმოების ნიმუშებს. წელს „აზნეფთი“ წარმატებით გამოვიდა თავისი ექსპონატებით სამს მსგავსსავე გამოფენაზე ამერიკასა, თავრიზსა და კიოლნში. (ადს).

გენსაბჭო დისციპლინარული ზომების მომხრეა

ლონდონი, 4 ივლისი. ინგლისის პროფკავშირების გენერალურმა საბჭომ დაადგინა: სთხოვოს პროფკავშ. უახლოეს კონგრესს—უფლება მისცეს გენერალურ საბჭოს დისციპლინარული ზომები იხმაროს იმ პროფკავშირების მიმართ, რომლებიც „პროფკავშირულ მოძრაობის წინააღმდეგ“ მოქმედებენ. (ადს).

მაკდონალდი მემაღაროების მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 4 ივლისი შოტლანდიის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ორგანოში „ფორუორდ“-ში გამოქვეყნებულია მაკდონალდის წერილი მემაღაროების მდგომარეობის შესახებ. მაკდონალდი ამბობს, რომ „კომუნისტური გავლენის ზრდა ჩვეულებრივ მოწმობს პროფკავშირის ძლიერების შესუსტებას“.

შემდეგ მაკდონალდი სწერს:

„ჩვენ იმედი გვქონდა, შინაგან საქმეთა მინისტრი განაცხადებდა, რომ მან აღმოაჩინა ის წყაროები, საიდანაც კომპარტია ფულს იღებს და აუწყებდა მუშებს განსაზღვრულ ცნობებს. სამწუხაროდ, მთავრობის პოზიციის სისუსტე რუსეთის მიმართ იმაში მდგომარეობს, რომ ეს პოზიცია განისაზღვრება მხოლოდ სავაჭრო ინტერესების გავლენით. ეს პოზიცია პოლიტიკური არ არის—ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით“ (ადს).

საიმონის კომისიის მანევრი

ლონდონი, 4 ივლისი საიმონის კომისიამ იმ წერილში, რომლითაც მან პენჯაბის პროვინციის საკანონმდებლო საბჭოს მიმართა, აცხადებს, რომ იგი მზად არის შესცვალოს თავისი თანამშრომლობის პირობები იმ კომიტეტთან, რომელიც შეადგინა პენჯაბის საკანონმდებლო საბჭომ საიმონის კომისიის დასახმარებლად.

წინეთ საიმონის კომისია უფლებას იტოვებდა—დამხმარე კომიტეტის წევრთა დაუსწრებლად განეხილა ზოგიერთი დოკუმენტი და მოესმინა ზოგიერთ მოწმისათვის დახურულ სხდომაზე. ეხლა საიმონის კომისია უარს აცხადებს ამაზე და არ აპირებს „განსხვავების შექმნას საიმონის კომისიასა და დამხმარე კომიტეტის წევრთა შორის“.

ინდოეთის პოლიტიკურ წრეებში საიმონის კომისიის ასეთ ჟესტს, მიაჩნიათ მანევრად, რომლის მიზანია შეანელოს საბოიკოტო მოძრაობა კომისიის წინააღმდეგ.

ინდოეთის ნაციონალისტების ლიდერები სასტიკ უარყოფით აზრს გამოსთქვამენ ამ მანევრის გამო (ადს).

ომის საწინააღმდეგო პროპაგანდის კვირეული

სტოკჰოლმი, 4 ივლისი. 29 ივნისიდან დაიწყო ომის საწინააღმდეგო პროპაგანდის კვირეული, რომელიც შარშანდელი წლის მსგავსად მოაწყეს შვეციის კომპარტიამ და კომკავშირმა. შვეციის, ნორვეგიის და დანიის კომპარტიებმა გამოაქვეყნეს საერთო მანიფესტი, რომელშიაც მოუწოდებენ სკანდინავიის ქვეყნების მუშებს, რომ შეერთებული ძალ-ღონით იბრძოლონ ამ ქვეყნების რეაქციონურ კანონმდებლობას მუშათა საკითხები, ამსტერდამის ინტერნაციონალის ანტისაბჭოთა პოლიტიკას და იბრძოლონ პროფმოძრაობის მთლიანობისათვის. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ხილითა და ღვინით მოვაჭრე ორგანიზაციების გამოკვლევა

მოსკოვი, 5 ივლისი. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა ხილითა და ღვინით მოვაჭრე ორგანიზაციების მუშაობის გამოკვლევა და არადამაკმაყოფილებლად სცნო ის. ბაზრის ხილეულობათა და ღვინით მომარაგება უგეგმოთ სწარმოებს, მეტად მოიკოჭლებს ფასების პოლიტიკაც, ზედნართი ხარჯები ზომაზე მეტია, მოკავშირე რესპუბლიკებთან გარდა ხელშეკრულებათა, არავითარი ურთიერთობა არ არის.

600 უკრაინელი მუშა მოსკოვში

მოსკოვი, 5 ივლისი. 7 ივლისს მოსკოვში სპეციალური მატარებლით ჩამოვა 600 უკრაინელი მუშა, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ კონსტიტუციის დღესასწაულსა და საბჭოთა კავშირის თავდაცვის კვირეულში.

მოსკოვის საბჭო ოქტომბრის მოედანზე უკრაინელ მუშებთან ერთად გამართავს თავის პლენარულ კრებას, რომლის შემდეგაც მოსკოვისა და უკრაინელ მუშების მჭიდრო კავშირის ნიშნად უკრაინელ პროლეტარებს მოსკოვის საბჭო გადასცემს დროშას.

ცალკე სამეცნიერო მუშაკთა ინსტიტუტი

მოსკოვი, 5 ივლისი. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ მიზანშეწონილად სცნო იდეა იმის შესახებ, რომ ზოგიერთ ცნობილ მეცნიერების ირგვლივ დასავლეთ ევროპისა და ამერიკის მსგავსად დაარსებულ იქნას ცალკე ინსტიტუტები.

ახალი გემები: „საქართველო“, „ყირიმი“, „კოტოვსკი“

მოსკოვი, 5 ივლისი. საზღვაო ნაოსნობის ცენტრალურ სამმართველოს უფროსი ამხ. სერგეევი ამ დღეებში გაემგზავრა გერმანიაში, სადაც საბჭოთა კავშირის დაკვეთით შენდება ახალი თბომავალი გემები: „საქართველო“, „ყირიმი“ და „კოტოვსკი“.

მოსკოვში მიღებულ ცნობების თანახმად აღნიშნული გემების აშენება უკვე დამთავრებულია. გემების გამოცდა უნდა მოხდეს ამხ. სერგეევის თანდასწრებით, რის შემდეგაც მათ ჩაუშვებენ ზღვაში, საიდანაც ისინი გამოემგზავრებიან ბათომის ნავთსადგურისაკენ.

სამივე ახალი გემი იმუშავებს შავ ზღვაში ადესა—ბათომის ხაზზე.

30.000 ფიზკულტურელი

მოსკოვი, 5 ივლისი. საკავშირო ცაკის მიერ სპარტაკიადის საორგანიზაციო კომისიის სხდომამ დაადგინა, რომ საკავშირო სპარტაკიადა გაიხსნას მიმდინარე წლის 12 აგვისტოს. სპარტაკიადის აღლუმში მონაწილეობას მიიღებს 30.000 ფიზკულტურელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოოპერაციის საერთაშორისო დღისათვის

პროფინტერნის მოწოდება

მოსკოვი, 5 ივლისი. პროფინტერნის აღმასრულებელმა ბიურომ კოოპერაციის საერთაშორისო დღისათვის გამოსცა მოწოდება ყველა ქვეყნის მუშებისა და მუშა ქალების მიმართ. მოწოდებაში ნათქვამია:

„7 ივლისს, საერთაშორისო კოოპერატიული მოძრაობის ძალთა შემოწმების დღეს, პროფკავშირთა წითელი ინტერნაციონალი მოუწოდებს ყველა ქვეყნის პროლეტარებს, მუშებს, მათ ცოლებს, მუშა-ქალებს და მოსამსახურეებს, მოწინავე კოოპერატორებთან ერთად, მოაწყონ დემონსტრაციები კაპიტალის წინააღმდეგ, მუშათა კლასზე კაპიტალის ეკონომიური და პოლიტიკური შეტევის ცდის წინააღმდეგ.

პროფესიონალურად დარაზმულ მუშებისათვის კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კოოპერატიულ ფრონტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ ცხად ჭეშმარიტებას ვერ ხედავენ —უკეთ: არ სურთ დაინახონ —ბევრი ქვეყნის კოოპერატიული და პროფესიონალური მოძრაობის რეფორმისტული ბელადები, კოოპერატიული ალიანსის და ამსტერდამის ინტერნაციონალის ხელმძღვანელები. ისინი პირველ რიგში აყენებენ, თავიდან ბოლომდე შემცდარ, საზიანო და ყალბ ლოზუნგს კოოპერაციის ნეიტრალობის შესახებ, რაც არსებითად ნიშნავს კოოპერაციის დამორჩილებას ბურჟუაზიისათვის და ცდილობენ კოოპერატიული მოძრაობა ჩამოაშორონ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ორგანიზაციებს—პროფკავშირებს, კერძოთ მუშათა საერთაშორისო მოძრაობის რევოლიუციონურ ფრთას, რომელიც პროფინტერნის დროშის ქვეშ სდგას.

საერთაშორისო კოოპერატიული ბიუროკრატია გერმანიის რეფორმისტების მეთაურობით, ასრულებს რა ბურჟუაზიის ნება-სურვილს, ცდილობს განთავისუფლდეს საერთაშორისო კოოპერატიული მოძრაობის ყველაზე უფრო ძლიერ რევოლიუციონურ, თავისი მოქმედებით ყველაზე უფრო კლასობრივ რაზმისაგან— საბჭოთა კოოპერაციისაგან. რეფორმისტები აშკარად ლაპარაკობენ საბჭოთა კოოპერაციის გამორიცხვის შესახებ საერთაშორისო კოოპერატიულ ალიანსიდან.

გამცემლობის, გათიშვის და ბურჟუაზიასთან შეთანხმების მთელი ამ პოლიტიკის წინააღმდეგ უნდა აღიმაღლონ საპროტესტო ხმა მთელი ქვეყნის პროფესიონალურად დარაზმულმა მოწინავე მუშებმა.

პროფინტერნი მოგიწოდებთ თქვენ გამართოთ დემონსტრაციები, რათა კოოპერაციამ ყოველმხრივ მხარი დაუჭიროს პროლეტარიატს მის ეკონომიურ ბრძოლაში, რათა მუშათა კოოპერაცია ყველა ქვეყანაში გადაიქცეს მუშათა კლასის კლასობრივი ბრძოლის იარაღად, რათა კოოპერაციასა და პროლეტარიატის მებრძოლ ორგანიზაციებს, პროფკავშირებს შორის არსებობდეს მჭიდრო კავშირი. მოგიწოდებთ გამართოთ დემონსტრაციები კოოპერატორ ბიუროკრატების გამთიშველი პოლიტიკის წინააღმდეგ, მთლიანი საერთაშორისო კლასობრივ —პროლეტარული კოოპერატიული ინტერნაციონალის შექმნის სასარგებლოდ. (ადს)

გაფიცულ მუშების მხარის დაჭერისათვის

სტოკჰოლმი, 4 ივლისი. ოსლოს სასამართლომ 4 თვის პატიმრობა მიუსაჯა კომუნისტ ჟურნალისტს კრისტოიანსენს იმ წერილებისათვის, რომლებშიაც იგი მოუწოდებდა თავის მკითხველებს, რომ გაფიცული მშენებელი მუშებისათვის მხარი დაეჭირათ. ამავე დროს სასამართლომ ნორვეგიის მუშათა პარტიის 10 ცნობილი მოღვაწე ფულით დააჯარიმა იმის გამო, რომ მათ მონაწილეობა მიიღეს გაფიცულთათვის დახმარების აღმოჩენაში.

ნობილეს თანამგზავრების და ამუნდსენის დასახმარებლად

„იტალიის" გაფრენის გამო

ბერლინი, 4 ივლისი. „ბერლინერ ტაგებლატ"-მა გამოაქვეყნა თავისი შპიცბერგენელი კორესპონდენტის დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია:

„რაც უფრო მეტი გვესმის მკვიდრ პირებისაგან და რაც უფრო ვეცნობით მდგომარეობას თვითონ ჩვენ მით უფრო კრიტიკული აზრები გვებადება იტალიელების მიერ დაწყებული საქმის შესახებ. სავსებით გასაგები ხდება უკმაყოფილება სკანდინავიის ქვეყნებში, სადაც ნობილეს ექსპედიციას სთვლიან მიზანშეუწონელ და უვარგის განზრახვად. გაიგონებთ აქ ასეთ სიტყვებს: მეტეოროლოგიის მხრით ექსპედიცია საუცხოოა, საქმიანობა კი არა სჩანს. პოლიუსისაკენ „იტალიის" გაფრენის სამეცნიერო შედეგებს ნულს ადარებენ.

რაც შეეხება გადასარჩენ მუშაობას, ექსპერტების აზრით, იტალიელები მას დაქსაქსულად და არაკეთილსინდისიერად ასრულებენ. ამ მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა იტალიელებს თავიდანვე უნდა მიენდოთ გამოცდილ ნორვეგიელ მოღვაწეებისათვის, რომლებიც ერთნაირად არიან დაინტერესებულნი ნობილეს ექსპედიციის გაბნეული ჯგუფის ბედ-იღბლით. ნორვეგიელები, უეჭველია, მეტს მიაღწევდნენ და თავიდან აცილებული იქნებოდა ახალი ავარიები, ხოლო ამუნდსენი, რომელიც არ დაემორჩილა „ჩიტა დი მილანოს" უფროსს, დასთანხმდებოდა საერთო გეგმით მუშაობას. „ჩიტა დი მილანოს" უფროსის შესახებ ამბობენ, რომ იგი ზრუნავს მხოლოდ იტალიის პრესისათვის. იტალიელები რადიოსადგურებს ტვირთავენ თავიანთი ფერადოვანი მაგრამ უშინაარსო დეპეშებით—10.000 სიტყვამდე, ყველა დანარჩენის საინფორმაციო მუშაობას კი საბოტაჟს უცხადებენ. ამის წყალობით უცნაურზე-უცნაური ხმები ვრცელდება." (ადს).

სად იმყოფება ვილიერის ჯგუფი

რომი, 4 ივლისი. ვილიერი იუწყება, რომ მისი ჯგუფი იმყოფება ხუთი მილის მანძილზე იმ ადგილის დასავლეთით, სადაც გუშინ იყო (ადს).

ბაბუშკინის გაფრენა. აღმოსავლეთის ექსპედიციის ამოცანები

მოსკოვი, 5 ივლისი. 4 ივლისს საღამოს საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს „იტალია"-ს დამხმარე კომიტეტში აცნობეს, რომ 4 ივლისის 16 საათამდე კომიტეტს არ მიუღია აღმოსავლეთის ექსპედიციის უფროსის პროფ. ვიზესგან მოხსენება ბაბუშკინის აეროპლანის მდგომარეობის შესახებ. მხოლოდ 18 და 19 საათს შუა კომიტეტმა რუსეთის დეპეშათა სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტის რადიოგრამიდან გაიგო, რომ ბაბუშკინი დაბრუნდა „მალიგინ"-ზე.

ცნობის დაგვიანებით მიღებას კომიტეტი იმით ხსნის, რომ პროფესორმა ვიზემ უნდა გამოგზავნოს დაწვრილებითი ცნობები ბაბუშკინის გაფრენის შესახებ, ხოლო რუსეთის დეპეშათა სააგენტოს სპეციალურ კორესპონდენტს, ალბათ, უფლება მიეცა გამოეგზავნა მოკლე წინასწარი ცნობა ბაბუშკინის დაბრუნების შესახებ.

დაწვრილებითი ინფორმაციის მიღებამდე კომიტეტს არ შეუძლია დააფასოს ბაბუშკინის გაფრენა. ეჭვს გარეშეა, რომ მფრინავმაც და აეროპლანმაც გაამართლეს კომიტეტის იმედი. ამიტომ კომიტეტმა დღემდე არავითარი პრაქტიკული ზომები არ მიიღო ბაბუშკინის საშველად.

პროფესორ ვიზეს მოხსენების მიღების შემდეგ კომიტეტი ასწონ - დასწონის აღმოსავლეთის ექსპედიციის მუშაობის ყველა პირობას და მისი მუშაობის დასავლეთის ექსპედიციასთან („კრასინ"-ი) დაკავშირების შესაძლებლობას. თუ „კრასინ"-მა შესძლო ყველა სამუშაოს შესრულება ნობილეს ჯგუფის გადასარჩენად და „იტალია"-ს ეკიპაჟის დანარჩენი ჯგუფების მოსაძებნად, შეიძლება „მალიგინ"-ს დაევალოს ძებნა იმ რაიონში, სადაც ფიქრობენ, რომ „ლატამ"-ია (ადს).

„კრასინ"-ი

მოსკოვი, 5 ივლისი. „იტალია"-ს დამხმარე კომიტეტმა პროფესორ სამოილოვიჩისაგან მიიღო მოხსენება, რომ 4 ივლისს დილის 9 საათზე „კრასინ"-ი მოხვდა გაუვალ ყინულებში, მაგრამ მაინც წინ მიიწევს. თუ შემდეგში წინსვლა შეუძლებელი იქნება, „კრასინ"-ი იძულებული გახდება გაჩერდეს და დაუცადოს ყინულების დაშლას. 4 ივლისს „კრასინ"-ი 120 კილომეტრის მანძილზე იყო ნობილეს ჯგუფის ადგილ - მდებარეობიდან (ადს).

„კრასინის" წინსვლა

მოსკოვი, 5 ივლისი. „იტალიის" დამხმარე კომიტეტში იუწყებიან, რომ ახლა საჭიროა გამოირკვეს „კრასინის" წინსვლის შესაძლებლობა იმ ადგილისაკენ, სადაც კატასტროფა მოხდა ან, თუ ეს შეუძლებელია, გამოყენებულ იქნას ჩუხნოვსკის თვითმფრინავი დასავლეთის ექსპედიციაზე დაკისრებული ამოცანების წარმატებით შესასრულებლად. კომიტეტი შეეკითხა სამოილოვიჩს სხვადასხვა ტეხნიკური საკითხების გამო. პასუხის მიღების შემდეგ გაცემულ იქნება განკარგულებანი. 4 ივლისს „კრასინი" იმყოფებოდა კატასტროფის ადგილიდან 120 კილომეტრის მანძილზე. აღმოსავლეთის ექსპედიციას ნაბრძანები აქვს წინ წაიწიოს და გამოიყენოს თვითმფრინავი უშუალოდ ნობილეს ჯგუფთან მისაფრენად და აგრეთვე ამუნდსენის მოსაძებნად. ყინულების მოძრაობის ხასიათი საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ „მალიგინი" მიაღწევს კარლოსის კუნძულს, რაც საშუალებას მისცემს ბაბუშკინს, რომ ფართოდ გაავითაროს მუშაობა (ადს).

„მშვიდობიანობაზე" ლაპარაკობენ, ომისათვის ემზადებიან

პარიზი, 4 ივლისი. მთელი ბურჟუაზიული პრესა დიდ ყურადღებას აქცევს საფრანგეთის ფლოტის დათვალიერებას. ჰავრში ამ დათვალიერებას უწოდებს საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ძლიერების აღდგენის დემონსტრაციას. მაგრამ, სწერს გაზეთები, საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ძლიერების აღდგენა „ისახავს არა აგრესიულ მიზნებს, არამედ მშვიდობიან მიზნებს, რომლებიც უზრუნველჰყოფენ კოლონიების ეკონომიურ განვითარებას".

„ლუმანიტე" ამის შესახებ სწერს:

„ამ გარემოებასთან ერთად, რომ უარყოფილ იქნა საბჭოთა წინადადებები განიარაღების შესახებ, ჰავრში მომხდარი დათვალიერება წარმოადგენს საფრანგეთის კომპარტიის კონფერენციაზე ომის საფრთხის შესახებ ეხლახან მიღებული რეზოლიუციის საუკეთესო ილიუსტრაციას" (ადს).

ჩრდილოეთის სახელმწიფოების საპარლამენტთაშორისო კონფერენცია

სტოკჰოლმი, 4 ივლისი. სტოკჰოლმში შესდგა ჩრდილოეთის სახელმწიფოების (შვეცია, ნორვეგია, ფინეთი, დანია, ისლანდია) საპარლამენტთაშორისო კონფერენცია, რომელზედაც შვეციის პარლამენტის დეპუტატმა, ცნობილმა პაციფისტმა, შვეციის სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ფრთის მოღვაწემ ლინდჰაგენმა შეიტანა წინადადება იმის შესახებ, რომ კონფერენციამ მხარი დაუჭიროს სრულ განიარაღებას და წინადადება მისცეს ჩრდილოეთის სახელმწიფოების მთავრობებს, თანაგრძნობა გამოუცხადონ საყოველთაო განიარაღების საბჭოთა პროექტს. შემდეგ ლინდჰაგენმა შეიტანა რეზოლიუციის პროექტი ერთა ლიგის რეორგანიზაციის შესახებ მის დაწუნებულების მიხედვით.

შვეციის დელეგაციის წინადადებით, კონფერენციამ გადასწყვიტა—არ შეიტანოს დღის წესრიგში ლინდჰაგენის წინადადება, იმ საბაბით, რომ ის დაგვიანებით არის წარმოდგენილი (ადს).

ჰოლანდიის ტრანსპორტის მუშათა რეფორმისტულ კავშირის ყრილობა

ბერლინი, 4 ივლისი. როტერდამში დამთავრდა ჰოლანდიის ტრანსპორტის მუშაკთა რეფორმისტული პროფკავშირის ყრილობა.

ყრილობაზე ტრანსპორტის მუშაკთა ინტერნაციონალის სახელით მისალმებით სიტყვით გამოვიდა ედო-ფიმენი. ფიმენმა აღიარა, რომ ტრანსპორტის მუშაკთა ეხლანდელ ინტერნაციონალს „ჯერ კიდევ არ შეუძლია ტრანსპორტის მუშაკთა ბრძოლა გადააქციოს საერთაშორისო მასშტაბის ბრძოლად". მაგრამ, მისი აზრით, „ეს მდგომარეობა შეიცვლება", ვინაიდან ახლო მომავალში სტოკჰოლმში შესდგება ტრანსპორტის მუშაკთა ინტერნაციონალის კონგრესი, რომელიც გაარჩევს ტრანსპორტის მუშაკთა ორგანიზაციის განმტკიცების საკითხს.

ჰოლანდიის ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე ბრეიტიამ თავის მოხსენებაში სასტიკად გაილაშქრა კომუნისტების წინააღმდეგ.

მან აღიარა, რომ კავშირების სუსტი ხელმძღვანელობის გამო, პროფკავშირთა უბრალო წევრები თანდათან შორდებიან ერთმანეთს, „ეს კი,—განაცხადა მან,— ხელსაყრელია მხოლოდ კომუნისტებისათვის, რასაც მოწმობს ტრანსპორტის მუშაკთა გაფიცვა რეინის ნაოსნობაში და ანტვერპენში". (ადს).

უელში კუკის წინააღმდეგ

ლონდონი, 4 ივლისი. შოტლანდიის მთა-მადნის მუშათა ფედერაციის რეაქციონურ აღმასკომი ყოველნაირად ცდილობს ხელი შეუშალოს კუკის არჩევას გენსაბჭოში. 14 ხმით 3-ის წინააღმდეგ აღმასკომმა დაადგინა კუკის კანდიდატურის მაგიერ წამოაყენოს უელშის კანდიდატურა.

კუკი მთა-მადნის მუშათა ფედერაციის ორგანოს ფურცლებზე კომენტარიებს უკეთებს ამ გადაწყვეტილებას და სწერს:

„მე ამირჩიეს მუშებმა და მივმართავ მათ— გადასწყვიტონ ვსარგებლობ თუ არა მე კვლავ მათი ნდობით. სასარგებლო იქნება, ყველა ბელადმა საკითხი თავის შესახებ დასვას მუშათა ფართო მასების წინაშე". (ადს)

საფრანგეთის სავაჭრო პალატა თეირანში

თეირანი, 4 ივლისი. საფრანგეთში მყოფმა სპარსელმა ვაჭრებმა სპარსეთის მისიის საშუალებით იშუამდგომლეს პარიზში სპარსეთის სავაჭრო პალატის დაარსების შესახებ. ამასთან დაკავშირებით გადაწყდა პარიზში არსებულ საფრანგეთ-აზიის სავაჭრო პალატის სპარსულ განყოფილებასთან დაარსდეს პალატა.

ამავე დროს, გადაწყდა თეირანის სავაჭრო პალატასთან დაარსდეს „საფრანგეთის სავაჭრო პალატის განყოფილება".

ეს საკითხი პარიზში განიხილა განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელშიაც შედიოდნენ სპარსეთის ელჩი პარიზში, საფრანგეთ-აზიის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე, სპარსეთის მთავრობის სავაჭრო კონსული პარიზში ემინ-ეს-ზარბი და რამდენიმე სპარსელი ვაჭარი. გადაწყდა პარიზში გაიხსნას სავაჭრო პალატის აღნიშნული განყოფილება, საფრანგეთის სავაჭრო პალატის განყოფილების გახსნა თეირანში იკისრა ემინ-ეს ზარბიმ, როცა ის სპარსეთში დაბრუნდება, ე. ი. ორი თვის შემდეგ (ადს).

გაფიცვები

ინდოეთის დიდ რკინისგზაზე გაფიცვა განახლდა

ლონდონი, 4 ივლისი. რამდენიმე დღის წინად ბურჟუაზიული პრესა დიდის კმაყოფილებით იუწყებოდა, რომ რკინისგზელთა გაფიცვა ლილუაში (ინდოეთი) დამარცხდაო. მაგრამ ეხლა მუშა-მოსამსახურეების უმრავლესობა კვლავ გაიფიცა. (ადს)

გაფიცვა პოლონეთის „საჰაერო მიმოსვლის საზოგადოება-ში"

ბერლინი, 4 ივლისი. ვარშავიდან იუწყებიან, რომ პოლონეთის „საჰაერო მიმოსვლის საზოგადოების" მფრინავებმა გაფიცვა გამოაცხადეს. მოითხოვენ სამუშაო ხელფასის გადიდებას. საჰაერო მიმოსვლა პოლონეთში შეწყვეტილია. (ადს)

„მშვიდობიანობა მრეწველობა-ში"

ლონდონი, 4 ივლისი. ბრისტოლში რკინისგზელთა ნაციონალური კავშირის ყოველწლიურმა კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც იწონებს ალფრედ მონდსა და ბენ-ტერნერს შორის წარმოებული მოლაპარაკებას „სამრეწველო მშვიდობიანობის" შესახებ.

რეზოლიუცია მიღებულ იქნა 64 ხმით 16 ხმის წინააღმდეგ. კონფერენციამ უარყო შესწორება, რომელიც გმობდა მონდთან გამართულ მოლაპარაკებას. (ადს)

„მატენის" ცნობა

პარიზი, 4 ივლისი. „მატენი" იუწყება: ელზასელი ავტონომისტების საქმის გამო მსჯავრდებულებმა რიკლინმა და როსემ, თითქოს უარი განაცხადეს იმ საკასაციო საჩივარზე, რომელიც მათ შეიტანეს კოლმარის სასამართლოს განაჩენზე, „რათა თავიდან აიცილონ საქმის გარჩევა ელზასის ფარგლებს გარეშე" (ე. ი. პარიზის საკასაციო სასამართლოში).

სხვადასხვა

ინგლისის კრეისერ „დონგლის"-ის ავარია

ლონდონი, 4 ივლისი. ინგლისის კრეისერმა „დონგლის"-მა 2 ივლისს სერიოზული ავარია განიცადა: იგი წააწყდა წყალქვეშა ქვებს 5 მილის მანძილზე გალიფაქსიდან (კანადა) (ადს).

ლევენშტეინის დაღუპვა

პარიზი, 4 ივლისი. კერძო ჰიდროპლანით ლონდონიდან ბრიუსელში გადაფრენის დროს ბელგიელ ბანკირს ლევენშტეინს საპირფარეშოში შესვლა უნდოდა, შეცდომით სხვა კარი გააღო და ლა-მანშში ჩავარდა (ადს).

როკფელერის შვილის-შვილი ერთა ლიგის სამსახურში

ლონდონი, 4 ივლისი. „დეილი მეილი"-ს ჟენეველი კორესპონდენტის ცნობით, ცნობილი მილიონერის როკფელერის შვილის-შვილი ჯონ როკფელერი შედის სამსახურში ერთა ლიგის საინფორმაციო განყოფილებაში

საბჭოთა კავშირში

უცხოელთა მადლობა

მოსკოვი, 5 ივლისი. საბჭოთა კავშირის ტერიტორიის დატოვების დროს ლენინგრადში გამართულ ჰაეროარქტიკის საზოგადოების კონგრესის უცხოელმა მონაწილეებმა მურმანსკიდან გამოუგზავნეს საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველს ამხ. გორბუნოვს შემდეგი დეპეშა:

„ვტოვებთ რა რუსეთის ტერიტორიას, ჰაეროარქტიკის კონგრესის მონაწილენი გულითად მადლობას გამოვსთქვამთ წმინდა რუსული სტუმართ-მოყვარეობისათვის, რომელიც ჩვენ გაგვიწიეს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე". (ადს).

„დონუგოლის" სამშენებლო ბიუროს პროცესი

ხარკოვი, 5 ივლისი. 4 ივლისს დილით „დონუგოლის" სამშენებლო ბიუროს პროცესზე დამთავრდა საბრალდებულო ოქმის კითხვა. დაიწყო ბრალდებულთა დაკითხვა. 56 ბრალდებულიდან მხოლოდ 4-მა სცნო თავი სრულ დამნაშავედ, 21 ბრალდებულმა დამნაშავედ სცნო თავი ნაწილობრივ, დანარჩენებმა დამნაშავედ არ სცნეს თავი.

პირველად ირჩევა ბუდენოვკის კანტორის მუშაკთა მოქმედება. მუშაობის მწარმოებლის—ბრალდებულ მალიშევის დაკითხვის დროს გამოირკვა, რომ კანტორაში არსებობდა მექრთამეობის სისტემა. ქრთამს იღებდა კანტორის თითქმის ყველა მოსამსახურე. ნამუშევრის მიმღები ინკინი მალიშევისაგან ქრთამს იღებდა და ამიტომ „არ ამჩნევდა" იაფებული ბინების ნაკლს. მოკლე ხნის განმავლობაში მალიშევმა ინკინს ქრთამად მისცა 2.150 მანეთზე მეტი.

სამშენებლო ბიუროში მალიშევი სამუშაოზე მიაწყო მთავარმა ინჟინერმა კეტხუდოვამ, ამიტომ „მადლობის ნიშნად" მალიშევმა მშენებელთა სტალინის განყოფილების წინაშე აღძრა საკითხი იმის შესახებ, რომ მისი „კეთილისმყოფელი" კეტხუდოვი დაეჯილდოებინათ ორი თვის ხელფასით.

მუშაობის მწარმოებლის თანაშემწე კლეპიკოვი ამბობს, რომ ბუდენოვკის კანტორაში კაცი „აუცილებლად მექრთამე უნდა ყოფილიყო, თორემ შეიძლება შემოკლებინათ". (ადს).

ბოგროვის ჯალათების საქმე

კიევი, 5 ივლისი. ხუთი დღის შემდეგ დამთავრდა ბოგროვის სიკვდილით დასჯის მონაწილეთა—კიევის არსენალის ყოფილი ოსტატების კუზნეცოვისა და სერგეევის პროცესი. სასამართლომ ორივე ბრალდებული დამნაშავედ სცნო იმაში, რომ ისინი რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად შევიდნენ შავრაზმელთა ორგანიზაციაში „რუსკი ბოგატირ"-ში და ეწეოდნენ კონტრ-რევოლიუციონურ აგიტაციას არსენალის მუშათა შორის. ბრალდებულებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ბოგროვის სიკვდილით დასჯაში.

სასამართლომ სერგეევს მიუსაჯა 5 წლით დაპატიმრება სასტიკი იზოლიაციით, კუზნეცოვს—3 წლით. ორივეს უნდა ჩამოერთვას ქონება და აღეკვეთოს უფლებები 5 წლის ვადით. (ადს).

პიონერთა დელეგაცია

მოსკოვი, 5 ივლისი. აქ ჩამოვიდა დანიის, შვეციის და ნორვეგიის პიონერთა დელეგაცია რიცხვით 11 კაცი. (ადს).

ვაჭრობის სახალხო კომისარიატი უცხოეთის ბაზრობაზე

მოსკოვი, 5 ივლისი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს წინადადება მოუვიდა მიიღოს მონაწილეობა შემოდგომაზე განზრახულ სხვადასხვა საერთაშორისო ბაზრობაში. რიგაში 28 ივლისს, კენიგსბერგში—21 აგვისტოს, ვენაში—21 სექტემბერს და პრაღაში—29 სექტემბერს. ვაჭრობის კომისარიატი უკვე ემზადება საბჭოთა კავშირის მონაწილეობისათვის ხსენებულ ბაზრობებში (ადს).

„ინტერნაციონალის" ავტორი მოსკოვში

მოსკოვი, 5 ივლისი. 6 ივლისს მოსკოვში მოვა პიერ დეჟეიტერი, რევოლიუციონური ჰიმნის „ინტერნაციონალის" ავტორი. პიერ დეჟეიტერი საფრანგეთის მუშაა, მოდელების მკეთებელი ლილიდან: ის 70 წლისაზე მეტისაა. დეჟეიტერს მოათავსებენ რევოლიუციის ვეტერანების სახლში, სადაც ცხოვრობენ ფრანგი კომუნისტები ინარი და გე (ადს).

ხარკოველი სტუმრები მოსკოვის საბჭოს პლენუმზე

მოსკოვი, 5 ივლისი. მოსკოვის საბჭოს 8 ივლისის საზეიმო პლენუმზე დასასწრებლად მოემგზავრებიან უკრაინის დედა ქალაქის ქარხანა-ფაბრიკების დელეგატები—600 ხარკოველი მუშა. ხარკოველი სტუმრები მოსკოვში დაჰყოფენ 3 დღეს. მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ დელეგატები საქარხნო კრებებზე გამოვლენ მოხსენებებით თავიანთი მგზავრობის შესახებ (ადს).

სლავიანსკის ჰაეროსტატი უვნებლად დაეშვა

არტემოვსკი, 5 ივლისი. 1 ივლისს სლავიანსკიდან გაფრენილი ჰაეროსტატი, უვნებლად დაეშვა სადგურ როზოვკასთან, მარიუპოლიდან 30 ვერსის მანძილზე. სოფლელებმა დახმარება აღმოუჩინეს ფრენის მონაწილეებს. ჰაეროსტატმა ჰაერში 7 საათს დაჰყო. (ადს).

ა.-კ. ფედერაციაში

იტალიის ნავთის ფირმის წარმომადგენელი ბაქოში

ბაქო, 4 ივლისი. ბაქოში მოვიდა იტალიის სახელმწიფო ნავთის ფირმის „ადიპის" წარმომადგენელი ბაძოლირი. ფირმა „ადიპი" იტალიაში აერთიანებს ნავთის დიდ საზოგადოებებს, რომლებიც ვაჭრობას აწარმოებენ საბჭოთა კავშირთან და რომლებსაც გააქვთ საბჭოთა ნავთის ნაწარმი იტალიის ბაზარზე. ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს ბაძოლირმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში მისი მისვლის მიზანია „აზნეფტისა" და „გროზნეფტის" ხარისხებისა და ქარხნების დათვალიერება; იგი აქ გაეცნობა ნავთის საქმის ტეხნიკის უახლოეს მიღწევებს, რადგან იტალიაში ჰფიქრობენ, რომ საბჭოთა ნავთის ტრესტებმა ამ მხრივ დიდ წარმატებას მიაღწიეს და მათგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება (ადს).

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარისა და თანამშრომლების ცემა

განჯა, 4 ივლისი. აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) სამაზრო კომიტეტში ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს აცნობეს, რომ 3 ივლისს დილით დალმამედლის რაიონის სოფ. ყარაბალახში კულაკების მიერ წაქეზებულმა გლეხებმა და თვით კულაკებმა სცემეს სოფლის თავმჯდომარეს, მილიციელს და საბჭოს სხვა თანამშრომლებს.

დაწვრილებით საქმე ასე მოხდა:

ყარაბალახის სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ გაიგო, რომ საზღვარზე გადმოსული სპარსელი მოლა რელიგიურ ნიადაგზე მოსახლეობაში ფულს აგროვებს. თავმჯდომარემ უბრძანა მილიციელს დაეპატიმრებინა მოლა სამაზროში გასაგზავნად. მილიციელმა დააპატიმრა. მაშინ კულაკებმა უთხრეს შეკრებილ გლეხებს: „არ დაინებოთ ჩვენი წმინდანი". საბჭოს თავმჯდომარე და თანამშრომლები ამაოდ ცდილობდნენ დაპატიმრების მიზეზის განმარტებას. არაფერმა გასჭრა. კულაკები მისცვივდნენ და ცემა დაუწყეს თავმჯდომარეს, მილიციელს და სოფლის საბჭოს სხვა თანამშრომლებს.

შემდეგ 100-ზე მეტი გლეხი გაემართა განჯისაკენ გამართლებისათვის.

როდესაც აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) სამაზრო კომიტეტში გლეხებს განუმარტეს საქმის ვითარება, მათ გასცეს წამქეზებელი კულაკები (ადს).

რა აფერხებს გლეხკომების მუშაობას

საქართველოს გლეხკომების მეორე ყრილობამ (პირველი ყრილობა მოწვეულ იყო 1925 წ. აპრილში), რომელიც ამას წინედ დამთავრდა, დაგვანახა, რომ გლეხკომებს ამ სამი წლის განმავლობაში ჰქონიათ საგრძნობი მიღწევები როგორც ორგანიზაციულ, ისე ფონდების გაძლიერების და ურთიერთ დახმარების დარგში.

მაგრამ მიუხედავად მიღწევებისა, მათ მუშაობაში ადგილი აქვს ბევრ უარყოფით მხარეებს, რაც ხელს უშლის მათ საქმიანობის განვითარებას. სამწუხაროდ, ბევრ მაზრებში ზოგიერთ ადგილობრივ ამხანაგებს კიდევ არა აქვთ ნათელი წარმოდგენა ამ ორგანიზაციების დანიშნულებასა და მნიშვნელობაზე, რის გამო ნაცვლად იმისა, რომ ხელი შეუწყონ მათ მუშაობას და გაუწიონ საერთო ხელმძღვანელობა, ისინი ზოგჯერ ხელსაც კი უშლიან მათ.

გლეხკომების ყურადღება იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ რაც შეიძლება მეტი წევრები შეიძინონ და დაინტერესონ ისინი თავისი საქმიანობით, განავითარონ მათში აქტივობა და თვითმოქმედება. ამისათვის გლეხობაში ფართო აგიტაცია და პროპაგანდა უნდა იქნეს გაწეული. ამ საქმეში გლეხკომებს დახმარება უნდა აღმოუჩინონ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა.

გლეხკომების დანიშნულებაა სოფლად ურთიერთი დახმარების მოწყობა. ეს კი ფონდების შექმნას გულისხმობს. ამ მხრივ პირველ ყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს საწევრო გადასახადების აკრეფას. საწევრო გადასახადი უნდა იყოს გლეხკომების ერთი-ერთი მტკიცე შემოსავალი. მაგრამ ეს წყარო სრულებით არ არის საკმარისი ურთიერთ დახმარების საქმის გაფართოებისათვის. საჭიროა გლეხკომებმა გამონახონ რაიმე შემოსავალი. ამ მიზნით მათ ხელი უნდა მოკიდონ ისეთ წარმოებების გახსნას, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ სოფლის მოსახლეობისათვის, მაგ. წისქვილების, ხორნების, სამჭედლოების, სახარაზოების, აგურხანების და სხვა ასეთების მოწყობას.

მაგრამ აქ საჭიროა შევეხოთ იმ მდგომარეობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა წინათ. 1923-24 წლებში გლეხკომებს ფონდების გასაძლიერებლად ხელისუფლებამ მათ გადასცა წისქვილები, აბანოები და სხვა ასეთი წარმოებები. ბევრი მათგანი იყო განადგურებული და მოითხოვდა კაპიტალურ შეკეთებას. გლეხკომებმა ამაზე გაიღეს მნიშვნელოვანი წვლილი იმ იმედით, რომ ეს წარმოებები მომავალში გაწეულ ხარჯებს ერთი ათად აუნაზღაურებდა მათ და ამით მისცემდა საშუალებას სოფლად ურთიერთ დახმარების საქმის გასაფართოებლად. ბევრ გლეხკომს აქ იმედები გაუცრუვდა. მათ შეაკეთეს წარმოებები, მაგრამ ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენის დროს ეს წარმოებები მათ ჩამოერთვა და შეტანილ იქნა ადგილობრივი აღმასკომის ბიუჯეტში; ამასთან აღმასკომებმა გლეხკომებს არც კი აუნაზღაურეს ის ხარჯები, რომლებიც მათ მიერ იყო გაწეული წარმოებათა შეკეთებაზე.

ყრილობაზე დელეგატები მიუთითებდნენ ამ მოვლენაზე და აღნიშნავდნენ, რომ მათ მომავალშიაც არ ეძლევა საშუალება გააფართოვონ თავიანთი წარმოებები, ვინაიდან შიშობენ, რომ აღმასკომები ამ წარმოებებს შეიტანენ თავიანთ ბიუჯეტში. აუცილებლად უნდა მოგვარდეს ამ დარგში გლეხკომების და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დამოკიდებულების საკითხი. თუ აღნიშნულ მდგომარეობას კვლავაც ექნება ადგილი, გლეხკომების საქმიანობა ძალზე შეფერხდება.

გლეხკომების ფონდების გაძლიერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე კოლექტიური წესით მიწების დამუშავებას, (გარდა იმისა, რომ ეს ხელს შეუწყობს გლეხობის შეკავშირებას). წინათ მათ განკარგულებაში იყო ხამითათხამდე დესეტინა საფონდო მიწები და ბაღები, რომელთა უმეტესი ნაწილი მათ შემდეგ ჩამოერთვა და გადავიდა აღმასკომის ხელში. ეხლა მათ ხელშია 1000 დესეტინამდე, მაგრამ მათი უმეტესი ნაწილი გამოუსადეგარია დასამუშავებლად. აღმასკომები თავიანთ მიწებს ბევრგან სცემენ იჯარით სხვადასხვა პირებზე. მიწის იჯარით გაცემის დროს არა ყოველთვის ეძლევა უპირატესობა გლეხკომებს. თუმცა უკანასკნელთ შესაძლებლობა აქვთ კოლექტიური შრომით დაამუშაონ ის. ასეთ პირობებში გლეხკომი, რასაკვირველია, ვერ შესძლებს თავის მუშაობის გაძლიერებას. ყრილობამ ამ საკითხის შესახებ ცალკე მუხლი შეიტანა, თავის რეზოლიუციაში: „მიექცეს ყურადღება ადგილობრივ აღმასკომების მიერ გლეხკომებისათვის კოლექტიურად დასამუშავებლად საფონდო მიწების გადაცემას, რაც საშუალებას მისცემს მათ გააძლიერონ თავიანთი ფონდები".

თუ ჩვენ გვსურს, რომ იარსებონ გლეხკომებმა, ხსენებულ საკითხებს უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება, წინააღმდეგ შემთხვევაში მარტო საწევრო გადასახადებით გლეხკომები ვერაფერს ვერ გახდებიან. ყრილობაზე გამოირკვა, რომ იქ, სადაც ადგილობრივი ხელისუფლება ყურადღებით ექცევა და ეხმარება გლეხკომებს, უკანასკნელნი კარგად მუშაობენ, ხოლო იქ, სადაც მათ ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები ზერელედ უყურებენ და არავითარ ზომებს არ ღებულობენ მათი მუშაობის გასაჯანსაღებლად, ეს მუშაობა მოიკოჭლებს.

აქვე უნდა შევეხოთ იმ შეღავათებს, რომლებიც დებულების ძალით ეძლევა გლეხკომებს. გლეხკომების დებულების მე-18 მუხლში აღნიშნულია, რომ გლეხკომებს უფლება აქვთ გახსნან სოფლის მეურნეობისათვის დამხმარე საწარმონი და რომ ასეთი საწარმონი თავისუფლდება ყოველგვარი სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადისაგან, თუ ისინი აკმაყოფილებენ მარტოოდენ საზოგადოების წევრთა საჭიროებას. მაგრამ სინამდვილეში ჩვენ სხვას ვხედავთ. მაგ., ქუთაისის მაზრაში გლეხკომებს აქვთ წისქვილები, რომლებიც აკმაყოფილებს მხოლოდ გლეხკომების წევრებს. მიუხედავად ამისა, ეს წისქვილები მაინც იბეგრებიან. გლეხკომებმა უნდა შესძლონ კანონიერი შეღავათებით სარგებლობა.

ყრილობამ ამ საკითხის შესახებ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: „მიღებულ იქნეს ზომები, რომ გატარებულ იქნეს ცხოვრებაში ყველა ის შეღავათები, რომლებიც გათვალისწინებულია გლეხკომების დებულებაში".

ყრილობაზე წამოიჭრა საკითხი სამაზრო გლეხკომების აპარატის შენახვის შესახებ. საერთოდ სამაზრო აპარატს უნდა ინახავდეს თვით ძირითადი გლეხკომები, რომლებიც სამაზრო გლეხკომებში უნდა რიცხავდენ თავიანთ ფონდების 5 პროც., მაგრამ ეს თანხა ისე მცირეა, რომ იდნავადაც ვერ აკმაყოფილებს სამაზრო გლეხკომის საჭიროებას. რუსეთში საგუბერნიო და სამაზრო აპარატებს ინახავს თვით მთავრობა ადგილობრივ ბიუჯეტის ხარჯზე. ჩვენში ამას ადგილი არ აქვს. ამიტომ ჩვენი სამაზრო გლეხკომების უმრავლესობა იძულებულია მოჰკიდოს ხელი რაიმე წამოწყებების ექსპლოატაციას, რომ ამ გზით შესძლონ თავიანთ აპარატის შენახვა. ეს გარემოება კი ხელს უშლის მათ მიერ პირდაპირ მოვალეობის ასრულებას—მაზრაში არსებული გლეხკომების ხელმძღვანელობის განხორციელებას, რამდენადაც მათი ყურადღება ხსენებულ წამოწყებათა ექსპლოატაციაზეა მიქცეული. ყრილობამ აღნიშნა ასეთი მიმდინარეობა და გამოიტანა შემდეგი დადგენილება: „მიღებულ იქნეს ზომები, რათა სამაზრო გლეხკომები თანდათანობით განთავისუფლებულ იქნენ თავიანთ წარმოებების ექსპლოატაციისაგან და გადაეცეს ეს წარმოებები ძირითად გლეხკომებს"; ამავე დადგენილებაში ნათქვამია: „მიღებულ იქნეს ზომები, რათა შეტანილი იქნეს სამაზრო აღმასკომების ბიუჯეტში სამაზრო გლეხკომების ორი მუშაკი".

შემდეგი საყურადღებო საკითხია გლეხკომებისათვის უპატრონო და კონფისკაციაქმნილი ქონების გადაცემა. გლეხკომების დებულებაში ვკითხულობთ: „საზოგადოების სახსარს შეადგენს სოციალურ უზრუნველყოფის ორგანოების მიერ გადაცემული უპატრონო ქონება, აგრეთვე არსებული კანონის მიხედვით სასამართლო თუ ადმინისტრატიული წესით კონფისკაციაქმნილი ქონება".

დებულების ეს მუხლი თითქმის არსად არ ტარდება. ასეთ ქონებას ადგილებზე ეპატრონებიან აღმასკომები, ყრილობამ ამ საკითხის შესახებ გამოიტანა დადგენილება, რომელიც ამბობს: „დაევალოს ცენტრ. გლეხკომის ახალ შემადგენლობას დაამუშაოს საკითხი გლეხკომებზე კონფისკაციაქმნილი და უპატრონო ქონების გადაცემის შესახებ". აუცილებელია ამ საკითხს მიექცეს ყურადღება და ის გადაწყდეს გლეხკომების სასარგებლოთ.

აი, ის მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან გლეხკომების მუშაობას. საჭიროა აღძრულ საკითხების ხისწორით გადაჭრა. წინააღმდეგ შემთხვევაში გლეხკომები დარჩებიან მეტად გამოკიდებული და ვერ შესძლებენ ხახურვალად ყველა იმ ამოცანების გატარებას ცხოვრებაში, რომლებიც მათ აქვთ დაკისრებული.

ეს ამოცანები კი მრავალია; სოფლად ურთიერთ დახმარების საქმის წარმოება, გლეხობის კოოპერაციაში შეკავშირება, დახმარება ადგილობრივ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებს, სოფლის აღმშენებლობის საქმეში აქტიური მონაწილეობის მიღება, გაჭირვებულთათვის შრომითი დახმარების აღმოჩენა და სხვა. ყველა ამ ამოცანების შესასრულებლად საჭიროა ძლიერი ფონდების შექმნა და გლეხკომების საქმიანობისათვის ხელის შეწყობა.

გლეხკომებს კერძოდ დიდი მოვალეობა აწევთ სოფლად კოლექტივების მოწყობის საქმეში. ისინი მომავალში ვალდებული არიან, ურთიერთ დახმარების ორგანიზაციასთან ერთად, გააძლიერონ თავიანთი მუშაობა სოფლის მოსახლეობის კოოპერატიულად შეკავშირებისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის. გლეხობის კოოპერატიულად შეკავშირების საქმეში ჩვენს გლეხკომებს აქვს მიღწევები. დღემდე მათ მიერ კოოპერაციაში შეყვანილია წევრებად 1000 უღარიბესი გლეხი. ყრილობამ საჭიროდ სცნო ამ მიმართულებით მუშაობის გაფართოება; მან გამოიტანა შემდეგი დადგენილება: „გაძლიერებულ იქნეს გლეხკომების მიერ კოოპერატიული მუშაობა უღარიბეს გლეხებს შორის, რისთვისაც გამოყოფილი იქნეს გლეხკომების ფონდიდან 15 პროც.

საერთოდ ის მუშაობა, რომელიც ჩატარებულ იქნა გლეხკომების მიერ, თვალსაჩინოა. ამას გვიჩვენებს მათი [illegible] დაწესებულებების რიცხვის ზრდა, ამ დაწესებულებების შემოსავლის გადიდება, სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეძენა, უღარიბესი გლეხობის კოოპერაციაში შეყვანა და სხვა. მაგრამ ამავე დროს მათ საქმიანობაში აღსანიშნავია მრავალი ნაკლი და შეცდომები. მაგ., დღემდე არ არის გატარებული ცხოვრებაში კოლექტიური ნებაყოფლობითი წევრობა, რაც ეწინააღმდეგება ჩვენს დებულებას.

მომავალში გლეხკომების ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგს: როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათი მუშაობა მიმართული უნდა იყოს გლეხობის კოოპერატიულად შეკავშირებისა და უღარიბეს გლეხობის კოლექტივებში გაერთიანებისაკენ.

ამასთან ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ წარმოებათა ქსელის გაფართოებას, რომლებიც დახმარებას აღმოუჩენენ სოფლის ღარიბ მოსახლეობას. გლეხების თვითმოქმედების გასაძლიერებლად აუცილებელია მათი მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირის დამყარება, რისთვისაც საჭიროა თავის დროზე ხდებოდეს საზოგადო ყრილობები, სადაც გლეხკომებმა ანგარიში უნდა ჩააბარონ თავის მუშაობის შესახებ ამომრჩევლებს. გლეხკომების მუშაობაში ფართოდ უნდა იქნეს ჩაბმული მოჯამაგირეები, გლეხი ქალები, ახკომკავშირი და აგრეთვე სოფლის ინტელიგენტური ძალები.

უდიდესი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია გლეხკომების საქმიანობასთან, შეთანხმებული უნდა იქნეს ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებთან.

უკანასკნელი ყრილობის შემდეგ გლეხკომების მუშაობაში უნდა დაიწყოს ახალი ხანა. მას უნდა მიეცეს გეგმიანი ხასიათი, რითაც საბოლოოდ აღმოფხვრილი იქნება ყველა ის დეფექტები, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

ქ. ხომერიკი.

პარტიული ცხოვრება

სმოლენსკის საგანგებო პარტკონფერენცია

სმოლენსკი, 5 ივლისი. დამთავრდა სმოლენსკის საგანგებო საგუბერნიო პარტიული კონფერენცია. კონფერენციამ მოიწონა ის ზომები, რომლებიც მიიღეს საგუბერნიო კომიტეტმა და საკონტროლო კომისიამ ცეკასა და ცენტრ. საკონტრ. კომისიის მიერ სმოლენსკის საქმეზე მიღებულ დადგენილებებთან დაკავშირებით. საგუბერნიო კომიტეტის ახალ შემადგენლობაში არჩეულია 58 კაცი, აქედან 32 მუშა. საგუბერნიო საკონტრ. კომისიაში არჩეულია 55 კაცი, აქედან 46 მუშა. საგუბერნიო კომიტეტის მდივნად არჩეულია ამხ. ბორისოვი. საგუბერნიო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ ამხ. მოროზოვი (ადს).

აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

სოხუმი, 5 ივლისი. 4 ივლისს სოხუმში გაიხსნა საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მე-3 პლენუმი.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკასა და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმების გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით აფხაზეთის ორგანიზაციის ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ოლქკომის მდივანი ამხ. ამასი, რომელმაც, დაახასიათა რა პლენუმების გადაწყვეტილებათა მთავარი მომენტები, სთქვა: „ჩვენი მუშაობის ერთ-ერთ უდიდეს ნაკლოვანებას წარმოადგენს ის, რომ აფხაზეთის პარტიული და საკონტროლო ორგანოები სუსტ ხელმძღვანელობას და კონტროლს უწევენ მეურნეობის ცალკე დარგებს და აგრეთვე მეურნეობას მთლიანად. უკანასკნელ რვა თვის განმავლობაში ოლქკომის მიერ განხილულ 789 საკითხიდან, მხოლოდ 16 ეხებოდა სამეურნეო საკითხებს. ეს იმას მოწმობს, რომ სერიოზულ პარტიულ ხელმძღვანელობას სამეურნეო ფრონტზე ადგილი არ ჰქონია. ამჟამად აუცილებელია პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მეურნეობის საკითხებს.

დღემდე ჩვენ სწორი წარმოდგენა არა გვაქვს იმაზე, თუ რა ხდება სოფლად, რა სოციალური პროცესები სწარმოებს ჩვენს სოფლებში. ცოტა რაღაცას ჩვენ ამ დარგში ვაკეთებთ, მაგრამ ეს არ კმარა. ეს დიდი ნაკლი მხედველობაში უნდა მივიღოთ და სერიოზულად მოვკიდოთ ხელი სოფლის შესწავლას. ჩვენ სოფლის მუშაობის პრაქტიკასაც არ ვიცნობთ ხეირიანად, არ ვიცით, როგორ ტარდება ის ლოზუნგები, რომლებიც მე-15 პარტყრილობამ გვიკარნახა. საჭიროა, რომ ჩვენმა ორგანიზაციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს გლეხობისათვის კრედიტების მიწოდებას, თვითდაბეგვრისა და სოფლად კოოპერატიული მუშაობის საკითხებს. საჭიროა შემოწმებულ იქნეს, თუ როგორ ტარდება ჩვენს სოფელში მე-15 პარტყრილობის მიერ დასახული ლოზუნგები".

აღნიშნა რა საბჭოთა, კოოპერატიული და ადმინისტრატიული აპარატის ნაკლოვანებანი, მომხსენებელმა სთქვა:

„აპარატში ბევრია უცხო ელემენტი, ჩვენს წინაშე სდგას აპარატის გაწმენდის ამოცანა. ჩვენ მოვახდინეთ ხელმძღვანელ აპარატის კომუნიზაცია, ასეთივე ლოზუნგი უნდა გატარდეს საშუალო აპარატშიაც. ისეთ მნიშვნელოვან [illegible], როგორიც აფხაზეთის სატყეო ტრესტია, სულ ერთი კომუნისტი ჰყავს, აფხაზეთის სახელმწიფო ვაჭრობაში კომუნისტი მხოლოდ თავმჯდომარის მოადგილეა. მუშათა დაწინაურების საქმეც ვერ არის კარგად. საჭიროა ამ საქმის მოგვარება".

შეეხო რა ყოფა - ცხოვრების საკითხებს, ამხ. ამასმა სთქვა:

„არსებობს ისეთი ჩვეულებები და ტრადიციები, რომლებთაც ანგარიში უნდა გაეწიოს. მაგრამ ერთი საქმეა ხალხის ტრადიციები, რომლებთაც ფრთხილად უნდა მოვეპყრათ, და სულ სხვაა, როცა ზოგიერთი კომუნისტები ძველი ყოფა - ცხოვრების ჭაობში ეფლობიან".

დასასრულ მომხსენებელი შეეხო ნაციონალურ საკითხს, აფხაზური ენის განვითარებისა და მასიური მუშაობის საკითხებს (ადს).

სოხუმი, 5 ივლისი. 5 ივლისს აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმის სხდომაზე სწარმოებდა კამათი ამხ. ამასის მოხსენების გარშემო. გაბისონია (სოხუმი) ამბობს, რომ გაგრის სახერხ ქარხანას საკმაო ყურადღება არ ექცევა. ხელმძღვანელობის ხშირი შეცვლის გამო ქარხანა აქამდის წესიერად ვერ გამართულა. საბჭოთა მეურნეობა „მე-3 ინტერნაციონალი" დიდ თანხებს ნთქავს, მაგრამ ნაყოფი ჯერ არა სჩანს. აფხაზეთის სატყეო ტრესტი ბევრ საქმეს ეჭიდება, მაგრამ ვერც ერთს ვერ ამთავრებს.

გრიგოლია (გუდაუთი) ამბობს, რომ საოლქო კომიტეტი მაზრაში მუშაობას ცოცხალ ხელმძღვანელობას არ უწევდა. ინსტრუქტორები ძალიან იშვიათად ჩამოდიოდნენ ხოლმე.

ლაგვილავა (გალი) აღნიშნავს, რომ გალის მაზრაში საკრედიტო ამხანაგობებს გლეხთა მეურნეობათა კოლექტივიზაციის საქმეში ჯერ არაფერი გაუკეთებიათ. გლეხთა ბიუჯეტი შესწავლილი არაა. მაზრაში არ არსებობს სტატისტიკური ორგანო.

ბარდავა (სოხუმი) ამბობს, რომ აფხაზური ლიტერატურის განვითარების ტემპი მეტის-მეტად სუსტია. თუმცა აფხაზური შრიფტის საკითხის შესწავლა უკვე მესამე წელიწადია, რაც სწარმოებს, მაგრამ ნაყოფი დღევანდლამდე არა სჩანს. იზრდება მასების აქტივობა თვითკრიტიკის კამპანიასთან დაკავშირებით, მაგრამ თვითკრიტიკა უნდა მიემართოს სწორი კალაპოტით.

ტრეტენკო (სოხუმი) აღნიშნავს, რომ სამეურნეო დაწესებულებათა სათავეში მდგომ კომუნისტები ხშირად უვლიან გვერდს კოლექტიურ ხელმძღვანელობას.

სხვა ორატორები აღნიშნავდნენ მილიციის მუშაობის სისუსტეს, მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შორის მუშაობის უქონლობას, ანტირელიგიური პროპაგანდის და პოლიტიკური მეცადინეობის სისუსტეს და სხვა.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას პარტისის მუშაობა

(საქ. კ. პ. (ბ) ცეკას გამოკვლევის მასალებიდან)

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას პარტისმა გამოიკვლია საქართველოს კომპარტიის ცეკას პარტისის მუშაობა.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას პარტისის მუშაობაში აღნიშნულია მთელი რიგი ნაკლოვანებანი: პარტისი დაკავშირებული არ არის პარტიულ ორგანიზაციასთან, საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებასთან, პროფესიონალურ მოძრაობის და ახალგაზრდობის მოძრაობის ისტორიის შემსწავლელ კომისიებთან. პარტისი თავის მუშაობაში არ აბამდა პარტიულ საზოგადოებრიობას და გარეშე მეცნიერულ ძალებს. პარტისის მიერ დღემდე გამოშვებული ლიტერატურა არ ატარებს სამეცნიერო გამოკვლევათა ხასიათს და ჯერჯერობით წარმოადგენს მხოლოდ დაუმუშავებელი მასალის კრებულს. ამას გარდა ეს ლიტერატურა პოპულიარული არ არის და მასიურ მკითხველისათვის ნავარაუდევი არაა, რასაც მოწმობს მისი უმნიშვნელო ტირაჟი (1.500 ცალი).

შემდეგისათვის ცეკას პარტისმა წინადადება მისცა საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას პარტისს შეადგინოს მუშაობის გეგმა უახლოეს ორი წლისათვის; სამეცნიერო - გამოკვლევითი მუშაობის ჩასატარებლად მიიზიდოს მუშაკები, რომლებიც იკვლევენ პარტიის და რევოლიუციის ისტორიას; დაუკავშიროს თავისი მუშაობა საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების საქმიანობას და, პროფმოძრაობის და ახალგაზრდობის მოძრაობის ისტორიის შემსწავლელ კომისიების მუშაობას; დასვას საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას წინაშე საკითხი მაზრებში და რაიონებში პარტისის რწმუნებულთა და ხელისშემწყობ უჯრედების გამოყოფის შესახებ. ამას გარდა საჭიროა გამოსცეს პარტიისა და რევოლიუციის ისტორიისათვის მიძღვნილი პოპულიარულ - მასიური ხასიათის ბროშიურები; რევოლიუციის მუზეუმის მუშაობის ხელმძღვანელობის გარდა უნდა მოეწყოს მსხვილ ცენტრებში მუზეუმები და მოძრავი გამოფენები პარტიისა და რევოლიუციის ისტორიის გასაშუქებლად. თვით პარტისთან უნდა მოეწყოს პარტიული არქივი.

რა მოგვცა სამოსწავლო წელმა

(კომუნისტ პედაგოგების გამოკვლევის შედეგები)

კულტურული რევოლიუციის ლოზუნგი და მე-15 პარტყრილობის დირექტივები იდეოლოგიური ფრონტის განმტკიცების შესახებ ჩვენი პარტიული მასის და განსაკუთრებით განათლების დარგში მომუშავე კომუნისტების მიერ საერთოდ შეთვისებულია და ტარდება ცხოვრებაში. ამას მოწმობს ის გაცხოველებული კამათი, რომელიც გაიმართა თბილისის სახალხო განათლების განყოფილების მოხსენების გარშემო განათლების დარგში მომუშავე კომუნისტებისა და კომკავშირის სასკოლო უჯრედების მდივანთა საერთო საქალაქო კრებაზე.

კამათმა გამოააშკარავა, რომ ნამდვილი სოციალისტური აღზრდის დარგში ადგილი აქვს ისეთ დიდ ნაკლს, როგორიცაა მტრული იდეოლოგიის არსებობა და ანტიპროლეტარული გავლენის გაძლიერება ჩვენს საბჭოთა სკოლაში; აქ შეხვდებით ინტელიგენტურ-მეშჩანურ განწყობილებას, პესიმიზმს და ყოფა-ცხოვრების მთელ რიგ უარყოფით მოვლენებს. ზოგიერთი მოწაფეები დადიან ეკლესიებში, რასაც შედეგად მოსდევს მისტიციზმის განვითარება, შემჩნეულია სქესობრივი აღვირახსნილობა და სხ. უკანასკნელ ხანებში გარკვეულად თავი იჩინა ნაციონალისტური განწყობილებების გაძლიერებამ ქართულ, რუსულ და სომხურ სკოლებში. მტრული იდეოლოგია და ანტიპროლეტარული გავლენა ჩვენს სკოლაში ეჭრება ქალაქის ახალ ბურჟუაზიის, კულაკებისა და სოფლის შეძლებულ ელემენტების შვილების საშუალებით. ასეთი განწყობილება ფეხს იკიდებს მასწავლებლობის უმნიშვნელო ნაწილშიაც, რომელიც საბჭოთა სკოლის არსებობის ათი წლის განმავლობაში ისევ „ძველი" დარჩა. არის შემთხვევები, რომ მასწავლებლებიც დადიან ეკლესიებში და მოითხოვენ, რომ მოწაფეებმა მათ „ბატონო"-თი მიმართონ. დაბოლოს ადგილი აქვს მარქსისტული მსოფლმხედველობის დამახინჯებას და სრულ უცოდინარობას.

ჩვენი მოწაფეების სოციალური შემადგენლობა მოითხოვს გაუმჯობესებას. მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის საერთო კულტურული დონის აწევის და საგანმანათლებლო ქსელის გაფართოებასთან ერთად ყოველწლიურად იზრდება, განსაკუთრებით მაღალ ჯგუფებში კულაკებისა და ქალაქის წვრილ-ბურჟუაზიული ფენების შვილთა პროცენტი.

მუშებისა და ღარიბ გლეხების შვილების პროცენტი კი ამ ჯგუფებში თანდათანობით მცირდება.

ჩვენი სკოლების მოწაფეთა სოციალური შემადგენლობა აუცილებლად უნდა გაჯანსაღდეს მუშებისა და ღარიბ გლეხების შვილების ხარჯზე, უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რომ მუშებისა და ღარიბ გლეხების შვილებს შესაძლებლობა ეძლეოდეთ გადავიდნენ უფროს ჯგუფებში და დაამთავრონ სკოლები.

სოფლის სკოლების სოციალური შემადგენლობის მოწესრიგება უნდა ხდებოდეს სოფლის დიფერენციაციასთან შეფარდებით.

ჩვენს მთავარ ამოცანას იდეოლოგიურ ბრძოლის ფრონტზე წარმოადგენს ზედმიწევნით სწორი კლასობრივი ხაზის გატარება და კერძო კაპიტალისტურ-კულაკურ ელემენტების გამოცოცხლების და წვრილ-ბურჟუაზიულ ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლა.

სკოლაში ახალი ყოფა-ცხოვრების განმტკიცების საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს პირობებში. მაგრამ ამ დარგში ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული. საჭიროა საზოგადოებრივი მუშაობის გაძლიერება სკოლაში. საჭიროა ხელის შემწყობ საბჭოების მუშაობის გამოცოცხლება, ვინაიდან ეს საბჭოები მეტად სუსტად მუშაობენ და ხანდახან აკეთებენ არა იმ საქმეს, რაც საჭიროა, არამედ ისეთს, საიდანაც ფული გამოდის.

ძალიან ცოტა ყურადღება ექცევა კომკავშირის უჯრედებსა და პიონერ-კოლექტივებს, რომლებმაც ახალი ყოფა-ცხოვრება უნდა განამტკიცონ სკოლაში და რომელთა მუშაობა ხშირად „კაზიონურ" ელფერს ატარებს. დიდ სკოლებში უნდა იყვნენ ჯამაგირიანი კარგად მომზადებული პიონერ-მუშაკები.

სკოლის მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნენ ყველა მშობლები, პირველ რიგში—კომუნისტი-მშობლები, რომლებიც თითქმის არავითარ მონაწილეობას არ ღებულობენ სასკოლო ცხოვრებაში.

არსებული პირობები ხელსაყრელია იმისათვის, რომ ქალაქის სკოლებმა კავშირი იქონიონ წარმოებასთან და სოფლის სკოლებთან, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ დარგში თითქმის არაფერი არაა გაკეთებული, ამავე დროს კი ბევრი რამეს გაკეთება შეიძლება და უნდა გაკეთდეს კიდეც.

ეგრედწოდებულ „სარწმუნოებრივ" აღზრდის ტენდენციის საწინააღმდეგოდ სკოლებში უნდა შეიქმნას „ულმერთოთა" კავშირის უჯრედები. საბჭოთა კავშირის სხვა ადგილებში ასეთი უჯრედები უკვე დიდი ხანია არსებობს.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი მოიპოვება სკოლის ასაკამდე აღზრდისა და ბავშვების დასვენების მოწყობის დარგში.

სკოლის ასაკამდე აღზრდის ორგანიზაციებში, საბავშვო ბაღებში, საბავშვო სახლებში და სხვ. მეტად სუსტია კომუნისტური გავლენა და პარტიული ხელმძღვანელობა. ბავშვების სოციალური შემადგენლობა ამ ორგანიზაციებში უნდა გაუმჯობესდეს მუშებისა და მოსამსახურეების ბავშვების პროცენტის გადიდებით და დაუკავშირდეს მუშა-მოსამსახურეების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სკოლის ასაკამდე აღზრდის საქმეს ყურადღება უნდა მიაქციოს საბჭოთა საზოგადოებრიობამ და ამ მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ საბინაო კოოპერატიულმა ამხანაგობებმა.

ბავშვების დასვენების მოწყობის საქმე ძალიან ცუდათაა დაყენებული. მაგალითად, თბილისში, სადაც დიდძალი ბავშვებია, არც ერთი ხეირიანი საბავშვო ბიბლიოთეკა არაა.

მარტო რადიო, კინო, თეატრი და სხვადასხვა საბავშვო გასართობი—ვერ აკმაყოფილებს ბავშვების გადიდებულ მოთხოვნილებებს. ამ საკითხს ხელმძღვანელ ორგანოებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ. ბავშვებს არ უნდა იზიდავდეს მეშჩანური ქუჩა. საჭიროა ახალგაზრდა მაყურებლის თეატრის მოწყობა, საჭიროა საბავშვო ჟურნალებისა და საერთოდ ლიტერატურის გავრცელება.

გაუმჯობესებულ უნდა იქნეს აგრეთვე [illegible] სწავლების საქმეც. ამ დარგში მომავალ სამოსწავლო წლიდან უნდა მოხდეს რადიკალური ცვლილება. გარდა ამ მომენტებისა სასკოლო მშენებლობაში ადგილი აქვს მთელ რიგ მეორე ხარისხოვან მნიშვნელობის დეფექტებს. ასეთია სახელმძღვანელოების სიმცირე ადგილობრივ ენებზე, სკოლების საბინაო პირობები და სხვ.

ეხლა ორიოდე სიტყვა მასწავლებლობის შესახებ. საერთო ხაზი, რომელიც სკოლაში ტარდება, სწორია. ჩვენი მასწავლებლობის დიდი ნაწილი საღია და მას შეუძლია გაატაროს ნამდვილი სოციალისტური აღზრდა სკოლაში. მაგრამ ადგილი აქვს ზოგიერთ უარყოფით მხარეებსაც. ჯერ-ჯერობით კიდევ გვყავს ინტელიგენტურ-მეშჩანური განწყობილების მქონე „ძველი მასწავლებლობა", რომელსაც სკოლაში შეაქვს დრო-მოჭმული ტრადიციები და ამით წინააღმდეგობას უწევს ახალი ყოფა-ცხოვრების განმტკიცებას. ადგილი აქვს სარწმუნოებრივ აღზრდისა და აპოლიტიურობის ტენდენციებს და სხვ.

ამავე დროს უდავოა მასიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის გამოცოცხლება მასწავლებლებს შორის და აშკარა გარდატეხა მასწავლებლობის პოლიტიკურ განწყობილებაში, რაც სოციალისტური მშენებლობის მიღწევების შედეგია. დაბოლოს აღსანიშნავია კიდევ ერთი პლიუსი—ჩვენ გვყავს 300 კაცისაგან შემდგარი კომუნისტ-პედაგოგების არმია, რომელიც იზრდება, მტკიცდება და იპყრობს სკოლას.

საზაფხულო პერიოდი ჩვენმა კომუნისტ-პედაგოგებმა და საერთოდ მთელმა მასწავლებლობამ უნდა გამოიყენოს იმისათვის, რომ შეავსონ თავისი ცოდნა, შეისწავლონ სკოლის ავადმყოფური მოვლენები და სახალხო განათლების საქმის დაყენების მეთოდები. ახალი სამოსწავლო წლიდან ახალი ძალღონით შეუდგენ ნაყოფიერ მუშაობას პარტიის გადაწყვეტილებათა მიხედვით.

იაკოვლევი.

მუშაობა გლეხურ აქტივთან

(წერილი თელავიდან)

ზოგიერთი ჩვენი პარტიული ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ გლეხურ აქტივთან მუშაობას, ამის შედეგი კი არის ის, რომ სოფლად აქტივი იზრდება ორგანიზაციის ხელმძღვანელობის გარეშე.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვედა სოფლური ორგანიზაციები იშვიათად იღებენ პარტიაში აქტივისტ მოჯამაგირეებს და ღარიბ გლეხებს. ამის მიზეზია ის, რომ თემკომები და უჯრედები არ აწარმოებენ სპეციალურ მუშაობას აქტივთან. არ ცდილობენ რომ აღზარდონ ახალი აქტივი და თავის კარჩაკეტილობის წყალობით ვერც კი იცნობენ მას. ასეთი მდგომარეობა ცხადია სავალალოა. დრო არის ჩვენი ქვედა ორგანიზაციების მუშაობა წარვმართოთ იქითკენ, რომ აღვზარდოთ გლეხური აქტივი, შემოვკრიბოთ იგი პარტიის ირგვლივ, ჩავაბათ საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობაში და მისი საუკეთესო ნაწილი მივიღოთ პარტიის რიგებში.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა მოახდინონ გლეხური აქტივის აღრიცხვა და საჭიროების მიხედვით მოაწყონ აქტივის ცალკე კრებები. ამ კრებებზე შეიძლება ისეთი საკითხების განხილვა, როგორიც არის თვითდაბეგვრა, სას. სამ. გადასახადი, კოლმეურნეობათა განვითარება, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოხსენებები და სხვა.

სასურველია, რომ უჯრედებმა და თემკომებმა გამოყონ [illegible] პარტ-ამხანაგები (2 ან 3 კაცი), რომლებსაც უნდა ევალებოდეთ ღარიბთა კრებების მოწვევა და საკითხების შერჩევა-მომზადება ამ კრებებისათვის. ასეთი წესი ერთი მხრივ გააუმჯობესებს ღარიბთა შორის მუშაობას, და მეორე მხრივ კი ხელს შეუწყობს პარტიულ ამხანაგების ჩაბმას პრაქტიკულ მუშაობაში. საჭიროა უჯრედებმა თვალყური ადევნონ სხვადასხვა ორგანიზაციებში ჩაბმულ ღარიბებისა და მოჯამაგირეების საქმიანობას, ერთი სიტყვით აუცილებელია გვქონდეს აქტივის კლასობრივი აღრიცხვა.

სოფლად უკვე წლობით იხსნება მოძრავი პოლიტსკოლები, ზოგიერთ ადგილებში თვითგანვითარების წრეებიც, სადაც თამამად შეიძლება გლეხური აქტივის ჩაბმა და მისი საერთო — პოლიტიკური დონის აწევა. სამწუხაროდ ამ საქმეს ჩვენში დღემდე არ ექცევა საჭირო ყურადღება. მომავალში ეს ნაკლი აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

ამჟამად გლეხურ აქტივში ძალიან მცირე პროცენტს შეადგენენ ქალები. ეს გარემოება ავალებს ჩვენს პარტ-უჯრ. გააძლიეროს მუშაობა გლეხ-ქალთა შორის და ხელი შეუწყონ ქალთა აქტივის წამოზრდას სოფლად.

ალ. ჩიღილაშვილი.

არ მოსწონს კრიტიკა

(გუბის თემი, ქუთ. მაზრა)

პარტია ფიქრობს, რომ მასების აქტიური კრიტიკით აღმოიფხვრება და დაისჯება ყოველივე ის, რომელიც წინ ეღობება ჩვენს სოციალისტურ აღმშენებლობას. მაგრამ სამწუხაროდ გუბის თემის აღმასკომის თავმჯდომარეს ქ. რუსაძეს ეს არ ესმის და არც სჯერა.

გამოდის რუსაძე კომუჯრედის კრებაზე — და მოითხოვს ბიუროს დადგენილების დამტკიცებას. მაგრამ ეს რა დამტკიცებაა.., თუ უჯრედის რომელიმე წევრმა გაბედა შეკითხვის მიცემა ან სიტყვის თქმა რაიმე საკითხის ირგვლივ, რუსაძე უყვირის: — შენ ამხანაგო ინტრიგას ეწევი, გარიცხავ! ასევე იქცევა საბჭოს სხდომაზედაც, არჩევნების დროს ვინ გაბედავს მის მიერ წამოყენებულ კანდიდატურის წინააღმდეგ წასვლას. რუსაძე ასეთ კაცებს კონტრ-რევოლიუციონერად მონათლავს.

რუსაძის მოღვაწეობის შედეგია ის, რომ ჩვენს თემში მრავალ უარყოფით მოვლენას აქვს ადგილი.

სოფ. ვარციხეში რუსაძემ საბჭოს წევრობიდან მოხსნა გლეხი კომუნისტი, რომელმაც კრებებზე ხშირად შეკითხვა სხვადასხვა საკითხებზე და მის მაგიერ გაამწესა მოკულაკო ელემენტი [illegible]. ეს უკანასკნელი მონაწილეობდა მენშევიკების მიერ მოწყობილ ავანტიურაში 1924 წ. და ეხლაც მიწის ყიდვა-გაყიდვაში შემჩნეულია.

ასეა.

კომკავშირში

ქალიშვილთა შორის მუშაობის დეფექტები

აღნიშნულ მუშაობას ჩვენში აძნელებს ის გარემოება, რომ ქალიშვილი უმეტეს ნაწილად ეკონომიურად დამოკიდებულია ქმარზე, მშობლებზე, ძმაზე და საერთოდ ოჯახზე. ამას თან ერთვის ქალიშვილების ჩამორჩენილობა, რის გამოც რელიგიური და ყოფა-ცხოვრებითი ტრადიციები მათში უფრო ძლიერია, ვიდრე ვაჟებში.

საქ. კომპარტიის ცეკამ ა. ლ. კ. კ. მუშაობის შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნა, რომ ქალიშვილთა პროცენტი საგრძნობლად ჩამორჩება კომკავშირის საერთო ზრდის ტემპს, ქალიშვილების ძალიან მცირე რაოდენობაა ჩაბმული წარმოებებშიაც. ქალიშვილების პროცენტი კომკავშირში (22,4 პროც.) მათ საერთო რიცხვთან შედარებით მცირეა. უკანასკნელ ხანებში ზრდა უფრო ჩქარი ტემპით მიმდინარეობს, მაგრამ ეს შეიძლება ითქვას მხოლოდ ქალაქზე. სოფლად ზრდა ქალიშვილების ხარჯზე ძლიერ სუსტია, როგორც აღვნიშნეთ კომკავშირელ ქალებს უფრო ადვილად ითრევს მეშჩანური ყოფა-ცხოვრება. კავშირიდან ქალიშვილების ნებაყოფლობითი გასვლა (რომელსაც ხშირად აქვს ადგილი) უმთავრესად აიხსნება გათხოვებით, ოჯახის საქმეებით დატვირთვით ან და დედ-მამის მოთხოვნილებით. იყო შემთხვევა, როცა მთელი უჯრედი დაიშალა კომკავშირელ ქალების გათხოვების გამო. მაგალითად, ბორჩალოს მაზრაში ერთი უჯრედი მთლიანად ქალებისგან შესდგებოდა. გათხოვების შემდეგ ქმრებმა ცემის მუქარით აიძულეს ეს უკანასკნელნი დაეტოვებინათ კავშირი.

ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა თბილისშიაც (მაგ. მბეჭდავთა უჯრედი, კოლოფების ფაბრიკა და სხვ.). სამწუხარო ისაა, რომ ხშირად პარტიისა და კომკავშირის წევრებიც ასევე ექცევიან თავიანთ ცოლებს. ფაბრიკა „მკერავის" უჯრედში, ერთმა კომუნისტმა ცოლს განუცხადა—„შენ რათ გინდა უჯრედი, როცა გყავს ბავშვი, გაქვს ოჯახი. შენ თუ კრებებზე ირბენე, სახლში საქმე ვინ უნდა აკეთოს". აი კიდევ ერთი დამახასიათებელი გამოთქმა: „მე კომკავშირელ ქალს არასოდეს არ ვითხოვ ცოლად—ის კრებებზე სიარულს მოუნდება და ოჯახს ვერ მოუვლის"—ეს „ბრძნული" აზრი ეკუთვნის კომკავშირის ერთ-ერთ პასუხისმგებელ მუშაკს.

კომკავშირელი ვაჟები ზოგჯერ თავისი უხეირო მოქცევით აიძულებენ ქალიშვილებს დასტოვონ კომკავშირი. [illegible] თემში რამდენიმე კომკავშირელმა ქალმა მიატოვა უჯრედი იმის გამო, რომ თემკომის მდივანი ცუდად ეპყრობოდა მათ.

გვაქვს რამდენიმე შემთხვევა, როცა მშობლებმა ძალით გაათხოვეს კომკავშირელი ქალები (შორაპანი, აჭარისტანი). ქუთაისის მაზრაში ა. ლ. კ. კ. უჯრედის მდივანს შეუყვარდა უჯრ. წევრი ქალი და როცა უარი მიიღო, შურისძიების მიზნით გარიცხა ის კომკავშირიდან.

რასაკვირველია, ზოგჯერ კომკავშირელ ქალებს შორისაც ბევრია არანორმალური ელემენტი. [illegible] უჯრედის (თბილისი) კომკავშირელი ქალები მეშჩანურად აცხადებენ, რომ კომკავშირელებთან გავლა არაა საინტერესო, რადგან მათ ცუდი ტანისამოსი აცვიათ. მზიდავთა უჯრედში სამმა კომკავშირელმა ქალმა 8 მარტის სახელზე უარი განაცხადა წითელი თავსაფრის გაკეთებაზე „გინდ ეხლავე გაგვრიცხე კავშირიდან, მაინც არ გავიკეთებთო".

უსამართლობა იქნებოდა, რომ მეშჩანობაში მარტო ქალებისთვის დაგვედო ბრალი, სამწუხაროდ არც ვაჟები არიან თავისუფალი ამ სენისაგან. აქტივისტ კომკავშირელებისაგან ხშირად გაიგონებთ მსჯელობას: „ესა და ეს ქალი უნდა წამოვაყენოთ ხელმძღვანელ სამუშაოზე", რატომ? რისთვის? თურმე იმიტომ, რომ „კარგი გოგოა, მას მისწონს და სხვ."

ცხადია, რომ აქ მოყვანილ მაგალითებს არა აქვთ მასიური ხასიათი. ჩვენი კავშირის უდიდესი ნაწილი სავსებით ჯანსაღია და დღითი-დღე მტკიცდება, როგორც იდეოლოგიურად, ისე კულტურულად. მაგრამ ის ფაქტი, რომ ადგილ-ადგილ მაინც ჩნდება ასეთი მოვლენები, გვავალებს მეტი ყურადღებით მოვეკიდოთ ქალიშვილთა შორის მუშაობას.

კანდიდ.

საბჭოთა საქართველო

წერილები

დღევანდელი წყალტუბო

წყალტუბოს კურორტს უდიდესი ყურადღება ექცევა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, კურორტმა დიდი ნაბიჯი გადადგა წინ ამ 2—3 წლის განმავლობაში: შეკეთდა ძველი აუზები, მოეწყო ხის შენობაში ტალახისა და მზის ვანები, აშენებულ იქნა ჰიგიენური აბანო, აგებულ იქნა ვეებერთელა შენობა სანატორიუმი დაზღვეულთათვის, აგებულ იქნა ელექტრო სადგური. დამთავრდა ოთხ სართულიანი დიდი სასტუმრო 77 ოთახით, მოეწყო ფოსტა, ბაღი, პარკი და სხვ. ერთი სიტყვით წყალტუბო ნამდვილ კურორტს დაემსგავსა.

ახალ შენობებიდან განსაკუთრებით საინტერესოა სასტუმრო. ის ლამაზი სტილისაა და მოხდენილ ადგილზეა აგებული. ამ სასტუმროს აგებამ მეტად გაადიდა საგარაკო საბინაო ფართობი, მაგრამ მას არ შეუძლია დააკმაყოფილოს მთელი მოთხოვნილება. მრავალ მოაგარაკეთათვის ჯერ კიდევ ურმები და ხის ძირები იქნება თავშესაფარი.

ახალ ნაგებობათა შორის საჭიროა შეჩერდეთ კიდის წყლის აბანოზე. აქ წინად ორი თვალი აუზი იყო. გასულ წელს ეს აბანო გადააკეთეს — გააფართოვეს და შიგ მოაწყვეს ოციოდე ცალკე ვანა, მაგრამ ეს ვანები ბავშვებისათვის უფრო გამოდგებოდა, ვიდრე მოზრდილთათვის, ინჟინრის განზრახვა, რომ წყალი თავისით დარიგებულიყო ვანებში, ოცნებად დარჩა. საჭირო შეიქნა საჩჩაველების გამოყენება, რის გამო წყალი სითბოს და რადიაც კარგავდა.

ეხლა შეუდგენ ამ ვანების დარღვევას და აპირებენ საცდელად მოაწყონ აუზები სხვა სისტემაზე. (შარშანდელმა „ცდებმა" კი ოცდა ათი ათასი მანეთი იმსხვერპლა). სხვა ნაგებობებსაც აქვს ნაკლი: ჰიგიენურ აბანოს კედლები უკვე ინგრევა (წლის თავზე) ეს გარემოება აცალებს სათანადო ორგანოებს, რაც შეიძლება მეტი დაკვირვებით მიუდგენ თვითეულ ახალ წამოწყებას.

აგარაკზე ცუდად სდგას სასმელ წყლის მიწოდების საკითხი. დაჩქარებით უნდა მოგვარდეს წყალსადენის გამოყვანის საქმე, უამისოდ კურორტი ანტისანიტარულ მდგომარეობიდან ვერ გამოვა.

აქ დამზღვევ სალაროს ორი შენობა აქვს: ერთი ხის და ერთიც ქვითკირის. უკანასკნელი მოხდენილ ადგილზეა გაშენებული. მაგრამ არც ისე მოხდენილი შენობაა, უფრო ყაზარმას წააგავს, ვიდრე დასასვენებელ სახლს: არც ერთ ოთახს არა აქვს აივანი და საპირფარეშოც სადღაც დასაკარგავშია. დასასვენებელ სახლებში კარგადაა დაყენებული კვების საქმე, ნოყიერად და სუფთად კეთდება სადილი, თეთრი პურიც საკმაოდ აქვთ. სახლში ასამდე მუშა - მოსამსახურე ისვენებს. მიუხედავად არაჩვეულებრივი სივიწროვისა, დისციპლინა და სისუფთავე კარგად არის დაცული.

ძალიან ცუდად არის დაყენებული კულტურულ მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმე.

აგარაკს არა აქვს ბიბლიოთეკა - სამკითხველო, არც თეატრი, არც რადიო. შარშან კოოპერატივმა მოაწყო ერთი პატარა კინო. მაგრამ წელს ელექტრო - ენერგიის ნაკლებობის გამო ისიც დაიკეტა. ასეთ პირობებში აგარაკზე ცხადია მოწყენილობა გამეფებული. კურორტს ახლა არის თემის სამკითხველო, მაგრამ ის სრულიად უხეირო ბინაშია მოთავსებული. სამკითხველოში მოკალათებულია გლეხკომი, თავისი კანცელარიით და დახეული ტომრებით. აქ იმართება საბჭოს სხდომები, კომკავშირისა და პარტიის უჯრედთა კრებები, სასამართლოს სხდომები და სხ. უბინაობა დაღს ასვამს სამკითხველოს მუშაობას, მას არა აქვს ჩამოყალიბებული წრეები, ცუდად არის მოწყობილი კუთხეები, ნაკლებად მოსდის ჟურნალ - გაზეთები და სრულიად არა აქვს სხვა ლიტერატურა.

ამ გარემოებას აუცილებლად უნდა მიაქციოს ყურადღება თვით აგარაკმა და კურორტთა სამართველომ. საჭიროა უკანასკნელმა იზრუნოს არა მარტო აგარაკის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს მოწყობის საკითხზე,—არამედ იკისროს კულტურული შეფობა თვით თემზე, მოუწყოს მას ქოხ-სამკითხველო, დაუდგას რადიო. ეს საქმე არც ისე ძვირი დაჯდება და აგარაკის წინსვლას კი დიდად ხელს შეუწყობს.

გაზეთის მიწოდება კარგად აქვს მოწყობილი ფოსტა-ტელეგრაფის ადგილობრივ კანტორას. კორესპონდენციების მიღებაც მოგვარებულია, მაგრამ ცუდად არის დაყენებული ტელეგრაფის საქმე. დეპეშები წყალტუბოდან ტელეფონით ეგზავნება ქუთაისს და მხოლოდ აქ ეძლევა მათ ნამდვილი დეპეშის სახე. ასეთი გადაცემა, გარდა იმისა, რომ ტელეგრამის შინაარსი ყველას ესმის, ხშირად ტექსტის დამახინჯებასაც იწვევს

კანტორას აუცილებლად უნდა მიეცეს ტელეგრაფის აპარატი. საჭიროა მისი ბინის გაფართოვებაც.

ფოსტა-ტელეგრაფის მახლობლადვე მოწყობილია თემის საექიმო პუნქტი. ეს პუნქტი ერთ ნესტიან, ძველ უვარგის ოთახშია მოთავსებული. არ არის ავადმყოფების მისაღები ოთახი და გასასინჯად მოსულ ხალხს გარედ უხდება ლოდინი. კარგ ამინდში კიდევ მოითმენს ადამიანი, მაგრამ ავდარში და მეტადრე ზამთრობით ეს პირდაპირ აუტანელი ხდება. პუნქტს არა აქვს საექიმო ინსტრუმენტები და ის მედიკამენტები, რომლებიც აუცილებლად საჭიროა ადგილობრივ მცხოვრებთათვის.

უმთავრესი დაავადებანი, რომლებიც გადაგვარების გზაზე აყენებს აქაურ მოსახლეობას — გვეუბნება პუნქტის ექიმი არის მალარია და ანკილოსტომოზი. ამათ წინააღმდეგ საბრძოლველად ქინაქინი და თიმოლია საჭირო. თიმოლი სრულებით არ არის ადგილობრივ აფთიაქში, ხოლო ქინაქინი ძალიან მცირე გვაქვსო.

წყალტუბელი.

„კოოპერატორი" ნარსიძე

(გურჯაანი, სიღნ. მაზრა)

გასულ წელს ამ რაიონში მოვიდა უჩვეულო სეტყვა. გლეხები იძულებული იყვნენ მხოლოდ დღიურ სარჩოზე ეზრუნათ და რასაკვირველია გატანილ კრედიტების დროზე დაფარვა ვერ მოახერხეს.

საკრედიტო ამხანაგობის გამგეობამ მხედველობაში არ მიიღო მოუსავლიანობა და როცა გაზაფხულზე საჭირო შეიქნა ვენახების საწამლი გოგირდ-შაბიამანი, მაშინ მოუჭირა გლეხობას ხელი. გლეხობას განსაკუთრებით ის აბრაზებს, რომ საკრედიტო ამხანაგობის ხელმძღვანელი ნარსიძე ერთობ წყალობს თავის მოკეთე ნათესავებს. მათთვის შაბიამანიც აქვს და ყველაფერი. მაგალითისათვის მოვიყვან ერთ შემთხვევას: შეძლებულ გლეხს პეტრე ზვერიაშვილს, რომელსაც რამოდენიმე დესიატინა სახნავ-სათესი ადგილი აქვს და ამხანაგობის 4 წლის ვალიც მართებს, პირველ რიგში მისცა შაბიამანი და გოგირდი, ხელმოკლე გლეხი კი, რომელმაც შარშან გაიტანა სესხი, უშაბიამანოთ დასტოვა და ლანძღვა-გინებაც გაისტუმრა.

კიდევ მოვიყვან ერთ ფაქტს ნარსიძის მოღვაწეობიდან. ეს ბატონი პურმარილზედაც არ იწვევს პირს. ამ ცოტა ხანში ერთ გლეხს, რომელსაც 300 მან. ვალი აქვს და ვერ გაუნაღდებია, ნარსიძე სამსახურს დაპირდა. გახარებულმა გლეხმა ისესხა ფული და მოაწყო წვეულება. რასაკვირველია ნარსიძეს ბევრა ხვეწნა არ მოუნდა და ლაზათიანათ იქეიფა. მაგრამ როცა ადგილის მიცემაზე მიდგა საქმე, ნარსიძემ გლეხს არხეინად უპასუხა: — ეჰ, ჩემო ძმაო, ტყვილად გაიწიე ამოდენა ხარჯი, სამსახური ვერ გიშოვე, ადგილი უკვე დაკავებული არისო.

ასე „მოღვაწეობს" პარტიის წევრი ნარსიძე გურჯაანში.

ხამთვალი.

გაუხსენით აფთიაქი

(სადგ. სვირი, ქუთ. მაზრა)

სადგ. სვირში არსებობს კოოპერატივი და სხვა ორგანიზაციები. ამას გარდა აქ, ყოველ სამშაბათობით იმართება ბაზრობა, სადაც 15 თემის გლეხობა იყრის თავს.

ამ სადგურის ადგილ - მდებარეობა ჭაობიანია, სადგ. სვირში არ მოიპოვება არც საექიმო პუნქტი და არც აფთიაქი. თემში კი არსებობს ასეთი, მაგრამ სადგურიდან 10—14 ვერსის მანძილით არის დაშორებული. მუშა-მოსამსახურენი იძულებული არიან წამლის შეძენისათვის გააცდინონ რამდენიმე დღე.

საჭიროა აღნიშნულ გარემოებას მიაქციოს ყურადღება როგორც ადგილობრივმა თემსაბჭომ, ისე ჯანმრთელობის კომისარიატმა. სადგ. სვირში აუცილებელია აფთიაქის გახსნა.

ა. ჯულელი.

მუშათა ცხოვრება

სამუშაოების გაცდენა შემცირდა

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბაში სამუშაოების არა საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევები უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად შემცირდა. იყო დრო, როცა ზოგიერთი მუშები არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ არც სამქროს გამგეს, არც სტამბის ადმინისტრაცია და არც ქარხკომს, როცა მოესურვებოდათ მიანებებდნენ თავს სამუშაოს და მიდიოდნენ სამიკიტნოში ღვინის დასალევად.

დღეს ასე აღარ არი. დღეს როგორც სტამბის ადმინისტრაცია, ისე ქარხკომიც სასტიკ ზომებს ღებულობენ სამუშაოს გაცდენის წინააღმდეგ. ამ ზომებმა თავისი ნაყოფი უკვე გამოიღო; სამუშაოების გაცდენა შედარებით წინანდელთან შემცირდა. მაგალითად მიმდინარე წლის იანვარში საპატიო მიზეზით გაცდენილი იქნა 14 საათი. არა საპატიო მიზეზით კი 33 საათი. სულ იანვარში გაცდენილია 47 სამუშაო საათი. თებერვალში არა საპატიო მიზეზით გაცდენილია მხოლოდ 3 საათი. მარტში ათი საათი. აპრილში 15 საათი, მაისში 17 საათი, ხოლო ივნისში კი გაცდენილი საათები ოცდაათხამდე ავიდა, ამ გვარად ექვსი თვის განმავლობაში გაცდენილი იქნა არა საპატიო მიზეზით 88 სამუშაო საათი და საპატიო მიზეზით კი 28 საათი. სულ გაცდენილია 116 სამუშაო საათი. წინად კი სამუშაოების არა საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევები გაცილებით მეტი იყო.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ სტამბაში ლოთობის წინააღმდეგ ჯერ-ჯერობით არავითარი მუშაობა არ სწარმოებს. მართალია, უკანასკნელ ხანებში კულტურული მუშაობა საგრძნობლად გაცხოველდა, მაგრამ ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლა მაინც ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. ქარხკომს დღემდე არც ერთი ლექცია ლოთობის მავნებლობის შესახებ არ ჩაუტარებია. ერთის მხრივ ასეთ ლექციების მოწყობას ხელს უშლის ადგილობრივი პირობები. ხშირად არამც თუ ლექციების მოწყობა არამედ უბრალო საერთო კრების მოწვევაც კი უძნელდება ქარხკომს.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სავსებით თავი მივანებოთ ლოთობისა და ამ ნიადაგზე სამუშაოების გაცდენის წინააღმდეგ ბრძოლას. ქარხკომმა ყოველგვარი საშუალება უნდა იხმაროს ამ მხრივ მუშაობის გასაცხოველებლად.

ადგილობრივ კლუბში დრო გამოშვებით უნდა ეწყობოდეს ლექცია - გასაუბრებები ლოთობის შესახებ ლექციების შემდეგ დრამატიულმა წრემ უნდა აჩვენოს მუშებს ისეთი სურათები, რომლებიც ნათელ წარმოდგენას მისცემენ მუშებს ლოთობის მავნებლობის შესახებ. უნდა ეწყობოდეს აგრეთვე კინო-ლექციებით ამავე თემაზე. ასეთი — საშუალებით ქარხკომი შესძლებს პროფესიონალური ხაზით მოსპოს წარმოებაში ლოთობა და შეამციროს ამ ნიადაგზე სამუშაოების გაცდენა.

ქარხკომის წევრი.

ჩვენი პასუხი

28 ივნისს შესდგა „სამშენი"-ს მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელმაც მოისმინა მოხსენება რასტოვ-ნახიჩევანის მთლიანი მომხმარებელ კოოპერაციის თბილისის მუშკოოპის გამოწვევის შესახებ. კრებამ გამოწვევა ერთხმად მიიღო და დაადგინა ორი თვის განმავლობაში არც ერთი მუშა - მოსამსახურე არ დარჩეს კოოპერაციის გარეშე. კრებამ საჭიროდ სცნო საპაიო გადასახადები ჯერ-ჯერობით გაადიდოს 14 მანეთამდე და მხურვალედ ხელი შეუწყოს მუშკოოპის შემნახველ სალაროებში ანაბარების დაგროვებას.

კრებამ თავის მხრივ გამოიწვია ახალშენებათა, საბინაო სააღმშენებლო კოოპერაციის და საქარ. გზატკეცილების სამმართველოების მუშა - მოსამსახურეები.

ჯავშანელი.

ქალთა პროფსკოლა

(ქუთაისი)

ამხ. კლარა ცეტკინის სახელობის ქუთაისის ქალთა პროფსკოლა აერთიანებს 150 მოწაფეს. სკოლაში სულ 2 ჯგუფია, ხელსაქმის და ჭრა-კერვის მოწაფეები მუშაობენ 8 საათს. მოწაფეებზე გადასახადი დაწესებულია თვეში 5 მან. ღარიბები კი სრულიად განთავისუფლებულნი არიან გადასახადისაგან. სასწავლებელი ემსახურება მთელ მაზრას.

აქ არიან: სოფ. კურსებიდან, ბაღდათიდან, ბანოჯიდან და სხვა სოფლებიდან. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის შენობა ძალზე პატარაა, რის გამო შეზღუდულია მოწაფეების მიღება სასწავლებელში. საჭიროა სკოლის შენობის გაფართოვება.

სკოლასთან არსებობს ავიაქიმის საზოგადოების უჯრედი, რომელიც აერთიანებს 100 წევრს, უჯრედის მუშაობა დამაკმაყოფილებელია. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ ქალთა სკოლაში ქალთა შორის მუშაობა ვერ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. ქალთა განყოფილებამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას. სკოლას დიდი ხნის ისტორია არა აქვს. იგი 1927 წ. 1—ივნისს ჩამოყალიბდა. პირველ ხანებში სკოლის მუშაობას ხელს უშლიდა მრავალი მიზეზი, მაგრამ დღეს, როგორც სკოლის, ისე მოწაფეთა მდგომარეობაც საგრძნობლად გაუმჯობესებულია. ადმინისტრაციასა და მოწაფეების შორის კარგი დამოკიდებულებაა. ახლო ხანებში განზრახულია მოწაფეთა პირველ ჯგუფის გამოშვება.

იმედია მოწაფეები ღირსეულად შეასრულებენ იმ დავალებებს, რასაც აძლევს მათ სკოლა.

ნ. მიქაშავიძე.

უთავბოლო მუშაობა

(ხაშური)

ხაშურის რკ. გზის ელსადგურს საფუძველი ჩაეყარა 1922 წელს. დღიდან სადგურის ამუშავებისა, დაიწყო მანქანების მტვრევა, რაც საგრძნობ ზარალს აყენებს რკ. გზას. ეს იმიტომ ხდება, რომ უბნის ელექტრო ტეხნიკური დარგის ადმინისტრაცია, ერთი კაპიკის ეკონომიას ეწევა და ათ მანეთობით კი ტყუილ უბრალოდ ყრის.

საერთოდ ელექტრო - სადგურებში არის ორგვარი მანქანის ზეთი საგოდლე, რომელიც უნდა იხმარებოდეს სპეციალურად კოდლისათვის. მინერალური საგოდლე იხმარება მხოლოდ საკისურებისათვის. აქ კი ასე არ არის. აქ საგოდლე და მინერალური ზეთი უფროსის განკარგულებით ერთად გადარეულია ორივე ერთად დამუშავების შემდეგ. ხმარდება ამ დანიშნულებას, რომელსაც ემსახურება სუფთა ზეთი.

მართალია ამით ზეთის ეკონომიას ვღებულობთ, მაგრამ სამაგიეროთ ცუდი ზეთის ხმარებით, მანქანას ვაოხრებთ. ელექტრო ტეხნიკური დარგის უფროსი ამას ანგარიშში არ უწევს.

გარდა ამისა საწარმოო კომისიამ და ყველა სპეცებმა, მიზანშეწონილად სცნეს დეპოს ელექტროფიკაცია, რაც წარმოების ნაყოფიერებას 50-60 პროც.-ით აწევდა. მაგრამ აქაც მრავალი დაბრკოლებები ეღობება წინ დეპოს ელექტროფიკაციას. ჯერ ელექტრო მატორის დადგმა და ხაზის გაყვანა, ორი წელიწადი გაჭიანურდა, მანქანების შეკეთებას კი წელიწად ნახევარი მოუნდა. შეიძლებოდა ამ საქმის დროზე მოგვარება და ამდენ ზარალის თავიდან აცილება, მაგრამ მეორე უბნის ელექტრო ტეხ. ნაწილის დაუდევრობითა და გულგრილობით, საქმე ძალზედ ჭიანურდება.

ამ ბოლო დროს ყველაფერი მოწყობილია. მანქანაც მოტანილია და მზად არის დასადგმელი, მაგრამ უკვე ირკვევა, რომ ელექტრო-მოტორი გადასაკეთებელია და მის გაკეთებას მოუნდებიან ორ თვეს მაინც.

ხსენებული ელექტრო - მოტორი თითქმის 6 თვე უყურადღებოდ ეგდო სადგურში. თუ შეკეთება, ან გადაკეთება უნდოდა, რატომ თავის დროზე არ მიიღეს ზომები? მაგრამ უსაქმობით დაავადებულმა ადმინისტრაციამ, ვერც ამას მიაქცია თავის დროზე ყურადღება.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამ უბანში უთავბოლო მუშაობას აქვს ადგილი. ურიგო არ იქნება, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიკვლიოს ამ რაიონის მუშაობა.

გაგო.

მუშკორთა წერილებიდან

რატომ არ მოსთხოვეს პასუხი. მთავარ სახელოსნოს სამჭედლო სამქროს კანტორის მოხელე ზუბაძე შვიდი დღით შვებულებაში წავიდა, მაგრამ ამ დროს გადააცილა 12—დღე. სამსახურში დაბრუნებისას მას არავითარი პასუხი არ მოსთხოვეს. ალბად ვინმე „ძმა-ბიჭების" ხელი მოქმედობს.

იჭაური.

შეაკეთეთ მანქანები. თბილისის დეპოს კანტორის ორი საბეჭდი მანქანა დიდი ხანია შესაკეთებელია, მაგრამ არავინ ყურადღებას არ აქცევს. შრიფტი არც ერთ მანქანას არ უვარგა. იმით დაბეჭდილი რამე მიმართვა ვერ წაიკითხება. ადმინისტრაციამ შეაკეთოს მანქანები.

ძია-ლევან.

გამგეც ასეთი უნდა. საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის სავაჭრო კოლექტივის გამგემ, მოქ. ალ. გუგუშვილმა ამას წინად მიითვისა მოქ. ჩიქოვანის ქალის პალტო, რომელიც შეფასებული იყო 30 მანეთად. აი გამგეც სწორედ ასეთი უნდა.

დარაბა გამოიყენეთ. პეტროვსისა და მის მახლობელ ქუჩებზე არ მოიპოვება არც ერთი კოოპერატიული სავაჭრო. აქ არიან კერძო ვაჭრები, რომლებიც ტყავს აძრობენ მუშა-მოსამსახურეებს. ამავე დროს კი არის აუარებელი დარაბა, რომლის გამოყენებაც მუშკოოპს ადვილად შეუძლიან. მუშკოოპო, გამოიყენე დარაბა და გააღე ერთი სავაჭრო ამ რაიონში.

მუშა.

მოსპეთ უწესობა. რკინის გზის ლიანდაგთან, ანტონოვის ქუჩის მახლობლად ყოველ საღამოს თავს იყრიან ქუჩის ავარა ბიჭ-ბუჭები და გამვლელ-გამომვლელს არ აძლევენ მოსვენებას. წესრიგის დამცველი არავინ არის. საჭიროა ამ ადგილას მილიციის საგუშაგოს დაარსება.

ნიკოლაძე.

ვინ მისცა ამის უფლება? მუშკოოპის ხორცით სავაჭროების სექციის გამგემ, მოქ. ალიხანოვმა, ამას წინად მუშკოოპის მეორე რაიადგილკომის შრომის დაცვის კომისიას, რომელიც არკვევდა № 65 მაღაზიის თანამშრომლების შრომის პირობებს, სრულიად უმიზეზოდ უყვირა და როგორც სექციის გამგე დაუპირა ყველას დატუსაღება. ვინ მისცა მოქ. ალიხანოვს ამის უფლება?

მეთვალყურე.

მოსალოდნელია მარცხი. სადგურის ქუჩაზე, ანდრეევის ქუჩასთან წინად ჩერდებოდა ტრამვაი, ნაგრამ უკანასკნელად ამ ადგილას მოხსნეს გასაჩერებელი ადგილი. ანდრეევის ქუჩით განუწყვეტლივ დადიან დროგები. ტრამვაი ისე ჩქარა მიდის სადგურიდან, რომ ადვილი შესაძლებელია მოხდეს რამე მარცხი. ტრამვაის დირექციამ ამას ანგარიში უნდა გაუწიოს.

კოლხიდელი

მუშფაკელთა ექსკურსია. რკ. გზელთა მუშფაკის პრეზიდიუმმა და პროფკომმა, მოაწყო მუშფაკელთა ექსკურსია ვლადიკავკავში. ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღო 50 მსმენელმა.

მუშფაკელი.

ღვინით მოვაჭრე მესირეები. სად. კავთისხევის მესირეები: მოქ. ი. პაქსაშვილი და ი. სიმონიშვილი, სისტემატიურად ეწევიან ღვინით ვაჭრობას. საუბნო კომიტეტმა პასუხი უნდა მოსთხოვოს ასეთ წევრებს.

ნაკ—კა.

თავდაცვის კვირეულისათვის

ა.-კ. პროფსაბჭოს ცირკულიარი

ამიერ - კავკასიის პროფსაბჭომ რესპუბლიკანურ პროფსაბჭოებს მიმართა ცირკულიარით თავდაცვის კვირეულის ჩატარების შესახებ. ცირკულარში აღნიშნულია, რომ გასულ წელში ჩატარებულ თავდაცვის კვირეულს, ომის რეალური საფრთხის გამოაშკარავების გამო, დაკვრითი ხასიათი ჰქონდა. მიმდინარე წლის თავდაცვის კვირეულის ჩატარებას უნდა მიეცეს განსაკუთრებული ორგანიზაციული ხასიათი და სამზადისი მის ჩატარებლად დროულად უნდა დაიწყოს.

ა.-კ. პროფსაბჭო წინადადებას აძლევს ყველა რესპუბლიკანურ პროფსაბჭოებს შეიმუშაონ კვირეულის ჩატარებელი გეგმა და პროგრამა და მოსამზადებელი მუშაობა კვირეულის ჩასატარებლად დაიწყონ ეხლავე. კვირეულის ღირსეულად ჩატარების მიზნით, საჭიროა დაწყებულ იქნეს ფართო კამპანია ჟენევის კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციის მიერ წარდგენილი განიარაღების პროექტის მნიშვნელობისა და საბჭოთა ხელისუფლების საერთაშორისო პოლიტიკის განსამარტებლად.

ა.-კ. პროფსაბჭო მიზანშეწონილად თვლის შაბათობის მოწყობას და ანარიცხების შეკრების ჩატარებას საერთო კრებების დადგენილებით.

ფულადი საშუალებების შეკრება შემოწირულებათა ფურცლებით უსათუოდ ნებაყოფლობითი უნდა იყოს და უნდა ჩატარდეს თავდაცვა - ავიაქიმის საზოგადოებების საშუალებით რესპუბლიკების მასშტაბით.

თავდაცვის კვირეულის განმავლობაში თავდაცვის იდეების პროპაგანდისათვის ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული მუშათა კლუბები და წარმოებებისა და დაწესებულებების კულტკუთხეები. თავდაცვის კვირეული აღნიშნულ უნდა იქნეს მთელი რიგი ტირებისა და სახროლო კუთხეების გახსნით მუშათა კლუბებთან.

კოოპერაციის საერთაშორისო დღისათვის

კოოპერაციის დღის ჩატარების გეგმა

პროვინციაში

ცეკავშირის საორგანიზაციო განყოფილებამ პროვინციის კოოპერატიულ ორგანიზაციებს აცნობა, თუ როგორი უნდა ჩაატარონ მათ კოოპერაციის საერთაშორისო დღე. 7 ივლისს ყველა სათემო და სასოფლო კოოპერატივებში მოწყობილი იქნება კოოპერატიული მუშაობის დამახასიათებელი გამოფენები. იმავე დღეს კოოპერატივებთან მოწვეული იქნება მახლობელი სოფლების გლეხთა საზოგადო კრებები, სადაც გაკეთებული იქნება მოხსენებები საერთაშორისო კოოპერატიული დღის მნიშვნელობის შესახებ.

ცეკავშირმა ამასთანავე შეატყობინა ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციებს, რომ საერთაშორისო კოოპერატიული დღის აღსანიშნავად ადგილებზე უნდა გამართონ მომხმარებელთა საზოგადო კრებები მოწყობილი უნდა იქნეს მომგებიანი ლატარიები, უნდა გამართონ წარმოდგენები, კინო, ლექცია-საუბრები და კითხვა - პასუხის საღამოები. ყველა ადგილობრივ სამომხმარებლო საზოგადოებებთან დღესასწაულის ჩასატარებლად გამოყოფილი უნდა იქნენ სპეციალური კომისიები, რომლებიც გაუწევენ ხელმძღვანელობას დღესასწაულის ჩატარებას ადგილობრივ კოოპერატივებს ევალებათ მიიღონ ზომები, რომ 6, 7 და 8 ივლისის განმავლობაში გაძლიერებული იქნეს საპაიო გადასახადის შეკრება და ჩატარდეს კოოპერატივებში ახალ წევრთა მიღების კამპანია.

თბილისში

თბილისში საერთაშორისო კოოპერატიულ დღესასწაულის ჩატარების სახელმძღვანელოდ გამოყოფილი არის ცალკე კომისია.

კომისიის დადგენილებით თბილისში 6—7 და 8 ივლისის განმავლობაში ყველა კოოპერატივებში გამოფენილი იქნება პლაკატები, ლოზუნგები და კოოპერატიულ მოღვაწეთა სურათები.

6 ივლისს მუშკოოპის ინიციატივით დაიწყება კოოპერატივების წევრთა ბავშვების ექსკურსიები ქალაქს გარეთ. ექსკურსანტ ბავშვებს მუშკოოპი დაურიგებს სხვადასხვა საჩუქრებს და წითელ დროშებს. 7 ივლისს საღამოს გამართება მასიური კრებები თბილისის მუშათა კლუბებში.

მოხსენებები და საღამო - კონცერტები გაიმართება: მუშათა ცენტრალურ კლუბში, ახალ მუშათა კლუბში (მბეჭდავთა კლუბი), ტრამვაელების მუშათა კლუბში, ტყავტრესტში, ავჭალის მუშათა კლუბში, ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის საზაფხულო ბაღში, ხელოსნათა კლუბის საზაფხულო შენობაში, აღმშენებელთა კლუბში და წითელი არმიისა და ფლოტის სახლში.

მუშკოოპს გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს მომგებიანი ლატარიის გათამაშება. ლატარიაში მონაწილეობისათვის მუშკოოპი მისცემს ბილეთებს ყველა იმ მომხმარებელს, რომელიც 6 და 7 ივლისის განმავლობაში კოოპერატივებში შეიძენს ორ მანეთზე მეტი ღირებულების საქონელს. მოგებათა გათამაშება მოხდება ცენტრალურ პასაჟში, სადგურის უნივერსალურ მაღაზიის შენობაში, №9, 7 და 1. მაღაზიებში და მუშკოოპის ცენტრალურ - უნივერსალურ მაღაზიაში. გათამაშება შესდგება 7 ივლისს საღამოს 7 ნახევარ საათზე.

7 ივლისს მოხდება აგრეთვე საბავშვო მოედნების საზეიმო გახსნა ავლაბარში და ტრამვაის მუშათა კლუბში.

მუშკოოპის ინიციატივით მოეწყობა ბავშვების საზეიმო სეირნობა ავტომობილებით.

რკინის გზებზე

სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობის მიერ გამოყოფილმა სპეციალურმა კომისიამ შეიმუშავა დღესასწაულის ჩატარების გეგმა ა.-კ. რკინის გზებზე.

დღესასწაულის აღსანიშნავად რკინიგზებზე გამოყოფილი იქნება სპეციალური ვაგონი-სავაჭროები და საბარგო ავტომობილები, რომლებითაც მომხმარებლებს მიაწოდებენ პირველი მოთხოვნილების საგნებს.

რკინიგზის ხაზზე არსებულ მუშათა კლუბებში მოწყობილი იქნება სატრანსპორტო კოოპერაციის გამოფენები.

პოლიგრაფიულ წარმოებათა უფროსი მუშების კონფერენცია

გუშინ საღამოს პროფსაბჭოს დარბაზში გაიხსნა საქართველოს მბეჭდავთა კავშირის მიერ მოწვეულ თბილისის პოლიგრაფიულ წარმოებათა უფროსი მუშების კონფერენცია. კონფერენციის მიზანია: გამოარკვიოს უფროსი მუშების ურთიერთობა ადმინისტრაციასთან, მუშებთან და მოწაფეებთან, საწარმოო თათბირების მუშაობა და უფროსი მუშების მონაწილეობა მათში, უფროს მუშების საზოგადოებრივი მუშაობის სახეები და სხ. კონფერენციაზე მონაწილეობს 70 უფროსი მუშა. კონფერენცია გახსნა მბეჭდავთა კავშირის თავმჯდომარემ ამხ. ნიკიტინმა, რომელმაც კონფერენციის მონაწილეთ გააცნო კონფერენციის მიზნები. რის შემდეგ კონფერენცია შეუდგა უფროსი მუშების მოხსენებების მოსმენას.

ამხ. გოგუაძე (1 სტამბა) აღნიშნავს, რომ სამეურნეო ორგანიზაციების დამოკიდებულება უფროს მუშებთან ხშირათ არანორმალურია; მოწაფეთა მიღება ხდება უფროსი მუშების დაუკითხავათ, რის შედეგია ის, რომ მიღებული მოწაფეები სრულიათ შეუფერებელი არიან არჩეულ პროფესიისათვის. მაგალითად პირველ სტამბაში 9 მოწაფიდან მხოლოდ ერთი გამოდგა ლინოტიპზე მომუშავეთ. ამხ. გოგუაძის აზრით საწარმოებში უნდა ეწყობოდეს უფროსი მუშების თათბირები.

ამხ. მაკაროვი („ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა) აღნიშნავს, რომ ნარდათ მომუშავენი არაკეთილსინდისიერად ასრულებენ სამუშაოს; დამოკიდებულება ადმინისტრაციასთან არანორმალურია და სხ.

ამხ. გრიგორიევი ამბობს, რომ მოწაფეებმა უნდა ისწავლონ არა მარტო უფროსი მუშებისაგან, არამედ მუშებისაგანაც. უკანასკნელთაგან კი ზოგიერთები არაკეთილსინდისიერათ ეკიდებიან თავის საქმეს და მათი შემყურე მოწაფეებიც სათანადო მუყაითობას არ იჩენენ საქმისადმი.

მისი აზრით უფროსი მუშების ხელფასი მალიან დაბალია, რაც გავლენას ახდენს მათი მუშაობის ნაყოფიერებაზე.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

სარეწაო კოოპერაციის საკავშირო საბჭო

ა.-კ. სახკომსაბჭომ მოიწონა საკავშირო ცენტრალურ აღმ. კომიტეტის და საკ. სახ. კომისართა საბჭოს მიერ შემუშავებული სარეწაო კოოპერაციის საკავშირო საბჭოს დებულების პროექტი.

სას. სამ. საკ. ამხანაგობების ახალ წესდებაზე გადაყვანის ვადა

ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, სასოფლო-სამეურნეო საკ. ამხანაგობები ახალ წესდებაზე გადაყვანილი უნდა იქნან არა უგვიანეს ა.-წ. 1 ოქტომბრისა.

საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირში

ა.-კ. რკინის გზის სამართველოსთან არსებულ საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის მუდმივ წევრათ დამტკიცებულია ა.-კ. ნავთსადგურების განყოფილების უფროსი ამხ. სერინკველი, ხოლო მის მოადგილეთ ამხ. გრიშეცკაია.

გიაურ—არხი

ა.-კ. სახკომსაბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა და მოიწონა ა.-კ. საგეგმო კომისიის მიერ წარდგენილი გიაურ — არხის სარგებლიანობის განმარტებითი ბარათი.

გიაურ - არხის გაყვანით აზერბეიჯანის სამეურნეო სივრცეს ემატება 38.000 ჰექტარი ნოყიერი მიწა, საგრძნობლათ ფართოვდება მებამბეობის რაიონი და შესაძლო ხდება 1.800 მომთაბარე ოჯახის მიწაზე დამკვიდრება.

ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, გიაურ-არხის რაიონში უნდა მოეწყოს საბჭოთა მეურნეობა, რომლისათვისაც უნდა გამოიყოს მიწის ნაკვეთი 10.000 ჰექტარის სივრცით; გიაურ - არხის რაიონში განზრახულია მესაქონლეობის ფართოთ წარმოება.

საქ. საგეგმო კომისიაში

სოფლის ელექტროფიკაციის სამუშაოები

სახელმწიფო ელექტრო - ტრესტის თბილისის განყოფილებას შუამდგომლობა ჰქონდა აღძრული საქართველოს სახ. საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის წინაშე საქართველოს ფარგლებში სოფლის ელექტროფიკაციის სამუშაოების მისთვის მონოპოლიურად გადაცემის შესახებ.

საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა უარყო ელექტროტრესტის შუამდგომლობა იმ მოსაზრებით რომ სოფლის ელექტროფიკაციის სამუშაოების, რომელიმე ორგანიზაციაზე მონოპოლიურად გადაცემა არ შეუწყობს ხელს სოფლის ელექტროფიკაციის სწრაფი ტემპით განვითარებას. პრეზიდიუმმა მხედველობაში მიიღო აგრეთვე ისიც, რომ საქართველოში ელექტრო - აღმშენებლობას აწარმოებს ორი ორგანიზაცია — სახელმწიფო ელექტრო-ტეხნიკური ტრესტი და „ელექტროსელსტროი", რომლებიც აღნიშნულ მუშაობას აწარმოებენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. საგეგმო კომისიამ მიზანშეწონილად სცნო, რომ სოფლის ელექტროფიკაციის სამუშაოები აღნიშნულ ორგანიზაციებიდან ეძლეოდეს მხოლოდ იმას, რომელიც უფრო მეტ უნარიანობას გამოიჩენს ამ საქმეში.

ახალი ჰიდრო - ელსადგური აფხაზეთში

საქ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის სხდომაზე გაირჩა საკითხი აფხაზეთში მდ. ღალიძგაზე ჰიდრო-ელსადგურის აგების შესახებ. პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად ახლო ხანში დაწყებული უნდა იქნეს მუშაობა სადგურის ტეხნიკური პროექტის დასამუშავებლად. აღნიშნულ საქმისათვის საჭირო თანხები გაღებული უნდა იქნეს გუმისტას ელსადგურისათვის ა.-კ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრებიდან.

სპეციალისტების გაგზავნა საზღვარგარეთ

ქვანახშირის დამუშავების ჰიდრავლიკური წესის გასაცნობად საქარ. სახ. საგეგმო — კომისიამ საჭიროდ სცნო 3 თვის ვადით საზღვარ-გარეთ გაგზავნილ იქნეს ორი სპეციალისტი. მათი გაგზავნისათვის საჭირო ხარჯების გაღება დაეკისრა სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს.

პენსიების დანიშვნის ახალი წესი

სოციალზღვევის მთავარი კომიტეტის ცნობით, უკანასკნელ ხანებში პენსიების დანიშვნის საქმეში ადგილი აქვს მთელ რიგ შეცდომებს.

დამზღვევ სალაროების საქმიანობის გამოკვლევამ ნათელჰყო, რომ პენსიის დასანიშნავად შრომის სტაჟის გამომკვლევ კომისიებს გამოაქვთ მრავალი საეჭვო და არასწორი დადგენილებები, რომლის გამო, ხშირათ ადგილი აქვს პენსიის უსაფუძვლოთ დანიშვნას.

არის შემთხვევები, როცა ქუთაისში მცხოვრები მუშა, ან მოსამსახურე მოწმედ უდგება თბილისში მცხოვრებ პირს სტაჟის დამტკიცების საქმეში, მიუხედავათ იმისა, რომ მოწმე პირველად იმყოფება თბილისში და ისიც დროებით.

დამზღვევ სალაროებს ხშირათ შეუძლებლად მიაჩნიათ უარი უთხრან პენსიის დანიშვნაზე ამა თუ იმ პირს, რადგანაც დაქირავებითი მუშაობის სტაჟი დადასტურებულია სტაჟის გამომრკვევ კომისიის მიერ.

სტაჟის გამომრკვევ კომისიების შეცდომებს ხშირად მოსდევს პენსიის დანიშვნა ისეთ პირებისათვის, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო დაქირავებულ შრომასთან და არც მოეპოვებათ პენსიის დასანიშნად საჭირო სტაჟი.

ამ არა ნორმალურ მოვლენის აღმოსაფხვრელად სოციალურ დაზღვევის რესპუბლიკანური კომიტეტმა გამოიმუშავა შესაფერი ღონისძიებები და პენსიის დანიშვნის ახალი წესი.

ამ წესის მიხედვით მუშაობის სტაჟის გამორკვევა უნდა ხდებოდეს არა მოწმეების, არამედ საბუთების საშუალებით. მოწმეები კი უნდა იქნან გამოყენებული იმ შემთხვევაში, როცა სტაჟის დამამტკიცებელი საბუთები (დაწესებულება-წარმოების გაუქმების და ან საბუთების დაკარგვის გამო) არ მოიპოვება.

საბუთების არ წარდგენა დასაშვებია იმ პირებისათვისაც, რომლებიც პროფესიის ხასიათის გამო, სისტემატიურად გადადიან ერთი ადგილიდან მეორეზე. ასეთ პროფესიას ეკუთვნიან მშენებელნი, მტვირთავები და სხვა.

სტაჟის გამომრკვევმა კომისიებმა აგრეთვე ყურადღება უნდა მიაქციონ მოწმის სოციალურ მდგომარეობას.

კომიტეტის განმარტებით, სტაჟის გამომრკვევ კომისიის დადგენილება არ არის სავალდებულო დამზღვევ სალაროების გამგეობებისათვის. გამგეობას შეუძლია სტაჟის გამომრკვევ კომისიის ესა თუ ის დადგენილება მიიჩნიოს საეჭვოთ და ასეთები უკანვე დაუბრუნოს სტაჟის გამომრკვევ კომისიას.

ადგილების განაწილება რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში

რ. ს. ფ. ს. რ. უმაღლეს სასწავლებლებში მეორე საფეხურის სკოლის კურსდამთავრებულთათვის საქართველოს დაეთმო 83 ადგილი.

ამ ადგილებიდან სტიპენდიით უზრუნველყოფილი იქნება 46 ადგილი, (უმთავრესად ინდუსტრიალურ-ტეხნიკურ და სას.-სამ. უმაღლეს სა—ში).

ადგილები ნაწილდება შემდეგნაირად:

ქ. თბილისს და მის მაზრას—11; აჭარისტანს—6; აფხაზეთს—5; სამხრეთ-ოსეთს—4 (ავტ. რესპ. სტუდენტების სტიპენდია უნდა გაღებულ იქნეს ადგილ. განათლ. სახ. კომისარიატების ბიუჯეტიდან); სიღნაღის მაზრას—1; თელავის—1; გორის—1; შორაპნის—1; ქუთაისის—1; სენაკის—1; ზუგდიდის—1; რაჭის—1; ლეჩხუმის—1; ოზურგეთის—1; ახალქალაქის—1; ახალციხის—1; ბორჩალოს—1; ზ. სვანეთის—1; კომკავშირის ცეკას—2; პარტიის ცეკას, მ. და გ. ქალთა-განყოფილებას—2; აგიტპროპგანყოფილებას—2.

დანარჩენი ადგილები უსტიპენდიოა. მსურველებს უსტიპენდიო ადგილების მისაღებად შეუძლიათ მიმართონ საქ. განათლების სახ. კომისარიატს ა. წ. 20 ივლისამდე.

აღნიშნულ რიცხვამდის განათლების კომისარიატში წარმოდგენილ უნდა იქნეს აგრეთვე ცნობები იმ პირთა შესახებ, რომელსაც მოავლინებენ მაზრები (სტიპენდ.), წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ჩაითვლება გამოუყენებლად და გადაეცემა სხვა ორგანიზაციას.

მიღების პირობები ადგილებს დაეგზავნება, მისაღებად საგამოცდო პროგრამები იყიდება რ. ს. ფ. ს. რ. გამომცემლობის მაღაზიებში.

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკში

სას.-სამ. კრედიტის ქსელის მუშაკთა მომზადება

ა.-კ. სას.-სამ. ბანკს განზრახული აქვს მოაწყოს სას.-სამ. საკრედიტო სისტემის ძირითად ქსელში მომუშავეთა მოსამზადებელი კურსები.

კურსების ორგანიზაციის საორიენტაციო გეგმის მიხედვით; კურსების მოწყობა დაჯდება 73.752 მანეთი; აქედან 22.127 მან. გაიღებენ ა.-კ. რესპ. ბანკები, 7.628 მანეთს ა.-კ. სას.-სამ. ბანკი, ხოლო დანარჩენი 44.000 მან. გამოთხოვილია საბჭოთა კავშირის სას.-სამ. ბანკიდან.

კურსების სასწავლო გეგმაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის საქმეს.

კურსების დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულნი 2 წლის განმავლობაში იმუშავებენ სას.-სამ. კრედიტის ძირითად ქსელში.

საპაიო კამპანიის შედეგები

სამომხმარებლო კოოპერაციის განკარგულებაში მყოფ საშუალებათა შორის საპაიო თანხების ხვედრი წონა მეტად მცირეა ამ წლის დასაწყისში ის არ აღემატებოდა 7—8 პროც. სუსტია აგრეთვე საპაიო თანხების როლი წევრთა საქონლით მომარაგების საქმეში; თანხების ტრიალის იმ სისწრაფის დროს, რომელსაც დღეს ადგილი აქვს სამომხმარებლო კოოპერაციაში, ის საშუალოდ არ აღემატება 10—15 პროც., მაშასადამე, სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობაში ძალიან დიდი ადგილი უკავია ნასესხ თანხებს, ხოლო სრულიად უმნიშვნელო საპაიოს სახით შეგროვილ თანხებს. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, კარგად ვერ ახასიათებს ჩვენ სამომხმარებლო კოოპერაციას, როგორც წევრთა თვითმოქმედებაზე დამყარებულ ორგანიზაციას.

ამავე დროს კი სახელმწიფოს არ შეუძლია საკუთარი თანხების კოოპერაციის ბრუნვებში კვლავ დატოვება. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სხვა გადაუდებელი საჭიროებანი სახელმწიფოსაგან მოითხოვენ მთელი თავის საშუალებების მობილიზაციას და მათ რიცხვში იმ ასეულ მილიონ მანეთებისაც, რომლებიც სახელმწიფოს კოოპერაციის ბრუნვებში აქვს დაბანდებული (საბჭოთა კავშირის მასშტაბით). სახელმწიფო კიდევ შეუდგა კოოპერაციაში მოთავსებული თანხების ამოღებას; კოოპერატივებს შეუმცირდათ საბანკო კრედიტები 20 პროც., ხოლო მომავალში ეს კრედიტები კიდევ უფრო შემცირდება.

ცხადია, რომ მცირე რაოდენობის საკუთარი თანხების აპარატით მიტოვებულ სამომხმარებლო კოოპერაციას მეტად გაუჭირდება არსებობა. ამიტომ დაისვა ამოცანა საპაიო თანხების სწრაფად შეგროვების მიზნით ფართო კამპანიის ჩატარების შესახებ.

ცეკავშირმა საპაიო კამპანია ჩაატარა ა.-წ. პირველ აპრილიდან 15 მაისამდე. საპაიო კამპანიის ჩატარების გეგმა და წესი, რომელიც ინსტრუქციებთან ერთად დაეგზავნათ კოოპერატივებს და ინსტრუქტორებს, წინასწარ შეთანხმებული იყო ს. კ. პ. ცეკასთან და გულისხმობდა ამ საქმისათვის მთელი სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციების გამოყენებას.

ცეკავშირმა წინასწარ მიიღო ზომები კამპანიისათვის სათანადო ნიადაგის მოსამზადებლად სპეციალურად ამ საქმის მოწოდებების გამოშვებით წევრებისადმი, კამპანიის მნიშვნელობის გაშუქებით კოოპერატიულ და საერთო სამოქალაქო პრესაში, მოხსენებებით კრებებზე, მოხსენებების გადაცემით რადიოს საშუალებით და სხვა.

იმ მიზნით, რომ კოოპერატივების გამგეობები წაქეზებული ყოფილიყვნენ კამპანიის მიზანშეწონილად ჩატარებისათვის, ცეკავშირის გამგეობამ დანიშნა ორი სამ-სამ ხარისხიანი პრემიები ანუ სულ ექვსი პრემია იმ ქალაქის და სოფლის კოოპერატივების დასაჯილდოებლად, რომლებიც კამპანიას განსაკუთრებული წარმატებით ჩაატარებდნენ.

კამპანიით მიღებული შედეგები საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მთელ ქსელში იძლევიან 1 აპრილიდან 15 მაისამდე წევრთა რიცხვის ზრდას 10944 კაცით ანუ 8,7 პროც., საპაიო თანხა ამავე ხნის განმავლობაში გაიზარდა 317203 მანეთით ანუ 22,6 პროც., ხოლო საშუალო საპაიო თანხა თვითეულ წევრზედ გაიზარდა 5—58 კაპ. ნაცვლად 4—72 კაპეიკისა კამპანიის დაწყებამდე.

წლის დასაწყისიდან 15 მაისამდე საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციას შეუკავშირებია 42251 წევრი, ხოლო საპაიო შეუკრებავს 724,338 მან. თუ შევადარებთ წევრთა და საპაიო თანხის ზრდის სიჩქარეს კამპანიის დროს და კამპანიის დაწყებამდე, მოვნახავთ, რომ კამპანიის დროს წევრთა ზრდის ტემპი გადიდდა 40 პროც., ხოლო საპაიო თანხის — 211 პროც.

წევრთა შეკავშირების მხრივ საპაიო კამპანიის განმავლობაში საგრძნობი მიღწევები აქვს ზემო-სვანეთს (18 პროც.), შემდეგ მიდის ლეჩხუმის მაზრა (18,8 პროც.), დუშეთის (18,2 პროც.), ბორჩალოს (13,6 პროც.) და დანარჩენი მაზრები.

საპაიო თანხების ზრდაში კი პირველი ადგილი დაიჭირეს ლეჩხუმის მაზრამ (128,5 პროც.), შემდეგ დუშეთის მაზრამ (84,5 პროც.) გორის მაზრამ (49,0 პროც.), ზემო სვანეთმა (48,2 პროც.). მათ მიყვებიან დანარჩენი მაზრები.

ცალ-ცალკე კოოპერატივების მიღწევები საპაიო კამპანიის ჩატარებაში განხილულ იქნა 26 ივნისს ჟიურის მიერ, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. ფილიპე მახარაძე.

ჟიურიმ პირველი ხარისხის პრემიით (1500 მან. ფულად და ერთი თვის ფართლის ნორმა) დააჯილდოვა ბორჯომის და დაგვის კოოპერატივები. მეორე ხარისხის პრემიით დააჯილდოვა ცაგერის და ფოთის კოოპერატივები (750 მანეთი ფულად და ნახევარი ნორმა ფართლისა თვითეულს ცალ-ცალკე) და მესამე ხარისხის პრემია ანუ ხუთას-ხუთასი მანეთით და ფართლის მეოთხედ ნორმით, დაჯილდოვებულ იქნენ ფშაველის და ახურეთის კოოპერატივები.

საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებამ სოფლად, პურის და ფართლის ნაკლებობამ კოოპერატივებში, საგლეხო სესხის სარეალიზაციო კამპანიამ და სხვა ადგილობრივ ხასიათის კამპანიებმა, რომლებიც წინ უსწრებდა ან ტარდებოდენ საპაიო კამპანიასთან ერთად, აგრეთვე, კამპანიის ჩამტარებელ საორგანიზაციო კომისიების — ხუთეულების სისუსტემ, შეამცირეს ის შედეგები, რომლებიც საპაიო კამპანიას შეეძლო გამოეღო სხვა პირობებში.

ზოგიერთ მაზრებში ხუთეულებმა კამპანია დაიწყეს აპრილის უკანასკნელ ან მაისის პირველ რიცხვებში (ახალციხე, ახალქალაქი, შორაპანი, ქუთაისი და სხ.), ე. ი. ერთი თვის დაგვიანებით. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ დასახელებულ მაზრების კოოპერატივების საპაიო თანხის შეგროვების ტემპი უფრო აჩქარებულია კამპანიის დამთავრების შემდეგ, ე. ი. მაისის მეორე ნახევრიდან.

კამპანიით მიღებული შედეგი მნიშვნელოვანია, მაგრამ იმ ამოცანებთან შედარებით, რომლებიც კოოპერაციამ უახლოეს ხანში უნდა გადასჭრას, ის მაინც ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად.

საჭიროა საპაიო კამპანია გაგრძელებულ იქნეს ყველგან, განსაკუთრებული ენერგიით კი იქ, სადაც წარსულ მუშაობის შედეგები სუსტია, მაგ., სამხრეთ-ოსეთში, აჭარისტანში, ქუთაისის, გორის, შორაპნის, ახალციხის ახალქალაქის და ნაწილობრივ სენაკის და ზუგდიდის მაზრებში.

კოოპერატივებმა და აგრეთვე ინსტრუქტორებმა მიზნათ უნდა დაისახონ, რათა არ დარჩეს არც ერთი კოოპერატივი, რომელსაც წლის ბოლოსათვის საშუალო საპაიო გამოსაღები თვითეულ წევრზედ 6 მან. 50 კაპ. ნაკლები ექნება.

ს. ს—თაძე.

საშემოდგომო თესვის კამპანიის წინ

ათ პროცენტიან შერჩევითი გამოკვლევის მასალების თანახმად, საქართველოში სასოფლო მეურნეობათა 42,4 პროც. მოკლებულია ინვენტარს, 54,4 პროც. კი არ აქვს სატრანსპორტო საშუალებები. ეს გარემოება აიძულებს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს მომავალ საშემოდგომო თესვის კამპანიის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სასოფლო - სამეურნეო იარაღ-მანქანების შემოტანას, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის მექანიზაციას.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის გეგმით, საქართველოში 1928 — 29 წელში შემოტანილი უნდა იქნეს 879.000 მანეთის სასოფლო - სამეურნეო იარაღ - მანქანები. ამ თანხით შემოტანილი უნდა იქნეს 3.620 გუთანი, 350 ფარცხი, 2.000 კულტივატორი, 20 სათესი მანქანა, 100 სიმინდის სათესი მანქანა, 165 სათიბი მანქანა, 100 ხორბლის სარჩევი მანქანა, 10 სიმინდის სარჩევი, 20 ჭარხლის საჭრელი მანქანა და სხვადასხვა მანქანების სათადარიგო ნაწილები.

ამას გარდა შემოტანილი უნდა იქნეს ტრაქტორები: 50 „ინტერნაციონალი" და „ხოლტი" და 50 ფორძონი; საჭიროა აგრეთვე 25 სატრაქტორო გუთანი და 150 ტრაქტორის სათადარიგო ნაწილები.

იმ მიზნით, რომ საშემოდგომო თესვის კამპანია უზრუნველყოფილი იქნეს სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, საჭიროა ახალი საბიუჯეტო წლის პირველ კვარტალში შემოზიდული იქნეს ყველა მანქანების და იარაღების 50 პროცენტი. მაგრამ თუ რამე მიზეზის გამო აღნიშნული რაოდენობის შემოზიდვა შეუძლებელი შეიქნა, მაშინ მთლიანად შესრულებული იქნება გეგმის ის ნაწილი, რომელიც გუთნების შემოზიდვას გულისხმობს.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატმა, „ზაკსელმაშ"-მა და „სოფლის კავშირმა" მიიღეს სასწრაფო ზომები გეგმით გათვალისწინებულ მანქანების შემოსატანად.

ნათესების მდგომარეობა

საქართველოში

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამართველოს ცნობით, ხორბლეულის ნათესების მდგომარეობა საქართველოში 1 ივლისისათვის გამოიხატებოდა 3,4 ნიშნით. ცალკე კულტურებიდან: შემოდგომის ხორბალი 3,3, გაზაფხულის ხორბალი—3,0, შემოდგომის ქერი 3,3 გაზაფხულის ქერი—3,1 და სიმინდი—3,6. ვენახების მდგომარეობა 1 ივლისისათვის შეფასებულია 3,5 ნიშნით, ხილის ბაღების—2,7 თამბაქოს—2,6; ბამბის—3,0, სათიბების—3,5, ჩაის—3,8 და ნაირგვარ მცენარეების—3,9 ნიშნით.

ახალსენაკი, 4 ივლისი. 1 ივლისისათვის ნათესის მდგომარეობა ახალსენაკის მაზრაში ასეთია: სიმინდი—3,8; ვენახები—2,9; ბაღები 2,6; თამბაქო—2,3; ჩაი—3,5; ხორბალი—3,5; ჭვავი—3,5; წვიმიანი ამინდის გამო ყველა კულტურა, შარშანდელ შეფასებასთან შედარებით, ნაკლებია, მათ შორის სიმინდი 0,2-ით (ადს).

აღმშენებლობა ქუთაისის მაზრაში

(საუბარი ქუთაისის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ე. ღვამიჩავასთან)

ქუთაისის მაზრაში წარმოებულ სააღმშენებლო მუშაობის შესახებ ქუთაისის აღმასკომის თავმჯდომარემ —ამხ. ე. ღვამიჩავამ ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

ამჟამად მაზრაში გაცხოველებული სააღმშენებლო მუშაობა სწარმოებს.

წყალსადენი

ქუთაისის დიდი ხნის ნატვრა ხორციელდება—დაწყებულია წყალსადენის გაყვანა, რომლის სამუშაოებიც თანდათან ფართოვდება. საჭირო სააღმშენებლო მასალა მომზადებულია ადგილზე. ორ თვეში დამთავრდება საწნეო აუზის აგება. წყალსადენის მოწყობა და ქსელის გაყვანა დამთავრდება 1930 წელში.

კანალიზაცია

მორიგ ამოცანას წარმოადგენს კანალიზაციის მოწყობა ქუთაისში. ამ საკითხს ამჟამად მიქცეული აქვს აღმასკომის განსაკუთრებული ყურადღება. სწარმოებს კანალიზაციის პროექტის შედგენა, ამ მიზნით აღმასკომმა გადასდო 16.000 მანეთი.

ქუჩების მოკირწყვლა-შეკეთება

ქუთაისის აღმასკომთან არსებობს ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილება, რომლის თაოსნობითაც ამჟამად გაცხოველებული ტემპით სწარმოებს ქუჩების მოკირწყვლა-შეკეთება, გაჰყავთ ახალი ქუჩები და აწარმოებენ ძველი ქუჩების შეკეთებას.

ქალაქის ცეცხლის მქრობელი რაზმი

ქუთაისის ცეცხლის მქრობელი რაზმის მოუწყობლობა განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა უკანასკნელი დიდი ხანძრის დროს. ამჟამად მიღებულია გადამჭრელი ზომები ხანძრის რაზმის სათანადოთ მოსაწყობათ. ამ დღეებში რაზმს გადაეცემა 2 ახალი ხანძრის ავტომობილი და სხვადასხვა იარაღ-მანქანები. ხანძრის საქმის შესასწავლად ქალაქის აღმასკომმა კურსებზე გაგზავნა რამოდენიმე კაცი.

საგზაო მშენებლობა

ქუთაისის სამაზრო აღმასკომთან დაარსდა საგზაო განყოფილება, რომელიც ხელმძღვანელობს საგზაო მშენებლობას მაზრაში. ამჟამად სწარმოებს შემდეგი ახალი გზების გაყვანა სვირი-ხიმონეთი,—წყალტუბო-ხონი, წყალტუბო-გორდი-კინჩხა, ხონი-სამტრედია-ხაჯავახო, ხონი-გორდი, ქუთაისი-ბაღდათი-ზეკარი-აბასთუმანი. უკანასკნელი გზის გახსნა მოხდება 15 ივლისს. შეუკეთებლობის გამო ეს გზა დაიკეტა 1921 წელს. განზრახულია აგრეთვე გზატკეცილის გაყვანა ვანი-ხაჯავახოს შუა. ამჟამად სწარმოებს ამ გზის პროექტის შედგენა.

ხიდების აგება-შეკეთება

მთელ მაზრაში დაწყებულია ძველი ხიდების შეკეთება და ზოგან ახალი ხიდების აგება. მდინარე ყვირილაზე (სვირში) შენდება გამოკიდებული ხიდი. ამ ხიდის ასაგებათ გადადებულია 90.000 მანეთი. განზრახულია ახალი ხიდის აგება ქუთაისი-ზეკარის გზატკეცილზე. ამ ხიდის პროექტის შედგენა დამთავრდება ამ დღეებში. ხიდის აგება ჯდება 250.000 მანეთი.

ახალი ფაბრიკა-ქარხნები

მაზრაში გაჩაღებულია აგრეთვე საქარხნო საფაბრიკო მშენებლობა. 24 ივლისს დამთავრდება ხონის აბრეშუმის ქარხნის აგება. ამ ქარხანაში იმუშავებს 500 მუშა. გარდა ამისა ახლო მომავალში დამთავრდება ქუთაისის ძაფსახვევ ქარხნის, ბარიტის ქარხნის, კირის ქარხნის და გელათის გრანიტის ქვის ქარხნის აგება.

სამკურნალო საქმე

არანაკლები ყურადღება ექცევა მაზრაში სამკურნალო საქმის შესაფერ დონეზე დაყენებას. ამ დღეებში დამთავრდა ქუთაისის ქალაქის საავადმყოფოს შეკეთება-გაფართოება; მიმდინარეობს ქუთაისის ფსიქიატრიული საავადმყოფოს შეკეთება და განზრახულია ახალი 50 საწოლიანი საავადმყოფოს აგება ტყიბულში. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა დაამტკიცა აღნიშნულ საავადმყოფოს გეგმა და ხარჯთაღრიცხვა. საავადმყოფოს აგება დაჯდება 150.000 მან. მუშაობა საავადმყოფოს ასაგებად დაიწყება ახლო მომავალში.

მაზრის ელექტროფიკაცია

დიდი ყურადღება აქვს მიქცეული აგრეთვე მაზრის ელექტროფიკაციას; დაწყებულია ელექტრონის გამტარ ხაზის გაყვანა აბაშიდან ქუთაისამდე. ეს მუშაობა დამთავრდება ნოემბერში. აბაშა სინათლეს მიაწოდებს ქუთაისს, სამტრედიას, ხონს და ამ ქალაქების ახლო მდებარე სოფლებს. ამ სამუშაოს დამთავრების შემდეგ განზრახულია ქუთაისის ფაბრიკა-ქარხნების გადაყვანა აბაშის ენერგიაზე.

მაზრის შინამრეწველობა

ქუთაისის სტატისტიკურმა განყოფილებამ გამოიკვლია შინამრეწველობის მდგომარეობა მაზრაში (გარდა ქალაქებისა). გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ მაზრის მოსახლეობის 80 პროცენტი მისდევს შინამრეწველობის სხვადასხვა დარგს. ყველაზე მეტად გავრცელებულია მაუდისა და აბრეშუმის ქსოვილების დამზადება.

შინამრეწველებს ადგილობრივსა და რესპუბლიკანურ ბაზრებზე გააქვთ თავის ნაწარმოების დაახლოებით 50 პროცენტი. აბრეშუმის ხელსახოცებს გააქვთ ჩრდილოეთ-კავკასიასა და უკრაინაში.

აბრეშუმის წარმოებას განვითარების ტენდენცია ეტყობა. მაუდის წარმოება კი ეცემა ნედლეულობის (მატყლის) გაძვირებისა და ნაკლებობის გამო.

შინამრეწველთაგან თითქმის არავინ არის გაერთიანებული კოოპერატივებში და მუშაობენ წარმოებს პრიმიტიული იარაღებით.

გამოკვლევის მიხედვით შინამრეწველთა რაოდენობა სხვადასხვა დარგში ასეთია: მაუდის დამამზადებელი—551, მეაბრეშუმე 80, არაყის მხდელი—817, ხეზე მომუშავე—298, ხარაზი—869, ხურო—485, მკერვალი—219, ხის ჭურჭლის მკეთებელი—85, ურმის ოსტატი—168, მეგურე—104, ქვისმთლელი—243, ბადის მქსოველი—17, მეჭურჭლე—50, ცოცხის მკეთებელი—62 (ადს).

სასოფლო-სამ. საკრედიტო სისტემის გამოკვლევა

საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის დავალებით ამიერ - კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექცია ამჟამად აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემის გამოკვლევას. გამოკვლევის მიზანია იმის შემოწმება, თუ რამდენად ასრულებენ ხსენებული სისტემის ცალკე საფეხურები პარტიისა და მთავრობის იმ დირექტივებს, რომლებიც ეხება სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო სისტემის მუშაობას და აგრეთვე სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო სისტემის აპარატის გამარტივებასა და გაიაფებას. საგამოკვლევო მუშაობას აწარმოებენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოები, ფინსახკომის, სასოფლო-სამ. ბანკების, სახ. ბანკების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ორგანოების უშუალო მონაწილეობით, გარდა ამისა ამ მუშაობაში ჩაბმული არიან ადგილობრივ საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები და სოფლის აქტივი.

გამოკვლევა დამთავრდება ამა წლის ივლისის ბოლოს. (ადს)

„ქველმოქმედების" წინააღმდეგ

საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატმა საქართ. ყველა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციებს დაუგზავნა ცირკულიარი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ზოგიერთი სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელები ხშირად არღვევენ სათანადო ორგანოების დირექტივებს საბიუჯეტო წესების სისწორით დაცვის შესახებ. დაწესებულებათა საკუთარ ფონდიდან ისინი სხვადასხვა ორგანიზაციებს აძლევენ თანხებს შემოწირულების, სუბსიდიის ან სტიპენდიების სახით, რასაც უწესრიგობა შეაქვს საბიუჯეტო წესების სისწორით დაცვის საქმეში. ასეთი „ქველმოქმედება" უმრავლეს შემთხვევაში აიხსნება ზოგიერთი ორგანიზაციების მუშაობის არასწორი მეთოდებით; ეს ორგანიზაციები, მიუხედავათ იმისა, რომ თავიანთ მოქმედებაში უნდა ეყრდნობოდენ მხოლოდ მასების თვითმოქმედებას და მათ კოლექტიურ დახმარებას, დაჟინებითი თხოვნით ხშირად მიმართავენ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს აღმოუჩინონ მათ ფულადი დახმარება ამა თუ იმ დაწყებულ საქმისათვის.

ვინაიდან ასეთი მოვლენა პირდაპირ ეწინააღმდეგება ეკონომიის რეჟიმის და სადმინისტრაციო ხარჯების 20 პროცენტით შემცირების დირექტივებს, საქართ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატი წინადადებას აძლევს საქ. ყველა წარმოება-დაწესებულებებს სრულებით შესწყვიტონ ასეთი ანარიცხების გაღება, რადგან ის ერთის მხრივ ხელს უშლის ბიუჯეტის წესების სისწორით დაცვას, მეორეს მხრივ კი საზოგადოებრივ ორგანიზაციებში შეაქვს ერთგვარი ჩვეულება პირადი „ქველ-მოქმედებისა", რასაც შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს მათი საქმიანობის შემდგომ განვითარება-გაძლიერებაზე.

ამასთანავე საქართ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატი აფრთხილებს წარმოება-დაწესებულებებს, რომ ყველა ის ანარიცხები, რომლებიც გაღებულია სახელმწიფო დაწესებულებათა ბიუჯეტიდან, დაფარული უნდა იქნეს უახლოეს ხანაში.

ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების რევიზია

საქართველოს ფინსახკომის საფინანსო-საკონტროლო სამართველო შეუდგა იმის გამოკვლევას, თუ რამდენათ ასრულებენ აღმასკომები ადგილობრივ ბიუჯეტებს. რევიზია შეეხება აღმასკომების კომუნალურ წარმოებებს, საბინაო მშენებლობას და სხვა. ამას გარდა გამოკვლეული იქნება ადმინისტრატიულ - სამმართველო ხარჯების 20 პროცენტით შემცირება, თვითდაბეგვრა, კრედიტების მიწოდება ღარიბ გლეხთათვის სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის მიერ და სხვა.

გამოკვლევამ პირველ დღეებშივე გამოარკვია მთელი რიგი ბოროტმოქმედებანი და დეფექტები თვითდაბეგვრის გატარებისა და სასოფლო - სამეურნეო გადასახადის აკრეფის დროს. გამორკვეულია აგრეთვე გაფლანგვის და სახელმწიფო ქონების დატაცების შემთხვევები.

სენაკის მაზრაში უყაირათობისათვის დაპატიმრებულია მთელი რიგი მუშაკები, ხაშურში დაპატიმრებულია სამაზრო საფინანსო განყოფილების ორი თანამშრომელი, რომლებმაც გაფლანგეს 1,000 მანეთი.

სოფ. ბაღდათში რევიზიამ აღმოაჩინა 3.500 მანეთის გაფლანგვა საფოსტო კანტორაში და 1.000 მანეთის — ადგილობრივ კოოპერატიულ დუქანში. რევიზია გრძელდება.

პასუხი

„განათლების მუშაკის" მე-18 ნომერში მოთავსებულია შ. გეგენავას წერილი „საჩვენებელი სკოლა".

გეგენავა სწერს: „გამგე უაღრესად ნაკლებ ყურადღებას უთმობს იმ სკოლას, რომელსაც განაგებს; მას, გარდა შემთხვევითი შეხვედრისა და ცალკე საუბრისა სკოლის მუშაკებთან დრო არ აქვს იფიქროს და იზრუნოს ამ სკოლის კეთილმოწყობაზე". საინტერესოა საიდან გამოიტანა ეს დასკვნა გეგენავამ. კომისიაში მე ამის შესახებ მხოლოდ ერთი კითხვა დამისვა: ოთხწლედის მასწავლებლები ამბობენ, რომ თქვენ წრეულს მათ მუშაობას ნაკლებ ყურადღებას აქცევდით ვიდრე შარშან. მართალია ეს თუ არაო? კომისიამ მე დამკითხა ყველაზე შემდეგ (სხვათა შორის ეს ფაქტიც ძალიან საყურადღებო არის). მე გეგენავას წერილიდან გავიგე, რატომ იყო დანიშნული კომისია. ამაზედ მოგახსენებთ: გამოყოფილი იყო კვირაში ორი საღამო, როდესაც ეწყობოდა ან პედაგოგიურ საბჭოს ან მეთოდიური კომისიების სხდომები, ჩემი უშუალო მონაწილეობით. კომისიებში მუშავდებოდა, როგორც პირველი, აგრეთვე მეორე საფეხურის და საერთოდ სკოლის მეთოდიური საკითხები).

მეორე ბრალდებაა ხელმძღვანელობის სრული უქონლობა პიონერ - მოძრაობის საქმეში, ინდეფერენტიზმი კავშირის ორგანიზაციისადმი. საინტერესოა რატომ ამის შესახებ კომისიამ არაფერი მკითხა, თუ არ ჩავთვლით იმ შეკითხვას, რომელიც მომცა ერთმა: პიონერებმა დაზგა რომ გთხოვეს მიეცით თუ არაო. ჩემი პასუხი. რასაკვირველია, ცალკე ოთახში დადგი და იქ მუშაობდნენ.

მიწის ნაკვეთის და მუშაკების შესახებ დასკვნის გამოტანამდე, კარგი იყო გეგენავას გამოეხედა გარეთ და ცოცხალ საქმეს მარტო კითხვა - პასუხებით არ გასცნობოდა. იქნებ არაფერი წახდენილი ეზოში არ ენახა.

მთავარი ბრალდება კი ასეთია: მე დამუშავებია კომისიაში წიგნი, ჩემი უშუალო მონაწილეობით მეთოდორგანოს მიუღია და გადაუგზავნია დასაბეჭდავად, მე მიმიღია გასამრჯელო როგორც კომისიის წევრს და სახელგამიდან ჰონორარი.

საქმე შემდეგშია: განათლების სახალხო კომისარიატმა 1924 წ. დაავალა ორ კომისიას 1 და 2 ჯგუფისათვის ქართული ენის მასალის შერჩევა, და ერთმაც და მეორემაც ამაში გასამრჯელო მიიღეს. მე-2 ჯგ. კომისია მე-3 სკ. მუშაკებიდან იყო შედგენილი. როგორც ახლა გამოირკვა მე პირადათ ეს გასამრჯელო არ მიმიღია.

ამ მუშაობამ გამოიწვია 1 და 2 ჯგუფის სახელმძღვანელოების დამუშავება, რათა ნათელი გამხდარიყო მასწავლებელთათვის, როგორ უნდა სწარმოებდეს მუშაობა ახალ სკოლაში და როგორი სახე უნდა ქონდეს სამუშაო წიგნს.

ამ უკანასკნელი შრომის გასამრჯელო ჩვენ მივიღეთ მხოლოდ სახელგამიდან. ორივე ჯგუფის წიგნს ერქვა „შრომა და ცოდნა".

წიგნების გამოცემისთანავე თავდება ჩვენი, განკომისარიატის მუშაკების როლი და მეც გამოვუცხადე სკოლის მასწავლებლებს 1925 წ., რომ მომავალში მე ჰონორარს აღარ ავიღებ, მაგრამ დამუშავებაში ყოველგვარ დახმარებას გაგიწევთ თქო.

ხელმეორეთ გამოცემისათვის წიგნი ჩემ მიერ იყო შესწორებული. წრეულს ავტორებმა წიგნი მომიტანეს გადასასინჯად და თვითეული გვერდის შესახებ უთხარი ჩემი აზრი, მაგრამ შესწორებული წიგნი მე აღარ მაჩვენეს.

ზაალიშვილმა წიგნის დამუშავება დაიწყო შარშან (მე-2 ჯგ. მასწავლებელი იყო) და თავის პრაქტიკაზე ააშენა.

მას ვეხმარებოდი ისე, როგორც დავეხმარებოდი ყველას, ვინც კი მომმართავს. მგონი ვერც ერთი ავტორი ვერ მისაყვედურებს, რომ უარი მეთქვას რჩევაში. არავითარი ინტერესი, გარდა იმისა, რომ სკოლას ქონდეს კარგი წიგნი, არ მქონია.

რაც შეეხება სურათებში ფულის გადახდას ამას არაფერი საერთო არა აქვს ზაალიშვილის მე-2 ჯგ. წიგნთან. ნაკადული დაიბეჭდა 1927 წ. სურათების ფული გადახდილია 1925 წ. ეს იყო კ. ბურჯანაძის და ზაალიშვილის წიგნი — ნაპერწკალი. წიგნი ნებადართული იყო მეთოდორგანოს მიერ, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო მის მაგიერ დაიბეჭდა ძიძიგური და გვახარიას წიგნი დამატებით 40.000 ცალი. ავტორებს ჰონორარი არ მიეცათ, მაგრამ მხატვრის ფული გადაიხადეთ.

არის თუ არა აქ საშინელება ბრძანოს მასწავლებლობამ.

საკვირველია, რატომ აჩქარდა ასე გეგენავა და აღარ დაიცადა სანამ კომისია დასკვნას გამოიტანდა?

თამარ ბეჟურიშვილი.

ქრონიკა

წითელი არმიის ქვეითი ნაწილების ინსპექტორის ამხ. სედიაკინის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა წითელი არმიის ქვეითი ნაწილების ინსპექტორი ამხ. სედიაკინი. ამხ. სედიაკინი ჩამოვიდა იმ მიზნით, რომ გაეცნოს კავკასიის წითელდროშიან არმიის ქვეითი ნაწილების მდგომარეობას.

ამხ. სედიაკინმა დაათვალიერა გორში დაბანაკებული ნაწილები. ინსპექტორის აზრით, კავკასიისა და საქართველოს დივიზიების ნაწილების მეთაურთა შემადგენლობის მომზადება დამაკმაყოფილებელია. ძლიერია სწავლისა და თვითგანვითარებისადმი მისწრაფება. ნაწილები კარგად არიან გაწაფულნი ბრძოლაში.

ზ. ჭიჭინაძე—შრომის გმირი

მშენებელთა კავშირმა პროფსაბჭოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა ინჟ. ზ. ჭიჭინაძეს მიენიჭოს შრომის გმირის სახელწოდება.

საქართ. პროფსაბჭოს პლენუმი

ორშაბათს, 9 ივლისს, საღამოს 6 საათზე მუშათა სასახლის დარბაზში გაიხსნება საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მეექვსე მოწვევის მე-7-დე მორიგი პლენუმი.

დღის წესრიგში: საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის საანგარიშო მოხსენ. (მომხ. ამხ. გ. ყურულაშვილი), შრომის სასამართლოების მუშაობა (მომხს. ამხ. ვარძიელი).

პლენუმს უნდა დაესწრონ: პლენუმის წევრ. კანდიდატები, კავშირების ცენტრ. გამგეობათა პ.-მგ. მუშაკები, პროფსაბჭოების და პროფბიუროების თავმჯდომარეები და ფაბქარხადგილკომების წევრები.

სამეცნიერო - ქიმიურ საბჭოს მოწყობა

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის დადგენილებით ს. მ. უ. ს. ქიმიო-ტექნიკურ ლაბორატორიასთან ეწყობა სამეცნიერო - ქიმიური საბჭო.

სავაჭრო კანტორების გაუქმება

ს. მ. უ. ს. სამთო მრეწველობის ტრესტმა გააუქმა თავისი სავაჭრო კანტორები ტფილისში, ხარკოვში და ბაქოში. სამთო მრეწველობის ტრესტის პროდუქციის გასაღება საკავშ. ქალაქებში მინდობილი აქვს საქართველოს სავაჭრო საპაიო საზ-ბის განყოფილებებს.

საირიგაციო სამუშაოები ამიერ-კავკასიაში

ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა ამიერ - კავკასიის საირიგაციო სამუშაოების ხუთი წლის განმავლობაში (1928 — 1933 წ.) საჭირო თანხის რაოდენობა განსაზღვრა 109.675.000 მანეთით.

თბ. აღმასკომში

◆ მზით სამკურნალო. ჯანმრთელობის განყოფილებამ გრიბოედოვის ქუჩაზე მოაწყო მზით სამკურნალო.

◆ ქუჩების მორწყვა. კეთილმოწყობის განყოფილება ამ დღეებში შეუდგება ქუჩების მორწყვას სპეციალურ ავტომობილებით.

მიწსახკომში

◆ ტყეების მოწყობა. მიწსახკომმა დასავლეთ საქართველოში მიავლინა ტყის მომწყობთა ახალი ჯგუფები.

◆ სეტყვა. მიწსახკომში მიღებული ცნობით, გორის მაზრის ახალდაბისა და არაშენდის რაიონებში 1 ივლისს მოვიდა ძლიერი სეტყვა, რომელმაც სანახევროთ გაანადგურა ბაღები და ნათესები.

სხვადასხვა

◆ წყალსადენი სოფლად. შორაპნის აღმასკომმა ლეღვან-მარელისში გამოიყვანა წყალსადენი.

◆ ჩაუბარებელი დეპეშები. რიონიდან—კანავას, ყაზბეგიდან—გიგაურს, ონიდან—გიგაძეს, სადმელიდან—მეტონიძეს, თელავიდან—ერისთავს.

◆ ადგილკომების სარევ. კომ. წევრთა კონფერენცია. ხუთშაბათს, 12 ივლისს, საღამოს 6 საათზე მუშათა სასახლის დიდ დარბაზში მოწვეულია ადგილკომების სარევიზიო კომისიების წევრების კონფერენცია.

◆ ექსკურსია უფლისციხეში. შაბათს, 7 ივლისს, საქ. პროფსაბჭოს ადგილკომის კულტ. კომისია აწყობს ექსკურსიას უფლისციხეში (გორის მაზრა). თითოეულ ექსკურსანტს მგზავრობა იქით-აქეთ დაუჯდება 3 მან. და 50 კ. ექსკურსანტებმა თან უნდა იქონიონ წყალი, ჭურჭელი და დღენახევრის სურსათი.

„სოფლის კომუნისტი“ № 6

გამოვიდა ჟურნალი „სოფლის კომუნისტი“ № 6. შინაარსი: სოფლის სოციალისტურად გარდაქმნა (საკავშირო ცეკას მიმართვა). ფ. მახარაძე—სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხი. მიხ. კახიანი—სოფლად მუშაობის საკითხები. ვლ. ცაგარელი—კოლმეურნეობათა საკავშირო ყრილობა. მ. ტორომელიძე—საერთაშორისო კოოპერაციის დღე. გ. ლომთათიძე—ახალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. ვ. მ-ი—კონკურსი საუკეთესო მოსავალზე. დ. ორაგველიძე—ინტელიგენციის შორის მუშაობა სოფლად.

პარტიული აღმშენებლობა

ხ. მამულია—საკავშირო სააგიტაციო-საპროპაგანდო თათბირი. ვ. იმედაძე—თავდაცვის კვირეული სოფლად. ი. ჭოჭუა—პარტიაში მიღების საკითხი სამაზრკომებში.

ადგილობრივი ცხოვრება

გ. ძაბილაშვილი—პარტმუშაობა საგარეჯოს რაიონში.

ჟურნალი დაურიგდება ხელისმომწერთ და გაიყიდება ყველგან.

შემთხვევები

ქურდობა

ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს მოქ. გ. ბლანიევის ბინა. მოპარულია 130 მანეთის ნივთები. —გაქურდეს მიხეილ სულხანის ბინა.—აივანზე ძილის დროს მოქ. შ. კრიმსაძეს მოპარეს ტანსაცმელი.—ფანჯრიდან გადაპარვის საშუალებით გაქურდეს მოქ. მ. პოპოვის ბინა. წაღებულია 100 მან. ნივთები. ქურდი ივ. პოპოვი შეიპყრეს.

ქურდების დაპატიმრება

— მეორე შრომის სკოლის ბიბლიოთეკიდან წიგნების მოპარვისათვის დააპატიმრეს თ. ქემაშვილი.

— სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა მცირეწლოვანი ჯიბგირი სამსონ სარქისაძე სარქისიანი (11 წლის), რომელმაც მოქ. ოლღა ქავთარაძეს ჯიბიდან ამოაცალა ფული და სხვადასხვა საბუთები.

— სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ქურდი იაკობ სუკიასოვი, რომელმაც ბაზარში მოიპარა ერთი ბიდონი კარაქი.

ყაჩაღობა

ცაგერი, 4 ივლისი. 4 ივლისს ალფანა-ზუბალოს გზაზე სამი შეიარაღებული ბოროტ-მოქმედი თავს დაესხა გზად მიმავალ ავტომობილს და გაძარცვა მგზავრები. 5 ივლისს მილიციამ ყაჩაღებს ქრივალოში მიაგნო. ერთი ყაჩაღი აბუსერიძე მოკლულია, მეორე შეპყრობილია, მესამემ დამალვა მოახერხა. მიღებულია ზომები მის შესაპყრობად.

სასამართლო

შური იძია

ორი წლის წინად სოფელ ზერეთში (გორის მაზრა) ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას:

სამი გალეშილი მოქალაქე: სიმონ მაზანაშვილი, არტემ დოლუაშვილი და ნიკო ზუბიაშვილი ყოვლად უმიზეზოდ, ხულიგნურად შეიჭრნენ იმავე სოფლის მცხოვრებ დარჩო დოლუაშვილის ოჯახში.

გალანძღეს, სცემეს და „შიშინის“. რევოლვერიც გაისროლეს.

დარჩო დოლუაშვილმა ყოველგვარი დამცირება გადაიტანა იმ იმედით, რომ ხვალ ამის შესახებ პასუხს მოსთხოვდა თავდამსხმელებს ადმინისტრაციის საშუალებით.

გათენდა მეორე დღე და დოლუაშვილი მიეშურა მეჯვრისხევის სამილიციო უბანში ამ ხულიგნური თავდასხმის გამოსამჟღავნებლად.

ხულიგნების მთელი ეს კრებული შემოხვდა გზაში დარჩო დოლუაშვილს და კატეგორიული წინადადება მისცა,—არ წასულიყო საჩივლელად.

დოლუაშვილი იმდენად შეურაცყოფილი იყო, რომ ყურადღება არ მიაქცია მათ მუქარას და განაგრძო გზა მეჯვრისხევისაკენ.

ზერეთელმა ხულიგნებმა მოინდომეს ზეგავლენის მოხდენა. გაისროლეს რევოლვერი, მაგრამ ამას ოდნავადაც არ უმოქმედნია დოლუაშვილზე. მან მოითხოვა ადმინისტრაციისაგან დაცვა ასეთ გარეწართა თვითნებობისაგან.

სამივე თავდამსხმელი: მაზანაშვილი, არტემ დოლუაშვილი და ნიკო ზუბიაშვილი დააპატიმრა მილიციამ და გადაუგზავნა ადგილობრივ სახალხო სასამართლოს.

სასამართლომ გამოიტანა განაჩენი და თვითეულ მათგანს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა თითო წლით.

გავიდა დრო. მაზანაშვილი ჯერ კიდევ ციხიდან იმუქრებოდა, რომ დარჩოს არ გაახარებდა.

მოიხადა სასჯელი მაზანაშვილმა, განთავისუფლდა, მაგრამ მტრობა დარჩოსადმი არ ამოუღია გულიდან.

ამ წლის თებერვლის ბოლო რიცხვებში ზერეთში რაღაც დღესასწაული იყო.

დარჩო დოლუაშვილი თავის ცოლით სტუმრად იწვია ნათესავმა. დარჩო იქ საღამოს 8 საათამდე.

უკან დაბრუნებულს შემოხვდა მისი მოსისხლე მტერი, სიმონ მაზანაშვილი.

— გაჩერდით!—შესძახა მაზანაშვილმა.

— ვინა ხარ?

— მე ის ვარ, შენი გულისთვის, რომ ერთი წელი ციხეში დავჰყავი! მე ის ვარ, ვისაც მთელი თავისი დამსახურება საზოგადოების წინაშე (!) ფუჭად ჩაუარა შენის წყალობით... აბა ვინ ვის აჯობებს ეხლა

მაზანაშვილმა გაშალა თეთრი ტარიანი დანა და გაეშურა დარჩოსკენ.

ცოლმა, რომელიც გვერდით ედგა დარჩოს, მორთო ყვირილი, მაგრამ მაზანაშვილმა მოასწრო დანის ჩარტყმა და მძიმეთ დაჭრილი დოლუაშვილი დაეცა პირქვე.

როცა დარჩო დოლუაშვილი სისხლში იღვრებოდა და სულს ლაფავდა, ამ დროს სიმონ მაზანაშვილი მიიმღეროდა:

„შევასრულე, რაც მინდოდა გულითა, აღარ ვიცი რა ვქნა სიხარულითა“...

დოლუაშვილს ჭრილობა გაურთულდა. გაუკეთეს ოპერაცია, რომელიც ვერ გადაიტანა და გარდაიცვალა.

სიმონ მაზანაშვილი გაასამართლა გორის სამაზრო სასამართლომ.

მაზანაშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 9 წლით და სამოქალაქო უფლებების აყრა 5 წლის ვადით.

ზერ.

ხელოვნება

ა. სპენდიაროვის ხელთნაწერების გარჩევა

კომპოზიტორ ა. სპენდიაროვის ხელთნაწერების გასარჩევად დანიშნული იყო სპეციალური კომისია ჯ. კორგანოვის თავმჯდომარეობით. კომისიამ ნაწილობრივ დაამთავრა მუშაობა. სპენდიაროვის 55 ხელთნაწერიდან კომისიამ გაარჩია 13, მათ შორის ოპერა „ალმასტ“-ი, დანარჩენი გარჩეულ იქნება შემოდგომაზე ერევანში, სადაც შეიკრიბებიან აღნიშნულ კომისიის წევრები.

გამორკვეულია, რომ ოპერის 3.146 ტაქტიდან ინსტრუმენტზე არაა გადატანილი მხოლოდ 388, ანუ მთელი ოპერის მერვედი ნაწილი. კომისიამ გამოსთქვა სურვილი, რომ ოპერის ინსტრუმენტზე გადასატანად ოპერა ხელმეორედ იქნეს გადაწერილი.

ოპერა „ალმასტ“-ის გარდა, კომისიამ გაარჩია აგრეთვე 2 ყარამული სიმღერა, 12 სიმღერა, რომელთა შორის 7 რევოლუციონური და ხმებზე დაწყობილი თვით სპენდიაროვის მიერ, ბარიტონის არია „სომხეთისადმი“ და რომანსი „შეყვარებულებისადმი“.

სპენდიაროვის მთელი სანოტო ბიბლიოთეკა განსვენებულის ოჯახმა შესწირა მუზეუმს. გარდა ამისა, განზრახულია მუზეუმს გადაეცეს აგრეთვე სპენდიაროვის მთელი არქივი, რომელშიაც არის განსვენებულის პირად დოკუმენტები, ხელთნაწერები, მიმოწერები, რეცენზიები და აგრეთვე მის ავადმყოფობასთან დაკავშირებული დოკუმენტები. მუზეუმს გადაეცემა აგრეთვე სპენდიაროვის ნივთები, რომლებიც ახასიათებენ კომპოზიტორის საზოგადოებრივ მოღვაწეობას და პირად ცხოვრებას. მთელი ეს არქივი მომავალში დიდ სამსახურს გაუწევს ბიოგრაფებს განსვენებულ სახალხო არტისტის ბიოგრაფიის შედგენაში

—:—

— მოხეტიალე მუსიკოსი ილიკო ქურხული შაბათს, 7 ივლისს, სუხიშვილის სახ. კლუბში (ერისთავის ქ., 44), გამართავს საღამო-კონცერტს.

— ხაზშითა მუშაკების კლუბში დღეს გაიმართება ე. ნინოშვილის შემოქმედების საღამო

— სიმფონიური კონცერტი. მედსანშრომის მუშაკთა კლუბში დღეს გაიმართება სიმფონიური კონცერტი.

— რუსთაველის თეატრში 7 ივლისს გაიმართება სომეხ სახალხო მუსიკოსთა კონცერტ-საღამო.

— პროფ. მ. თოიძის სურათების გამოფენა გაიხსნება დღეს პროფსაბჭოს დარბაზში.

სპეციალისტთა ახალი კადრები

სახ. უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა გამოშვება

ამ დღეებში მოხდა სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის სტუდენტთა პირველი გამოშვება. კურსდამთავრებულთა გამოსაცდელად გამოყოფილი იყო სპეციალური სამეცნიერო კომისია, რომელშიაც შედიოდნენ პოლიტექნიკური ფაკულტეტის საბჭოს, განათლების სახ. კომისარიატის და სხვადასხვა სამრეწველო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კომისიაში წარდგენილ იქნა კურსდამთავრებულ სტუდენტთა სადიპლომო შრომები, რომელთა განხილვის შემდეგ ინჟინერის სახელწოდება მიენიჭათ: ივანე გვიჩიას (სამთო მეცნიერთა დარგი), ირაკლი მაღალაშვილს (სამთო ინჟინერი), ალექსანდრე მიქაბერიძე ელექტრო მექანიკური დარგი), ვიქტორ მამალაძეს (ელექტრო-მექანიკური დარგი) და ნიკოლოზ კალატოზიშვილს.

სადიპლომო შრომების გარჩევისას კომისიამ აღიარა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტი ამზადებს როგორც პრაქტიკულად, ისე თეორიულად სავსებით კვალიფიკაციურ ინჟინერებს, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია დაუყოვნებლივ

კურსდამთავრებულ ინჟინერთაგან ი. გვიჩია და ი. მაღალაშვილი მიწვეულია დონბასის ქვანახშირის სამრეწველო რაიონში სამუშაოთ, დანარჩენი 3 ახალი სპეციალისტი—ს. მ. უ. ს. ახალი მშენებლობის სამუშაოებზე.

ექსკურსიები

ექსკურსია დიღომში

საქართველოს საექსკურსიო-ტურისტული ბიურო 8 ივლისს დიღომში აწყობს დიდ ექსკურსიას. ექსკურსია შეისწავლის და დაათვალიერებს დიღომში დღემდე შენახულ ძველ ტიპიურ ქართულ დარბაზებს.

ფრეშფილდის ხსოვნის აღსანიშნავად

60 წლის წინათ 1 ივლისს მყინვარ წვერზე პირველად ავიდა ინგლისელი ტურისტი ფრეშფილდი.

მისი ხსოვნის აღსანიშნავად მიმდინარე წლის 1 ივლისს საქართველოს საექსკურსიო-ტურისტულმა ბიურომ მოაწყო მცირე-რიცხოვანი ექსპედიცია მყინვარ წვერზე ასასვლელად. მაგრამ დიდი ნისლის და ცუდი ამინდის გამო, ექსპედიციის ცდა—ასულიყო მყინვარ წვერზე, უშედეგოდ დამთავრდა.

გერმანელი ალპინისტები საქართველოში

საექსკურსიო-ტურისტულ ბიუროს ცნობით, ივლისის შუა რიცხვებში თბილისში ჩამოვა 5 გერმანელი ალპინისტი. მათ განზრახვა აქვთ ავიდნენ კავკასიის ქედის ცენტრალურ მწვერვალებზე—დიხტაუზე და კოშტანტაუზე.

300 ექსკურსანტი დღეში

საექსკურსიო-ტურისტულ ბიუროს ცნობით საქართველოში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან დიდძალი ექსკურსიები ჩამოდის. ჩამოსულ ექსკურსანტების რიცხვი დღეში საშუალოდ უდრის 300.

ვის ჩამოერთმევა სახლები

მირზოევს (პეტროვსკის შეს. № 6), მაიდოკოვას (გოგებაშვილის ქ. № 9—19), გაგილოშვილს (ყაზბეგის ქ. № 35), ზუბოვს (ბელინსკის ქ. № 59), ტოუნოევს და სხვანიძეს (მატინოვის ქ. № 14), გამგონაძეს და სხვ. (მატინოვის ქ. № 2), დაფქვაშვილს (მატინოვის ქ. № 6), იაკოვლევს (მატინოვის ქ. № 13), ნანობაშვილს (პეტროვის ქ. № 36), კაკაურიძეს (ბელინსკის ქ. № 39), ფერაძეს და მახსუდოვს (მატინოვის ქ. № 9), ეგოლსტოვს (ვეძისის გასავალი № 6), კობიაშვილს (კიზილიარის შეს. № 7), ტერ-ესაიანცს (ქუთაისის ქ. №17-18), ჩურსკაია-როს (მატინოვის ქ. № 17), მაჭარაშვილს (გუდაურის ჩიხი № 6), გამაზოვას (ტრიბუნალის ქ. № 44), ელჩიევს (პეტრიაშვილის ქ. № 6), დავიდხანძეს (თონეთის და ცხინვალის ქ. № 8-5), ბოლქვაძეს (თონეთის ქ. № 9), ხიხაძეს და ქვარაიას (თონეთის და ცხინვალის ქ. № 11—7), ართმელაძეს (ცხინვალის შეს. № 8), არაქელოვს (ავლაბრის ქ. № 12), გალუსტოვს (ლენინაკანის ქ. № 9), ხარიბეგოვს (ავლაბრის ქ. № 3), ნაზაროვს (გუმბრის ქ. № 7), როსტომიანცს (იოლის ქ. № 28), ტეტროვანს და სხვ. (ცხემის ქ. № 7), ნაუმოვას (თონეთის ქ. № 4), კასუმოვს (იოლის ქ. № 15), ნემსაძე და ჩაზონაშვილს (ნიკოლაძის ჩიხი № 6), პაპუშინს (პეტრიაშვილის ქ. № 12), ჩარექიშვილს და სხვ. (ყაზბეგის ქ. № 24—18), არშაკუნს (მელიქიშვილის ქ. № 33—35), ნიკიტინს (ანდრეევის ქ. № 10), ნათიშვილს (მელიქიშვილის მე-2-ე ჩიხი № 4), გაიდუკოვას (გოგებაშვილის ქ. № 19—9), ჟიჟვს (ბაიაზეთის ქ. № 13), კახეთელიძეს (ბაიაზეთის ქ. № 11), კაციტაძეს და რობაძეს (საბა სულხან-ორბელიანის ქ. № 14), შადინოვას (საბა სულხან-ორბელიანის ქ. № 10), ნიკიტენკოს (არაგვის შეს. № 14) შესტოპალოვას (ნიაღვრის შეს. № 2-13), ნატრაძეს და სხვ. ([illegible] ქ. № 11), ბერიძეს (ნიაღვრის ქ. № 5).

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 6 ივლისი

დღეს, 6 ივლისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო—სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადმოცემული იქნება:

მორზეს ანბანი — განმარტება რუსულ ენაზე.

ქალ. და კოოპერაცია — მოხ. ქართულ ენაზე.

მეცნიერების და ტექნიკის მიღწევები—რუსულ ენაზე.

ტრაქომის წამლობა და მისი გართულება—მოხს. რუსულ ენაზე.

კოოპერაციის საერთაშორისო დღე—მოხს. რუსულ, ქართულ, აფხაზურ, და ოსურ ენებზე.

ცოფი და მის წინააღმდეგ ბრძოლა.
რადიო-გაზეთი—ოსურ ენაზე.
ტექნიკური კონსულტაცია.
კონცერტი ან ტრანსლიაცია.

საქართ. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

მოხსენებებს შუა—მუსიკალური ნომრები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 6 ივლისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ნინო ცინცაძე, ქსენია კოხრეიძე, ალექსანდრე აბულაძიანი, ტროფიმ ლეჟაუროვი, ტატო დიასამიძე, გიორგი კობაშვილი, სერაფიმა ჩიქოვანი, ანა ჭუმბურიძე, ბიქტორ მგელაძე, იონა შანიძე, ნიხო ფალავა; თამარ კვერნაძე - ხუნდაძისა, გიორგი კოტიანოვი, ტროფიმ ბერიშვილი, თამარ ბოკერია, ოლღა გელადაშვილი, თამარ ჭიაჭანიძე, გიორგი ინანიშვილი, ალ. ბაბილონა, თამარ ჩარექიშვილი, თამარ გახოკია, მიხეილ სიხარულიძე, ერვანდ ვარძიგულოვი, პავლე წეწერიძე, ალექსი ფარტაშვილი, თამარ ბოკერია, ზინაიდა ლუკასი, ოლია აბრამოვა, ელენე მაკაროვა, ევგენია მეტრეველი, ქსენია მიმინოშვილი, პარმენ მაქაძე, გიორგი სეხნიშვილი, ნინო გოგიჩაიშვილი, ა. კობერიძე, ბარბარე კალმახარავა, გრიგოლ სართანია, თამარ მჭედლიშვილი, ელენე ნამორაძე, კლიმენტ შარაშენიძე, და ნიკოლოზ პაპიაშვილი.

შავმუშათა მესამე სექციიდან: მიხეილ ლაზარიშვილი, შალვა თოთარიშვილი, სიმონ გუქუროვი, ერვანდ ოვანეზოვი, გიორგი ურუშაძე, სიმონ ჯიქურიძე, პეტრე ზათარაშვილი, ნარსია, არტემ მუმლაძე, ნიკოლოზ სოზაშვილი, კაზიმირ საფაროვი, მიხეილ გახოკიძე, ვასილ სამადაროვი და ივანე ქელეხშვილი.

მეჩხებელ მუშაკთა სექციიდან: ნიკოლოზ გაბაშვილი, არამ ერუნკიანი, სარქის ავაქიანი, აიკ სიხარულიძე, და ფ. ტორონჯაშვილი.

მეხუთე მუშაკთა სექციიდან: შოგენ არუტინოვი, გევორკ არუთინოვი, ოსკ. ურუბაშვილი, სარქის არუთინოვი და მიხეილ ინანიშვილი.

საგარანტიო მუშაკთა სექციიდან: ალექსანდრე რატიშვილი, სურენ არუთინოვი, ნიკოლოზ ქართველიშვილი, ანტონ პაპავა, ილია ქარდავაშვილი, იასონ ცქიტიშვილი, ვლადიმერ ნინიძე, შალვა დუდუჩავა, ელენე ლოლაძე და აკაკი მენაბდე.

ჭადრაკი

ა.-კ. მოჭადრაკეთა პირველი ჩემპიონატი

მეათე ტური

აბრამიანი—სოროკინი. ეს პარტია მეტად საინტერესო გამოდგა. სოროკინმა მოწინააღმდეგეს შესწირა პაიკი, გამანადგურებელი იერიში მიიტანა თეთრების მეფეზე და მოიგო ხარისხი. სამაგიეროთ, აბრამიანს დარჩა მრავალი გამვლელი პაიკი, რომლებიც საფრთხეში ჩააყენებდა შავების პოზიციას, რომ სოროკინს მთელი რიგი ლამაზი კომბინაციური სვლებით არ გაენადგურებია მოწინააღმდეგის გამვლელი პაიკები. დაბოლოს სოროკინმა კიდევ მოახერხა ერთი მოხდენილი სვლის გაკეთება და შამათის მუქარის ქვეშ აიძულა აბრამიანი დანებებულიყო.

ებრალიძე—სმოროდსკი. თეთრებმა დებიუტში შეავიწროებული მდგომარეობა მიიღო, მაგრამ შემდეგში მალე გაიუმჯობესა პოზიცია. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგენი შეთანხმდენ ყაიმზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ებრალიძემ საუკეთესო შედეგს მიაღწია ჩემპიონატში მონაწილე სამივე მაესტროსთან თამაშში; სამივე პარტია დაამთავრა ყაიმით.

გოგლიძე—ავეტისოვი. დებიუტში გოგლიძემ უპირატესობა მოიპოვა მოწინააღმდეგეზე, მაგრამ შემდეგში ვერ შესძლო მისი გამოყენება, ავეტისოვმა კარგათ დაიცვა თავი. გამაგრა თავისი პოზიცია და მოწინააღმდეგეს მოუსპო მოგების ყოველგვარი შანსები პარტია დამთავრდა ყაიმით.

ილინ-ჟენევსკი—მალუნცევი. ჟენევსკიმ კარგათ გამოიყენა მალუნცევის პოზიციური შეცდომები, შესწირა ხარისხი და მალე მოიგო პარტია.

იმენიტოვი—როსტოვცევი. (ფრანგული). ძალიან მალე დამარცხდა იმენიტოვი. მე-25 სვლაზე მან პარტია ჩააბარა თავის მოწინააღმდეგეს

მაკაგონოვი—კარჩიკიანი. მე-15-ე სვლაზე პარტია დამთავრდა მაკაგონოვის გამარჯვებით.

ტერ-მატეოსიანი—ტოტევიანი. გაცხოველებული თამაშის შემდეგ პარტია დამთავრდა ყაიმით.

გადადებული პარტიებიდან ჟენევსკიმ მოიგო იმენიტოვს.

მეათე ტურის შემდეგ მდგომარეობა ასეთია: ილინ-ჟენევსკი+8 ნახ. მაკაგონოვი+8, გოგლიძე+7 ნახ., ებრალიძე+6 ნახ., სმოროდსკი და აბრამიანი+5 ნახ. და თითო დაუმთავრებელი, როსტოვცევი+5 ნახ., ბადაი+4 და ერთი დაუმთავრებელი, მალუნცევი და ავეტისოვი+ 4 ნახ., ტალვიკი+4 და ორი დაუმთავრებელი, სოროკინი+3 ნახ. და ერთი დაუმთავრებელი, კარჩიკიანი+2 ნახ. იმენიტოვი+1 ნახ. და ერთი დაუმთავრებელი, ტოტევიანი+1.

მეთერთმეტე ტური

დღეს, 6 ივლისს, შესდგება ჩემპიონატის მეთერთმეტე ტური. თამაშობენ: ავეტისოვი—ტალვიკი, კარჩიკიანი—სმოროდსკი, ტერ-მატეოსიანი—გოგლიძე, აბრამიანი—მაკაგონოვი, ილინ ჟენევსკი—ტოტევიანი, მალუნცევი—სოროკინი, როსტოვცევი—ებრალიძე, ბადაი—იმენიტოვი

ვ. ზოგლიძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 71 მუხლის სათვის მე-3 შენიშვნის დამატების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-რის დადგენილების მე-2 პუნქტის შესაბამად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 71 მუხლს დაემატოს მე-3 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

71 მუხ. შენიშვნა 3. უკეთუ მიწის ნაკვეთი გაიცემა სააღნაგოდ მუშათა ბინების ასაშენებლად, აღნაგობის უფლების ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ამა მუხლში აღნიშნული უკიდურესი ვადით.

ხოლო, უკეთუ არსებული შენობა აღნაგობის უფლების ხელშეკრულების საფუძველზე გაიცემა აღსადგენად, დასამთავრებლად, დასაშენებლად და მისაშენებლად ან და გადასაკეთებლად (მუხ. 84), მუშათა ბინებისათვის აღნაგობის უფლების ხელშეკრულება დაიდება ისეთი ვადით, რაც ამა მუხლში აღნიშნულ უკიდურეს ვადის ორმესამედს უდრის (43 წლით, 40 წლით და 33 წლით).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ.
ი. ვარძიელი.

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს ყოფ. სადგილ-მამულო ბანკებში და თბილისის საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებული ქალაქად მდებარე სახლების ვალის გადახდევინების მოსპობის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის დეკემბრის 28-ს თარიღისა და მე-16 №-რის დეკრეტი საქართველოს სადგილ-მამულო ბანკებში და თბილისის საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებულ ქალაქად მდებარე სახლების შესახებ,—ყველა შემდგომი ცვლილებით და დამატებით, ცნობილ იქნეს ძალა-დაკარგულად 1928 წლის ივნისის 1-დან და ამ დღიდან მოისპოს გადახდევინება იმ ვალისა, რაც სახლებზე კიდევ ირიცხება აღნიშნულ საკრედიტო დაწესებულებების სესხის სახით.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს კომუნალურ ბანკს გააუქმოს მასთან არსებული საჰიპოთეკო განყოფილება, რომელიც აწარმოებდა წინა მუხლში აღნიშნულ დადგენილებებს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ლ. ქართველიშვილი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე
ს. სტეფანოვი.

დადგენილება № 8

საქ. ს. ს. რ. შრომისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატებისა

1928 წლის ივნისის 20

„სახელმწიფო საწარმოებში ჩადენილი წვრიმალი საფაბრიკო საქარხნო ქურდობისათვის გადასახდელის დადების შესახებ“

საქართველოს ს. ს. რ. სისხ. სამ. კოდ. 177 მუხ. „ზ“ პუნქტის შენიშვნის ძალით შრომისა და იუსტიციის სახ. კომისარიატები ადგენენ:

1. სახელმწიფო საწარმოში მომუშავე მუშა ან მოსამსახურის მიერ თავის საწარმოში პირველად ჩადენილი წვრიმალი საფაბრიკო-საქარხნო ქურდობა წარმოების მასალების ან იარაღებისა, თუ ნაქურდალის ღირებულება 15 მანეთს არ აღემატება გამოიწვევს სადისციპლინო გადასახდელს ამ დადგენილების შესაბამად.

2. ამ დადგენილებით დაწესებული პასუხისმგებლობა დაეკისრება მუშას ან მოსამსახურეს, ისეთ შემთხვევებშიც, თუ მან ქურდობა ჩაიდინა თავის საწარმოში, სადაც მას შეუძლია შესვლა მხოლოდ იმ მუშაობასთან დაკავშირებით, რომელსაც იგი ასრულებს.

სისხ. სამ. კოდ. 177 მუხ. „ზ“ პუნქტის შენიშვნა არ შეეფერება მუშისა და მოსამსახურის მიერ ქონების მოპარვას ისეთ სადგომიდან, სადაც მას შესვლა თავის მუშაობის დამოუკიდებლივ, და საქმე ასეთ ქურდობის შესახებ განიხილება საერთო სასამართლო წესით.

3. ქურდობის ფაქტი დამტკიცებულად ჩაითვლება ისეთ შემთხვევაში, უკეთუ დამნაშავე დაჭერილი იქნება დანაშაულის ადგილას ნაქურდალით, ან უკეთუ ქურდობა დადასტურდება სხვა უდავო მოწმის ჩვენებით, რომელიც ქურდობას შეესწრო; ქურდობის ყოველ ცალკე შემთხვევაში უნდა აუცილებლად შესდგეს აქტი, რომელსაც ხელს მოაწერენ ადმინისტრაცია, მოწმეები და თანამოწმეები; ეს აქტი წარედგინება გასაცნობად ეჭვმიტანილს. აქტი უნდა შესდგეს დაუყოვნებლივ ქურდობის აღმოჩენისთანავე.

4. სადისციპლინო გადასახდელის ღონისძიებას წარმოადგენს: ა) შენიშვნა გამოცხადებული ამქარში ან მთელ ქარხანაში, ბ) უფრო დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენება და გ) სამსახურიდან დათხოვნა.

შენიშვნა: დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენება შეიძლება მხოლოდ განსაზღვრული ვადით ,არა უმეტეს ექვსი თვისა.

5. სადისციპლინო გადასახდელს დაადებს საწარმოს ადმინისტრაცია გადასახდელის დადების დროს, ყოველ ცალკე შემთხვევაში, მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს ქურდობის მთელი ფაქტიური გარემოება და ის, თუ რამდენად მძიმეა დანაშაული.

სადისციპლინო გადასახდელის ამა თუ იმ ღონისძიებების ამორჩევა, ამა დადგენილების მეოთხე მუხ. თანახმად, მოხდება იმ გარემოებათა მიხედვით, რომლებიც თან სდევს ქურდობას, ამორჩევა უნდა აუცილებლად დასაბუთებული იყოს.

6. უკეთუ დაქირავებული არ დაეთანხმება ადმინისტრაციის განკარგულებას, რომლითაც სადისციპლინო გადასახდელად მას გადაეწყვიტა სამსახურიდან დათხოვნა, მას უფლება აქვს მოითხოვოს საქმის გადაცემა სასამართლოში, და ადმინისტრაცია ასეთ შემთხვევაში ვალდებულია გადასცეს საქმე სასამართლოს, სასამართლომ კი მიიღოს საქმე საწარმოებლად.

შენიშვნა: საქმის გადაცემა სასამართლოში ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეაჩერებს ადმინისტრაციის განკარგულებას სამსახურიდან დათხოვნის შესახებ.

7. ადმინისტრაციის განკარგულება 4 მუხ. „ა“ „ბ“ და „გ“ პუნქტით გათვალისწინებული გადასახადის დადების შესახებ, დაქირავებულს შეუძლიან განასაჩივრონ მაღლა მდგომ ორგანოში, რომელსაც ემორჩილება გადასახდელის დამდები ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

უკეთუ ადმინისტრაციის განკარგულება გადასახდელის დადების შესახებ შეიცავს სისხლის სამართლის წესით სადევნელი ქმედობის ნიშნებს (ხელისუფლების ბოროტად გამოყენება. ხელისუფლების გადამეტება), ეს განკარგულება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს პროკურორთან.

8. ისეთ შემთხვევაში, როდესაც საწარმოში მოპარული წარმოების მასალა ან იარაღი არ დაუბრუნდება საწარმოოს, ადმინისტრაციას ეძლევა უფლება დაუკავოს დამნაშავეს მოპარულის ღირებულება სამუშაო ხელფასიდან.

9. დაევალოს პროკურორის ორგანოებს განსაკუთრებით ადევნონ თვალყური იმას, რომ სახელმწიფო საწარმოთა ადმინისტრაციამ ამ დადგენილების შესაბამებრ გადასახდელის დადების დროს მტკიცედ დაიცვას ამ დადგენილებით გათვალისწინებული წესი. კერძოდ პროკურატურამ უნდა ადევნოს თვალყური იმას, რომ დამნაშავეს მის სამუშაო ხელფასიდან ექავებოდეს. ამა დადგენილების მერვე მუხ. თანახმად, სწორედ იმდენი, რამდენიც ნამდვილად ღირს მოპარული საგანი

10 ამა დადგენილების ძალაში შესვლისთანავე ჩაითვალოს გაუქმებულად შრომისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატების მიერ 1928 წ. იანვრის 9-ს თარიღით და № 1-ით გამოცემული დადგენილება „წვრიმალი საფაბრიკო საქარხნო ქურდობისათვის გადასახდელის დადების შესახებ.

შრომის სახალხო კომისარი ხ. თოდრია.
იუსტიციის სახ. კომისარი ი. ვარძიელი.

საბჭოთა კავშირის იმ მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომელნიც მფლობელობენ პოლონეთში ქონებით

ვინაიდან პოლონეთის მთავრობის მიერ შემოღებულია შემზღუდველი ღონისძიებანი იმ მოქალაქეთა ქონების მიმართ, ცხადდება, რომ საკავშირო სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქეებმა, რომლებიც მფლობელობენ ქონებით პოლონეთში (მოძრავი და არა მოძრავი) 1921 წ. 18 მარტამდე და განაგრძობენ მფლობელობას ამჟამადაც ან დაკარგეს უფლებები პოლონეთის მთავრობის მიერ შემოღებულ შემზღუდველი ღონისძიებათა ძალით 1921 წ. 18 მარტის შემდეგ, თავიანთ ინტერესებისათვის და ქონების აღრიცხვის მიზნით უნდა მიაწოდონ ცნობები ამ ქონების შესახებ სამაზრო აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებას, ხოლო სადაც ასეთი არ არის—სამაზრო აღმასკომს ერთი თვის ვადაში, ქვემოდ ნაჩვენებ ფორმის მიხედვით.

1) ქონების მდებარეობის ადგილი (აღინიშნება ქალაქი, ოკრუგი პოლონეთის რესპუბლიკისა).
2) რა გვარეობის ქონებაა (სახლი, ნაგებობა, მიწა, მოძრავი და სხვა).
3) დაცულია თუ არა უფლება ამ ქონებაზე ამჟამად.
4) დაკარგული აქვს თუ არა უფლება პოლონეთის მთავრობის შემზღუდველი ღონისძიებათა ძალით.
5) ქონების შეფასება რევოლუციამდე არსებულ ღირებულების მიხედვით

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი
ბერია.

შ. ს. ს. კ. ადმინ. სამმართველოს უფროსი რესპუბლიკის მილიციის უფროსი ბერაძე.

იურიდიული დახმარება

პროფკავშირის წევრს № 2014

კითხვა

ვმუშაობ სოფელ საჭილაოს (სენაკის მაზრა) ხე-ტყის სახერხი ქარხანაში, რომელიც ეკუთვნის ა.-კ. რკ. გზ. ყველა მუშები ვირიცხებით ხეზე მომუშავეთა პროფკავშირის წევრებათ. ხელფასს ვღებულობთ, კავშირისა და რკ. გზ. სამმართველოს შორის დადებული ხელშეკრულებით. არავითარი რკ. გზ. მოსამსახურეებზე გავრცელებული შეღავათებით არ ვსარგებლობთ, ამავე დროს რკ. გზას უნდა გაავრცელოს ჩვენზე ნაწილობრივათ მის მიერ გამოცემული ისეთი ბრძანებები, რომელნიც გამოშვებულია ხაზებზე.

ვინაიდან ჩვენ არ ვართ რკ. გზ. პროფ. კავშირის წევრნი და ვერ ვსარგებლობთ მათი შეღავათებით, შეუძლიან თუ არა რკ. გზას გაავრცელოს ჩვენზე მათი ბრძანებები?

პასუხი

ადმინისტრაციის ბრძანებები და განკარგულებანი, რომელიც ეხება მომუშავეთა ყოფაცხოვრებას, შეთანხმებული უნდა იყოს კავშირის ორგანოებთან. ის ბრძანებები და განკარგულებები, რომელიც არ იქნება შეთანხმებული ხეზე მომუშავეთა კავშირთან, თქვენთვის სავალდებულო არ იქნება. ყოველ შემთხვევაში ეს ბრძანებები და განკარგულებები ვერ გააუარესებენ იმ პირობებს, რაც თქვენი კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებულია. სრული პასუხის მოცემა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა კონკრეტიულათ ნაჩვენები იქნება ბრძანება, რომლის გავრცელებაც სურს რკ. გზას თქვენზე.

კავშირის წევრს, წიგნაკი № 8370

კითხვა

ვარ კავშირის წევრი ქალ. თბილისის აღმასკომის საკურორტო ქვე - განყოფილების თანამშრომელი. მაქვაია უფასოდ ორი ოთახი სივრცით 35 კვადრ. მეტრი, როგორც მოსამსახურეს ჯამაგირი მაქვს 33 მან. თვეში. კოჯორის აგარაკების გამგე წინადადებას მაძლევს დავცალო ერთი ოთახი და ერთ ოთახში ვიცხოვრო ჩემი ოჯახით, რომელიც შესდგება ოთხი სულისაგან. უკიდურეს შემთხვევაში მან [illegible] 30 მან., როგორც მოაგარაკეს.

შეუძლია თუ არა გამგეს მაიძულოს ერთ ოთახში გადასახლება ან და 30 მან. გადახდევინება მეორე ოთახის სარგებლობისათვის.

პასუხი

თუ თქვენ სამსახურის გამო გერგებათ საცხოვრებელი ბინა, მეორე ოთახის წართმევა არ შეიძლება, მაგრამ უკეთუ ბინა სამსახურის გამო არ გერგებათ, მეორე ოთახის სარგებლობისათვის შეუძლიათ გადაგახდევინონ ნიხრით და არა 30 მან. თვეში.

სარდიონ აბაშიძეს

კითხვა

დამითხოვეს სამსახურიდან გასული წლის 1-ლ სექტემბრიდან, მაგრამ ფაქტიურად სამსახურს განვაგრძობდი 9 ოქტომბრამდე. როცა ისევ აღმადგინეს ჩემს თანამდებობაზე. სექტემბრის ჯამაგირი მომცეს, მაგრამ ოქტომბრის 1-დან ოქტომბრის 9-დე კი ჯამაგირი არ მომცეს, რადგან ოქტომბრის პირველიდან ჩემს ადგილზე სხვა იქნა დანიშნული, თუმცა ახლად დანიშნულს არ უმუშავნია სრულიად. მე მუშაობა არ შემიწყვეტია.

პასუხი

თუ თქვენ ფაქტიურად არ ყოფილხართ განთავისუფლებული სამსახურიდან, 9 ოქტომბრამდე თქვენ უნდა მოგეცეთ ხელფასი ოქტომბრის ცხრამდე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. თარხანოვთან (ოთახი № 10):

სამუელ სეფი, თედორე იაკობის ძე იაკოვლევი, ბაგრამ ალექსანდრეს ძე ზალიევი, მარიამ ექვთიმეს ასული ორმოცაძე, გიორგი ისიდორის ძე ჩიხლაძე, ლეონტი მიხეილის ძე სარიძე, ვანო ელიას ძე მაზიაშვილი, მნაცაკან სტეფანეს ძე მარკოსიანი, ივანე ქრისტიანის ძე მაირე, ალექსანდრე მიკირტიჩის ძე არუთინოვი, ერმოლოზ კონსტანტინეს ძე ჯაკობია, ბენიამინ პავლეს ძე ჯაში, გარეგინ წყალობის ძე დემურიოვი, გიორგი ივანეს ძე დათუკაშვილი, ალექსანდრე გიორგის ძე ბაიდაშვილი, ალექსანდრე ავეტიკის ძე ბეჟანოვი, პეტრე ანდრიას ძე ბაბროვი, ფილიპე პანტკურენკო, გრ. ლ. ბერძენიშვილი, ნიკოლოზ მელიქ-აგანიანი, მიხეილ მაქსიმეს ძე ხუტუაშვილი, ივანე მინასის ძე სეტიანცი, ლილი გიორგის ასული კაჭარავა, შალვა ეგნატეს ძე კირეულიშვილი, გიორგი მიხეილის ძე ბიბილაშვილი, ილია გლურჯიძე, მატრონე სტეფანეს ასული გოროხოვა, ბარსეგ გიორგის ძე არუთინოვი, ივანე ბეგლარის ძე ასლამაზოვი, მიხეილ გიორგის ძე მგალობლიშვილი, ვიქტორ ილარიონის ძე მაჩაბლი, არამ გალუსტის ძე სიმონიანი, ჰოვნეს არუტამისძე საფაროვი, ნიკოლოზ კირილეს ძე ტარასენკო, იოსებ ივანეს ძე ხოზელაშვილი, იაკობ დავითის ძე კრილენკო, არშაკ სიმონის ძე ბურდინოვი, მიხეილ ქახორიას ძე ბალიავა, სონია ლევანის ასული გაბოვა, სარდიონ ქრისტეფორეს ძე მასიურაძე, ზარბალ კალისტრატეს ასული ცაგარელი, ფათულია გრიგოლის ასული ხარაზოვა, შალვა გრიგოლის ძე საიადლა.

ის ამხანაგები, რომლებიც თბილისის გარეთ იმყოფებიან, ნუ გამოემგზავრებიან. თავისი ადგილმყოფელობისა და მუშაობის შესახებ წერილობით შეატყობინონ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებას.

გაუბედურებულნი დედა ოლღა და დაი თამარ გომელაურები, ბიძა გიორგი და ძალღა საშა შოშიაშვილები შვილებით, დეიდა ნატალია და დეიდაშვილი ამბროსი შანშიაშვილები აუწყებენ საზოგადოებას, რომ 4 ივლისს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, მათთვის საყვარელი ახალგაზრდა, სტამბის მუშა

მიშა ლევანის-ძე გომელაური

გასვენება საკუთარი ბინიდან, ბუფერის შეს. № 6. კუკიის სასაფლაოზე. 6 ივლისს, ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე. 2935

სახკინმრეწვის კინოებში

განთიადი — სეზონის საუკეთესო ფილმი — ცოლი

საზაფხულო ეთერი — საზაფხულო პალასი — არა ჩვეულებრივი ფილმი — ნარვალები — რეჟისორ ა. რომის დადგმა

საზაფხულო დარბაზი — გრანდიოზული ფილმი ეკატერინე მეორის ეპოქიდან — ბულატ ბატირ

მინიონი — ამერიკული კინო-რომანი — ზღვის გმირი 1 და 2 სერია ერთად

პროლეტარი ავლაბარი — თავზე ხელაღებული 5 და 6 სერია

ანონს: მალე ორი ახალი სურათი „გადატეხილი ზამბახი და „ნიკუ- 0—31

დღეს და ყოველდღე
საზაფხულო კინოებში
პალასი და ეთერი
არაჩვეულებრივი ფილმი
ნარვალები
რეჟისორი—ა. რომი
მთავარ როლებში:
ოლგინა, გალიჩევა, ბარანოვსკაია, მინინი. და სხვ.

დარბაზი
გრანდიოზული ფილმი
ბულატ ბატირ
ეკატერინე მეორის ეპოქიდან
ბ. 1363

მედსანშრომის მუშაკთა კავშირის საზაფხულო ბაღი (ყოფ. სტელლა)
დღეს, 6 ივლისს,
დიდი სიმფონიური კონცერტი
სახალხო არტისტის კომპოზიტორ ა. ა. სპენდიაროვის ხსოვნის აღსანიშნავად.
ორკესტრს ხელმძღვანელობს ა. შ. მელიქ-ფაშაევი. პროგრამაში: რიმსკი-კორსაკოვი—შეხერეზადა და სპენდიაროვის საუკეთესო ნაწარმოებნი. დასაწყისი საღამოს 9 საათზე
ცუდი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის.
ხვალ 7 ივლისს, კონცერტი მუშათა ცენტრალურ კლუბში. ბ. 1348



მოითხოვეთ ახალი წიგნები.

მ. კახიანი — ჩვენი ნაკლოვანებანი და საქ. კომ. პ. (ბ) ამოცანები: გვ. 202; ფასი 40 კაპ.

ვაჟა - ფშაველა — ლექსები. ტ. I (გ. ქიქოძის და ტიც. ტაბიძის კრიტ: წერილებით) ალ. აბაშელის რედაქციით. გვ. 384; ფასი 3 მან. ყდით—3 მან. და 25 კაპ.

ნ. ჩუკოვსკი — კაპიტანი ჯემს კუკი (საბ. მოთხრობა) გვ. 160. ფ. 1 მან.

ბ.ს. 1362

თბილისის ჯან. განყოფილების საკურორტო ქვე-განყოფილების მიერ
ა. წ. 1-ლ ივლისიდან მანგლისში გახსნილია სოლარიუმი (მზის აბაზანები) და პოლიკლინიკა მკურნალობის ყველა დარგებით და ლაბორატორიით.
აგრეთვე კოჯორში ახლად შეკეთებულია და მოწყობილია საჭირო ავეჯით საკურორტო განყოფილების სასტუმრო,
ფასები ხელმისაწვდომ ა.
თბილ. ჯან. განყ. საკურორტო ქ | განყოფილება. 2934

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი დიმ. სიხარულიძე
ამით აცხადებს, რომ ის 9 ივლისს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 65 პლეხანოვის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის მოქ. კოკოლაშვილის მოძრავ ქონებას: 300 ვედრო ღვინოს, საწერ მაგიდას, სხვადასხვა ზომის ღვინის ბოჩკებს და სხვ. შეფასებულს 976 მანეთად, სურსათ გეგმოვების კავშირის და სხვების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 8 და 31 მაისის 1928 წ. თარიღით; № 2029—2169 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ბ. 1364

შორაპნის მაზრაში
გაზეთ „კომუნისტი“-ს კონტრაგენტათ
1 ივნისიდან დანიშნულია
ვასილ ჯალაღანია
სააგენტო აქვს ქ. ჭიათურაში
3—1 მთ. კანტორა.

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ შაბათს, 7 ივლისს, დილის 10 საათზე, სასახლის ქ. № 3, დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლად გაიყიდება შიფონერკები, ბუფეტები, კომოდები, ხალიჩები, სარკეები და სხვა მრავალი საოჯახო ნივთები. ბ. 1360

„თბილისის ვაჭრობა“-ს გამგეობა
აუწყებს საზოგადოების აქციონერთ, რომ 1928 წლის, ივლისის 19-ს, დღის 12 საათზე, საქართველოს კომუნალურ ბანკის შენობაში, შესდგება „თბილისის ვაჭრობა“-ს
აქციონერების საზოგადო კრება
დღის წესრიგი:
1. გამგეობის, საბჭოსა და სარევიზიო კომისიის მოხსენება საზოგადოების მუშაობის შესახებ.
2. წლიური ანგარიშის დამტკიცება (1927 | 28 წლ.)
3. მოგების განაწილება.
4. „თბილისის ვაჭრობა“-ს რეორგანიზაციის საკითხი.
5. მიმდინარე საკითხები.
ბ. 1361 „თბილისის ვაჭრობა“-ს გამგეობა.

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, კორლანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილის და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. სახლში მიღება დილ. 8 ს. დღ. 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10 13—1

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია
ამით აცხადებს, რომ ის 9 ივლისს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 6 აბანოს ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის მოქ. ბაჯოღლის მოძრავ ქონებას: სკამებს, ფრაჟის დანა-ჩანგლებს, სპილენძის ქვაბებს და სასადილოს სხვა დასხვა მოწყობილობას შეფასებულს 718 მანეთად, [illegible] კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 27 ივნისის 1928 წ. თარიღით, № 2478 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ბ. 1364

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 25—1

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8 ქალების: დილით —8—9 საღ.—4—5 მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—1

თმის მეურნეობა
საექიმო-კოსმეტიკა, ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნ. გ. კონტოროვიჩ სა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მშვენებისათვის, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭების და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ლოგოპედი
ტ. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ.
მისამართი: ჯ. ცეტკინის ქუჩა № 132

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისის და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩიტაძის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

დაიკარგა: თბილისიდან ბორჯომამდე ამ რამდენიმე დღის უკან ბორჯომის მატარებელზე მგზავრობის დროს საკუთარი პარტიული ბილეთი. მნახველს ვსთხოვ დამიბრუნოს პირადათ მე ან და წარადგინოს ჩემზე გადმოსაცემათ თბილისში პარტიის ცეკაში.
ანდრო დოლიძე

დაიკარგა: ლომბარდის ქვითარი № 85915 ჩ. გ. 2931

დაიკარგა კავშირის საწევრო წიგნაკი გაცემული მებეჭდავთა კავშირის მიერ თამარ ლაურენტის ასული ვანიძის სახელზე, ჩ. გ. 1360

დაიკარგა: მასწავლებლად ნამსახურობის მოწმობა მიღებული ქუთაისის გან. სამაზ. განყოფილებიდან ვასილ მარკოზის ძე შანიძის სახელზე, ჩ. გ. 2932

დაიკარგა: ქიმიკოსთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 308496 ტიგრან მიხეილის ძე არუთინოვის სახელზე, ჩ. გ. 2957

დაიკარგა „სოფლის კავშირის“ ფასდადების მოწმობა № 19455—135 მანეთის თანხის ჩათვლით იქნას გაუქმებულად. 2936

დაიკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 170[illegible]0 გაცემული მიხეილ ლეჟავას სახელზე, ჩ. გ. 293[illegible]

დაიკარგა: მეტყევეთა კავშირის მიერ გაცემული წიგნაკი № 140 ალექსი [illegible] ჩ. გ. [illegible]

მთავლიტი № 904.
პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68.